




შრომის სიძაჩაბი



ნაოსუჩი
ლაქსაბი
სიძაჩაბი
შრომაზე



სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1961

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო
თამარ ოქროშიძე

სკვპ-2000
შვეიცრია

წინასიტყვაობა

ქართველი ხალხის შრომის ლექსები და სიმღერები ჩვენი ზეპირსიტყვიერების უმდიდრესი უბანია, რომელიც ყურადღებას იპყრობს, როგორც თემატიკური, ისე სახეობრივი მრავალფეროვნებით. მსოფლიოში გავრცელებული შრომის თითქმის ყველა ძირითადი სახე მოიპოვება ჩვენში. თითოეულ ამ სახეს თავისი მელოდია შეუქმნია შესაფერი პოეტური ტექსტით, სადაც მძლავრად იჩენს თავს ქართველი მშრომელი ხალხის სწრაფვა, მისი მდიდარი სულიერი სამყარო.

ისტორიული განვითარების მანძილზე ქართველი ერი დაუღალავად ებრძოდა გარეშე თუ შინა მტერს. ბრძოლაში, შრომასა და სოციალურ ჩაგვრაში წარმოშობილ წინააღმდეგობებს მიმზიდველ პოეტურ სახეებში გადმოგვცემენ შრომის პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები.

ასეთი ტიპის კრებულის შედგენა უცდია ცნობილ ლიტერატორსა და ფოლკლორისტს მიხეილ აბრამიშვილს, რომლის მიერ შეგროვილი მასალის ნაწილი, ხელნაწერების სახით, დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში.

წინამდებარე კრებულში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა შრომის ამსახველი ლექს-სიმღერების რჩეული ტექსტები. შრომასთან უშუალოდ დაკავშირებულ სიმღერებს გარდა, კრებულში შევიტანეთ ის ლექსებიც, რომლებიც არ იმღერება, მაგრამ რომლებშიც გამოხატულია შრომის ესა თუ ის პროცესი.

შრომის პოეზია უძველესი დროიდან მომდინარე ხალხური შემოქმედების მძლავრი ნაკადია. კაცობრიობის განვითარების

ადრინდელ საფეხურზე, მელოდიაში სიტყვიერი მასალა საგრძნობლად მცირეა. წარმოებისა და ენის განვითარებასთან ერთად ვითარდება სასიმღერო ტექსტიც. იგი თანდათან ხდება მელოდიის საყრდენი და დროთა ვითარებაში მთლიან პოეტურ ნაწარმოებად გვევლინება. შრომის პოეზიაში ორგვარი შესრულების ლექს-სიმღერები მოგვეპოვება: ინდივიდუალური და კოლექტიური. ქართულ სინამდვილეში პირველისათვის ყველაზე დამახასიათებელია „ურმული“, ხოლო მეორისათვის — „სამკალი“.

ჩვენმა პოეტურმა ფოლკლორმა, როგორც ჩვენი ხალხის ეკონომიკური და ინტელექტუალური ცხოვრებრს სარკემ, შემოგვინახა შრომის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული ბევრი შესანიშნავი ნიმუში, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი საქართველოს მეურნეობის ძირითად დარგებზე, მის სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ხალხური პოეზიის იმ დიდსა და მდიდარ უბანს, რომელიც უშუალოდ ხენა-თესვის პროცესებთან არის დაკავშირებული, „გუთნური“ ეწოდება. საქართველო ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც მიწათმოქმედი ქვეყანა. ამიტომ გუთნური თავისი თემატიკით ქართული შრომის პოეზიის ძირითადი სახეა. მასში ერთიანდება გუთნის, გუთნისდედის, მეხრისა და ცოცხალი გამწევი ძალის ამსახველი ლექს-სიმღერები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ მათგანში ჩაქსოვილია პატრიოტული, სოციალური, სატირულ-იუმორისტული და სატრფიალო მოტივები, რასაც გუთნურის რკალში გაერთიანებული ნაწარმოებები ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ამბებიდან იზრისა და ემოციის მაღალ სფეროებში აჰყავს.

გუთნურ პოეზიაში ზოგიერთი ლექსი გუთნის გამართვის პროცესს წარმოგვიდგენს. აქ თანამიმდევრულადაა ჩამოთვლილი, თუ გუთნის რომელი ნაწილი როპელ ნაწილს უნდა გადაეხას, რა მანალისაგან გაკეთდეს და სხვ. ასეთი ლექსები საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც:

გუთანი ისე გაემართე,
როგორც რომ მართებულა:

პირველ გავთალე ხის რვილი,
სახელდებული თელისა,
მოვეუქერ სახლმე შუაზე,
შემოულერე ყელიცა.
ყელი კარგად მოუვიდა
და შუა წელი სრულია,
კაკლის დედანი შევაბი
შალაშინ გადასმულია...

გუთნისდედა მნიშვნელოვანი ფიგურაა სოფლის მეურნეობაში. „ყველაზედ საპატიო კაცებად სოფელში, — გადმოგვცემს მწერალი მელანია, — გუთნისდედები ითვლებიან, როგორც ხენა-თესვის მაწარმოებელნი სოფლად“¹. სოფელი, პატივისცემის ნიშნად, გარდაცვლილ გუთნისდედას ქვის ძეგლს უდგამს, თვით გუთნისდედისა ან გუთნის გამოხატულებით. „სამეხრეო გამართულას მისის გუთნისდედითა ფეოდალთა ქალებს ეძლეოდა მზითევში“².

ქართული ხალხური შრომის პოეზია ასახავს ხენა-თესვაში გუთნისდედის საპატიო როლს და შრომასთან განუყრელი სიმღერის მთარგანიზებელ ძალას, რომლის საუკეთესო გამომხატველია ხალხური ლექსი:

შენ ჩემო გუთნისდედაო,
ხარი გიბია მტრედაო,
მეხრეებს გამოართმევი,
შეახტებოდი ზედაო,
სიმღერა კარგი გცოდნია,
დასძახდი ზედი-ზედაო.

ამრიგად, გუთნურ ლექსებში გადმოცემულია მადლიერი მშრომელი ხალხის პატივისცემა და სიყვარული გუთნისდედასადმი. მაგრამ მთელ რიგ ლექსებში შეუბრალებლად, ხალხური

¹ მელანია, ხენა-თესვის ადათები. ლიტ. მუზ. ავტოგრ. № 2339/1, ფ. 4.

² ალ. რობაქიძე, მოდგამი, როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქ-ში, მიმოხილველი, ტ. II, 1951. გვ. 414.

პირდაპირობითაა მხილებული ცუდი გუთნისდედაც. უხეირო, გაუმაძლარი იგი. გაკილეისა და დაციუნის ობიექტი გამხდარა. გუთნისდედის შემდეგ გუთნური ლექს-სიმღერების მთავარი პერსონაჟია მეხრე.

ძველად საქართველოში ძირითად გამწევე ძალად ითვლებოდა ხარი და კამეჩი. მზრუნველობა და სიყვარული ამ კეთილშობილი ცხოველებისადმი გამოხატულია გუთნური პოეზიის ერთ თემატიკურ რკალში. ხარ-კამეჩი გლეხკაცის მარჯვენას წარმოადგენდა, ისინი მშრომელ ადამიანებთან ზიარად ეწეოდნენ ცხოვრების მძიმე ჭაპანს. ქართველი ხალხი „დედამიწის მადლთან“ ერთად იფიცებდა „ხარის ქედს“. ხალხი იმედით შეცქერის ხარს და განუზომელი სიყვარულით მიმართავს მას:

ხარო, ხარი ვინ დაგარქო,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედნაკურთხო, ღონიერო.

ან:

კამეჩი ღონიერია,
უღელსა ზიდავს ხისასა;
გაუქირდება, წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

გუთნურში შემაველი დანარჩენი ლექს-სიმღერები გადმოგვცემენ მხვნელ-მთესველთა ყოფაცხოვრებას, მათ ფიქრებსა და განწყობილებებს.

ნადური ლექს-სიმღერები შრომის პოეზიის ერთ-ერთ უძველეს სახეს წარმოადგენს. საქართველოში ძლიერ გავრცელებული იყო შრომაში უსასყიდლო პრინციპზე დამყარებული კოლექტიური დახმარება, მის აღმნიშვნელად ხალხურ მეტყველებაში შემონახულია რამდენიმე ტერმინი. აღმოსავლეთ საქართველოში შრომაში დახმარებას „მამითადი“, „მუშა“ ან „რიგრიგა“ ეწოდებოდა, დასავლეთ საქართველოში კი — „ნადი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნადი არის „მუშაჲნი შეყრილი“.

საქართველოში ნადით მუშაობაც შრომის უძველესი სახეობაა. ბოლო ხანებში დასავლეთ საქართველოში იგი განსა-

კუთრებით დაუკავშირდა სიმინდის კულტურას, რომელიც ამ კუთხეში გაჩნდა მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან.¹

ნადში მომუშავეთა რიცხვი შეიძლებოდა დიდი ყოფილიყო. ამიტომ საჭირო იყო შეთანხმებული მუშაობა. მასის ამგვარ მარგანიზებელ ძალას, მისი გამხნეებისა და წახალისების საშუალებას სიმღერა წარმოადგენდა².

ნადურის სახით ჩვენამდე მოუღწევია აგრეთვე ფორმის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უსიტყვო გაბმულ შეძახილებს, რომელიც დამახასიათებელია ლექსის გენეტიკური მდგომარეობისათვის. ასეთია ორი გუნდის მიერ მონაცვლეობით შესრულებული გურული ნადური:

1. ხმა: — ჰოაა, ოაა, იოა, ჰაა, ჰოოა!

2. „ — ო, იო, იო, იო, იო, იო, იო!

3. „ — იო, ოოოოო, იო ოოოოო!

მეორე ნახევარგუნდი მცირეოდენი ცვლილებით იმეორებს იგივეს. ბოლოს ორივე გუნდი ერთად წარმოთქვამს:

1. ხმა: ოდილეი, ოიდა, ოდილეი, ოიდა!

2. „ — იო, იო, იო, უო, იო, უო!

3. „ — იო, იო, იო, იო, იო, იო!

დროთა განმავლობაში რიტმიული შეძახილებიდან განვითარდა მახვილი სოციალური თემატიკის შემცველი ნადური ლექს-სიმღერები. ნადურში ნაჩვენებია ცხოვრებაში მომხდარი სოციალური ძვრები და გარდატეხანი. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავად-აზნაურთა წოდება იძულებული გახდა მიუჩვეველი სამუშაოსათვის, მიწათმოქმედებისათვის მიეყო ხელი. პირველ ხანებში მათ ეს საქმე სათაკილოდ მიაჩნდათ რაც ხალხურ ლექსში რეალისტურად არის გადმოცემული:

აზნაურობა მიყვარდა,
თოხი გამოვკარ ახოსა,
აქეთ-იქით ვიხედები,
არავინ დამინახოსა.

¹ პ. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ა/კ-ში, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, 1946. გვ. 225.

² ა. ზ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია. „მნათობი“. 1939. № 3. გვ. 183.

ტიპიური ნადურის ტექსტები უმთავრესად ფრაგმენტული ხასიათისაა. იგი იწყება დალოცვით და მტერზე გამარჯვების სურვილებით. დასაწყისში ტექსტი ნელი ტემპით იმღერება, თოხნასთან შეთანხმებით, შემდეგ ტემპი ჩქარდება და ლექსის სტრიქონზე დართული რეფრენი აჩვენებს შესრულების სისწრაფეს.

ნადურთან ერთად, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ხელხვავის ლექს-სიმღერები სიმინდის რჩევის დროს. ხელხვავი ისევე ძველია, როგორც ნადური და წარმოშობითაც იგი ნადურთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის.

მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ცნობით¹, იმერეთში მოსავლის აღებასთან დაკავშირებულია სიტყვა „ხევე“- სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხევი — შეგროვებული მარცვალი“, რაშიაც, ვფაქრობთ, იგულისხმება აგრეთვე მოსავლის აღება.

შრომის პოეზიის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს სამკალა ლექს-სიმღერები. სამკალ შრომაში დახმარება განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

თავისი მეთაურებით, ქვეგანაყოფებითა და სამოქმედო გეგმით პურას მკა საომარ პროცესს წააგავდა და ხალხური გამოცანაც სწორედ ამ ბრძოლას ველს წარმოგვიდგენს:

თემ-თემად მოდის ლაშქარი,
მოვა და მოიქცევისა,
ყრია უწყალოდ დაჰრილი,
სისხლი არ დაიქცევისა,
ღმერთმა ეს მოგვცა საზრდელად,
თუ კაცი მოიქცევისა.

სამკალი სამუშაოების დასაწყისს აჩვენებს ლექსი, სადაც მითითებულია წელიწადის გარკვეული დრო და სამეურნეო იარაღები:

¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული... ტ. I, 1958, გვ. 565.

ივანობასა ცელი მანასა,
ნამგალი შუა ყანასა.

მთელ რიგ ლექსებში მომკელები სვრელის გატანაზე და სახელის განთქმაზე მღერიან, მკაში წინ წასულს აქეზებენ, მომკელ ბიჭს დევს ადარებენ ღონით. სამკალი ლექსის კეთილ-ხმოვანება და რიტმი ასახავს სამკალი შრომის ტაქტს, ნამგლის გამოზომილ მოქნევას, კოლექტიური შრომის ტაქტზე მოკვეთილ ლექსის ფრაზას:

გაქო, გაქო, როგორ გაქო,
თეთრი დევის ღონე გაქო,
შუბლზედ ნაკვერცხი ჭოჩორი,
თჳალი შევარდნისა გაქო,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გულში ფიქრი არა გაქო.

ყოველი სვრელის გატანის შემდეგ მუშები ნამგლებს ლესავდნენ და სამკალისაგან განსხვავებულ ლექსებს მღეროდნენ. შინაარსთან ერთად ამ დროს შრომის რიტმიც იცვლებოდა და მუშებს მცირეოდენი შესვენების საშუალება ეძლეოდათ.

სამკალ ლექს-სიმღერებში შედის აგრეთვე მეძნეურთა ლექს-სიმღერები. მეძნეურები ყანაში მომკელების მიერ მოჭრილ ხელეურებს ძნებად კრავენ. მეძნეურთა ლექს-სიმღერები მიმდინარეობს საერთო სამკალი შრომის რიტმით და სამკალი სიმღერებისაგან განსხვავდება მხოლოდ შინაარსითა და ლექსიკით. სპეციალური ტერმინები: ხელეური, ულო, ძნა, მეძნეური და მეთავთავე გამოყოფს მომკელის შრომისაგან მეძნეურის შრომას და ტექსტებსაც თავისი სპეციფიკის კვალს ასვამს. წინაიდან მკაში ქალებიც მონაწილეობდნენ, არც სატრფიალო მოტივებია უცხო მკის ამსახველი ლექსებისათვის თუ სიმღერებისათვის.

კალოურ ლექს-სიმღერებს ქართველი ხალხი „ოროველას“ უწოდებდა. მელიტონ კელენჯერიძის ცნობით: ქართველებს სწამდათ „მიწის, მოსავლის კეთილი ღმერთი ოროველი“¹.

¹ მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 1920, გვ. 8.

მწერალ დემნა შენგელაიას აზრით „ოროველი“ — სიცხისა და მზის სადიდებელ გალობას წარმოადგენს¹. ყოველ შემთხვევაში, ეს სახელი დღემდე შემორჩენია სიმღერას, რომელიც სწორედ კალოზე მუშაობის დაწყების წინა სამზადისს განეკუთვნება:

ოროველ,
ორმო ჩასთხარე ქვიანი,
მოგვეც ბარაქაო.

ქართულ ხალხურ შრომის პოეზიაში მეტად თავისებური და განსხვავებული ადგილი უჭირავს მთიბლურ ლექს-სიმღერებს. იგი გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში, მესაქონლეობის რაიონებში.²

პროფესორ აკაკი შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ხევსურულში „მთიბლურის“ თავისებურ ფორმას, მის არქაულობას, ურითმობას, ცხრა მარცვლოვან საზომს და შესრულების წესს, რომელიც მას დანარჩენი ლექს-სიმღერებისაგან განასხვავებს.³ „მთიბლურის“ უძველესი ტრადიციის არსებობა დადასტურდა აგრეთვე მთიულეთ-გუდამაყარსა და რაჭაში, რომლის აღმოჩენა ეკუთვნის ფოლკლორისტ ელენე ვირსალაძეს.

მთიბლური ლექს-სიმღერები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მთიბლური საყოფაცხოვრებო, მთიბლური — ხმით ნატირალი და მთიბლური სატრფიალო.

მევენახეობა-მელვინეობა ქართული სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. საქართველოს მთელ რიგ ადგილებში, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩენილია მევენახეობა-მელვინეობის კულტურის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღები, დათარიღებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირვე-

1 დ. შენგელაია, ოროველი, გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1944. № 21.

2 ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება... 1958, გვ. 51 — 52.

3 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. I ხევსურული, 1931. გვ. 021 — 22.

ლი, მეორე და მესამე ათასეული წლებით. ამ დარგის სიძველეს მოწმობს აგრეთვე მასთან დაკავშირებული არქაული ტერმინოლოგიაც.

ასევე უძველესია ვენახის ლექს-სიმღერები. იგი გავრცელებულია მთელ საქართველოში და ასახავს მევენახეთა ყოფაცხოვრებას, სოციალურ ურთიერთობას სოფლად, ქართველი ერის ისტორიულ წარსულს.

სოციალური უკუღმართობით გამწარებული მშრომელის გულის წყრომას წარმოადგენს ქვემოთმოყვანილი ლექსი, რომლის შესახებ მთქმელი შენიშნავს: „აქ ის ვენახია დაწყველილი, რომელიც გლეხისათვის წაურთმევია ბატონს.“

პეი, შენ ჩემო ვენახო,
გარს რთვილი შემოგდებოდეს,
უურძნით მოყელილ საწნახელს
ქარგი დღე არ დასდგომოდეს;
გკემდნენ და გიბაჟუნებდნენ,
ცვარი არ გამოგდენოდეს,
მოგსვლოდეს გულის სტუმარი,
სირცხვილის ოფლი გდენოდეს.

ვენახის ლექს-სიმღერებში ასახულია ქართველი ერის ისტორიიდან ცალკეული ტრაგიკული პერიოდებიც, როგორცაა, მაგალითად დასავლეთ საქართველოს აოხრება თურქთა მიერ. ქვემოთმოყვანილი ლექსის ჩამწერის ცნობით: „სოფელ მერისში (ქედას რაიონი, აჭარა) ამბობენ: „თათრებმა ქართველების ჩაღმა ჩაყრილი ვენახი მოთხარეს და აღმა ჩაყარესო“. ლექსში გლეხი გულისტკივილით მიმართავს თავის ხელით ჩაყრილ და გაზრდილ ვენახს:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?
ჩემო გაზრდილო ვენახო,
--სად წადი და სად მოგნახო?

დასავლეთ საქართველოში მალლარი ვენახის კრეფისა და ღვინის დაყენების წესებიც არ გამორჩენია ყურადღებიდან ხალხურ მოქმედებს.

ხის წვეროში ჩიტი გჰამდა,
გიღლით ჩამოგიტანო,
საწნახელში რომ ჩაგყარე,
ფეხით გამოგიყვანო...

შრომის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ურმულ ლექს-სიმღერებს. უძველესი დროიდან გავრცელებული, ქართველი მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი ურმული განსაკუთრებით შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოში.

დავით მაჩაბელი გადმოგვცემს: „ოროველო, ანუ მეურმული, თვით უძველესი სიმღერა მიწის მოქმედთა, წარმომადგენელი უმანკოისა მამამთავრულის ქართველთა ცხოვრებისა, აღმოღებული თვით ბუნებიდგან. ხმა ესე გამოხატავს თვით უტურფესსა მელოდიასა: ითქმის საკუთარს ერთსავე ხმად“¹.

ილია ზურაბიშვილი თავის წიგნში „ხალხის შემოქმედი გენია“ ურმულს ფიქრის სიმღერას უწოდებს.

ურმულის სევდიანი ჰანგი გამოხატავს გლეხის ყოველდღიურ ჭირ-ვარამსა და საზრუნავს, მის ფიქრსა და ოცნებას: ურმული სიმღერით ფიქრია ადამიანთა სოციალურ უთანასწორობაზე, ჩაგვრაზე.

შინაარსობრივად ურმულის ლექს-სიმღერები მრავალფეროვანია. აქ აღწერილია ოჯახური გარემო და მარილზე წასვლა, ზრუნვა მუშა-საქონელზე, ურემზე. ურმულში გვხვდება აგრეთვე დიდაქტიკურ-იუმორისტული, სატრფიალო და ფილოსოფიური მოტივები.

¹ დ. მაჩაბელი, ქართველთა ზნეობა. „ცისკარი“, 1864, მაისი, გვ. 64 — 65.

საქართველოს უხვი მდინარეები ხელს უწყობდა ნაოსნობის განვითარებას. ნაოსნობის უძველესი სახეთაგანია მეტივეობა. ხე-ტყის მდინარეებით ჩამოტანას ჩვენში ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა: „... იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება“¹.

ამრიგად, მდინარეებზე ხე-ტყის ტრანსპორტირება ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა საქართველოში. მეტივეობა განვითარებული იყო თბილისის მიდამოებში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და სვანეთში.

მეტივეობა შინამრეწველობის ერთი დარგი იყო. ტივზე მუშაობა უკეთეს ეკონომიკურ პირობებს უქმნიდა მიწათმოქმედ გლეხს, ამიტომ ზოგი მათგანი ტოვებდა მიწის მეურნეობას და ხიფათით სავსე მეტივეობას იწყებდა.

სოფლის მეურნეობიდან შინამრეწველობაზე გადასულ გუშინდელი გლეხის ფსიქოლოგიას გვიხსნის მახვილი სოციალური შინაარსის მქონე ლექსი, რომელსაც მეტივეები მღეროდნენ:

მუხრან-ბატონის ყმობითა,
პური ვერ დაედგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩოხა ჩაიცივი,
ვერც ახალობი ქოშითა,
ვერც გავზარდე დეკეული,
ვერც კალო ვლენე მოზვრითა.

ხალხური შრომის პოეზიის ერთ-ერთი უძველესი სახეა შინამრეწველობის საფეიქრო დარგთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ამ ლექს-სიმღერების უმთავრესი ნაწილი შექმნილია თვით შრომის პროცესში. იგი ასახავს შრომის ტექნიკასა და წყობას, რომელშიაც მიმდინარეობს ფეიქართა დაძაბული საქმიანობა.

¹ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 123 — 124.

ფვით ტერმინი „ფეიქარი“ გვიანდელი შემოსულია ჩვენ-
ში. რუსთაველი ფეიქარს „ქსლის მბეჭველს“ უწოდებს:
„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“-ო. ხევ-
სურულ ლექსში „ქსლის ქსოვაზეა“ ლაპარაკი: „ქსელთა
ექსოვ მამის ეზოთა, ზალტეთა ვაერიალება“.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ფეიქარი ახსნილია,
როგორც „ლარის მქსოველი“.

საფეიქრო მრეწველობა საქართველოში უხსოვარი დროი-
დან დასტურდება. დასავლეთ საქართველოში სელის დამუშა-
ვებასა და განვითარებულ საფეიქრო მრეწველობაზე მიუთი-
თებს ჰეროდოტე¹. საქართველოში ფრიად გავრცელებულმა
საფეიქრო მრეწველობამ გამოძახილი პოვა ხალხის მხატვრულ
სიტყვიერებაში. ასეთი ლექსები საკმარ რაოდენობით მოგვეპო-
ვება. ისინი გამოხატავენ ნატურალური მეურნეობის დროს
მძიმე ეკონომიკურ ტვირთქვეშ მყოფ ქალთა განცდებს.

საფეიქრო ლექს-სიმღერებში გადმოცემულია ქალის მდგო-
მარეობა ოჯახში, დამოკიდებულება ქმართან, დედამთილ-მა-
მამითლთან, მულთან. ჰარბად გვხვდება სოციალური, სატრფია-
ლო და სატირულ-იუმორისტული მოტივებიც.

საფეიქრო პოეზია ქალთა შემოქმედებას წარმოადგენს.
ქალთა ლირიკის ძლიერი გამოხატულების ნიმუშია ფშავში ჩა-
წერილი ლექსი „ქალის სიმღერა“:

ერთე, ერთე ფარტენაო,
ჩაეხვიე ტარზედაო,
ჩემი გულის ნანდაური,
კახეთს არის ცხვარზედაო...

მხატვრის მაღლიანი ფუნჯით არის დახატული მხედარი
სატრფოს სახე: ლურჯი, თეთრი, წითელი და შავი ფერები ენა-

ცვლებიან ერთმანეთს. ასევე ამღერებული ფერადებით ჟღერს თვითონ ლექსიც:

გავხედენ და მოგოგავდა
ლურჯა ცხენი ნალზედაო,
აკვდებოდა თეთრი ჩოხა
წითელ ახალუხზედაო.
უხდებოდა შავი ქუდი
მთვარესავეთ პირზედაო.

განსაკუთრებით ძლიერი გრძნობით ჟღერს ლექსის ფინალი:

მზევინარიმც ენაცვლება
შაშვენებულს ტანზედაო.

საფეიქრო პოეზიის ნიმუშებიდან მეტად საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე ლექსი სათაურით „ძველებური ქართული სიმღერა ქალებისა ძილის გასაფრთხობი“. „ამ ხალხურ ნაწარმოებში წარმოდგენილია ღამით მოხელსაქმე ქალი, რომელიც ძილის გასაფრთხობად მღერის ჩვენს მიერ დასახელებულ სიმღერას.

თითოეულ სტრიქონზე რეფრენის სახით დართული სიღარიბისა და ჩაგვრის გამომხატველი ფრაზა „მე საბრალოსაო“, ლექსს ბოლომდე გასდევს და ამით ხაზს უსვამს მომღერლის დაბეჩავებულ მდგომარეობას.

სიმღერაში გადმოცემულია იმ გრძელი, უძილო ზამთრის ღამეების სიმძიმე, რომელიც წილად ხვდენოდა გლეხის ქალს:

ძილო, რასა მეძინები
მე საბრალოსაო.
მე ძილმა ასე მიბრძანა,
მე საბრალოსაო.
დაწექ და დაიძინეო,

მე საბრალოსაო,
ვინც რომ გულთა გიყვარდეს.
მე საბრალოსაო,
ისიც გვერდთ მოიწვინეო,
მე საბრალოსაო...

ამ ლექსს მრავალი ვარიანტი მოეპოვება. ზოგიერთ მათგანში საგანგებოდ შერჩეული სიტყვა იუმორისტულ განწყობილებას ქმნის, იწვევს სიცილსა და ამით აფხიზლებს ღამით მომუშავე ქალს.

საქართველოში საფეიქრო ლექსებთან ერთად ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ლექსები და სიმღერები წყლის მოტანაზე. შრომის პოეზიის ამ სახის ნიმუშებით განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლეთი საქართველო, სადაც წყაროების სიმცირის გამო აქაურ მოსახლეობას შორიდან უხდებოდა წყლის ზიდვა.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ საქმიანობის შესახებ: „ბევრჯერ მახსოვს ესეც. ერთის სოფლის დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები, ერთად შეყრილნი საღამო უამს, წყალზე მიმავალნი კოკებითა მხრებზედ შედგმული თან შეწყობილსა სიმღერას ამბობდნენ ამას მეტად კარგად: „თინა მიდის წყალზედა, ახ თინანო, თინანო“... და სხვანი, ესეც წყლის მოსატანი სიმღერა არის¹. დასახელებული ლექსის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „სამწუხაროდ ამ სიმღერის ტექსტი ჯერ ხელთ ვერ ჩავიგდე... იმედი მაქვს, რომ სადღაც მივაგნებთო². ჩვენის აზრით, აღნიშნული

¹ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი. ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი. „ცისკარი“, 1861 წ. № 1.

² ვახტანგ კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. ქუთ. 1934 წ. გვ. 324.

სიმღერის ტექსტი შემონახული უნდა იყოს პეტრე უმიკაშვილის ხალხური სიტყვიერების კრებულში, რომელიც დაახლოებით ისევე იწყება, როგორც ალექსანდრე ჯამბაკურ-ობელაანის მიერ მითითებულ სტრიქონი:

აი თინანო. თინანო. ვაი თუ ბოლოს ინანო!
თინა მღრის წყალზედა, კოკა უღვეს მხარზედა.
თინამ კოკა ძირს დაღო. — გამიგორდა მკლავზედა!
თინამ დაკლა ქათამი, არ მაქამა ბარკალი,
ღმერთო, შენ გაუწყვიტე, კუქულა და ქათამი.

წყლის მოტანასთან დაკავშირებული პოეზიიდან მეტად გავრცელებული ლექს-სიმღერაა „თებრონე მღრის წყალზედა“. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს ხალხური პოეტური შემოქმედების ეს შედეგრი ძველას-ძველ სიმღერად მიაჩნდა¹. ამავე ციკლს ეკუთვნის ხალხური ლექსების ცნობილი შემკრების მირაქიშვილის მიერ ჩაწერილი ლექსი: „კეკე მღრის წყალზედა“. ეს ლექსი საინტერესოა, როგორც ხალხური ალიტერაციის ნიმუში:

კეკე მღრის წყალზედაო,
კოკა უღვეს მხარზედაო,
კეკე. კოკა ძირს ჩამოღგი, ✓
გამიგორდი მკლავზედაო.

საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება საფუძვლად დაედო შრომის სახეების მრავალფეროვნებას. როგორც ვთქვით, მსოფლიოში გავრცელებული შრომის თითქმის ყველა ძირითადი სახე მოიპოვება ჩვენში. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საქმიანობას თან ახლავს მისი რიტმისა და შინაარსის ამსახველი სპეციფიკური პოეზია: ყანის ზენას, თოხნას, პურის მკას, ლეწვას, თიბვას, ყურძნის კრეფასა და წურვას, ურემზე მუშაობას, მეტივეობას, ფეიქრობას, წყლის მოტანასა და სხვ.²

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები. 1938 წ. გვ. 335.

² კრებულში წარმოდგენილი ტექსტები ამოკრებილია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

რევოლუციამდელ შრომის პოეზიაში მკვეთრად ვლინდება ჩვენი ხალხის მსოფლმხედველობა, მისი სულიერი ტკივილები და სიხარული, მისი მისწრაფებანი უკეთესი მომავლისაკენ, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, აგრარული წესჩვეულებები და შრომის პროცესები. ყოველივე ეს კი, ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ქართველი ხალხის -გარდასულ ყოფას.

თამარ ოქროშიძე

-

ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების. ზელნაწერთა ინსტიტუტი:
საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივებიდან, აგრეთვე XIX საუკ.
პერიოდული გამოცემებიდან. გამოქვეყნებული. ხალხური სიტყვიერების
კრებულებიდან, ქრესტომათიებიდან და საკუთარი კოლექტივიდან.



გუთნური

I

• • •

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.
ხარ-გუთანი გაგიმართოთ.

• • •

გუთანი ისე გავმართე,
როგორც რომ მართებულა:
პირველ გავთაღე ხის რვილი
სახელდებული თელისა,
მოვუჭერ სახლმე შუაზედ,
შემოუღერე ყელიცა.
ყელი კარგად მოუვიდა
და შუა წელი სრულია,
კაკლის დედანი შევაბი
შალაშინ გადასმულია,
ზედ გავუკეთე ხელკუდი,
როგორც რომ ჩამოსხმულია.
იფნის ხმალი გავატარე,
ფარეშით გათანგულია,
ღირღიტის მორგვი გავთაღე.

პიტალო კაკლის გულია;
მუხისა სოლი ვახმარე,
ხელეჩოთ დაწმენდილია,
ჯაგ-რცხილის ფერსოს მოვკიდე,
როგორც დულაბი-კირია.

ისე გავმართე გუთანი,
როგორც რომ მართებულა:
ზედ მოვუბი საყვერები,
წნელებით გადაბმულია,
შიგ დავუმართე უღლები,
ახალი დატუსულია;
შიგ ჩავუყარე ტაბიკი,
დათლილი შვინდის გულია,
შევები აპეურები,
ახალი დაგრეხილია;
შევები ხარი-კამეჩი,
რქა-კუდით შემკობილია,
ხარები იყო მალალი
და კამეჩები სრულია.
ზედ შეუდგნენ მეხრეები,
სიმღერას ამბობენ ტკბილსა;
მააჰმო, ხარო შავთვალავ,
შვინდას უსწორდი მხართანა!
— აბა, ბიჭებო, გარეკეთ, —
ივანეს ეტყვის ათანა, —
სახრე ფრთხილად მოიხმარეთ,
არ მოახვედროთ მხართანა!
ბიჭო, გუთნის თავის მეხრეც,
არ მოზლო დიდი ველია,
გუთნის გადმოწევისაგან
არ მოიწყვიტო წელია;
სახრის ცემა არ დაუწყოთ,
გაუქნიევით ხელია.
ყველამ კარგათ გაირეკეთ,
ნუ მაიგონებთ ძილსაო,

ეს ჩვენი მარჯვე გუთანი
ველს მალლა უზამს ძირსაო;
ძალიან გაუჯავრდებით,
ბელტს გადააწვენს სხვილსაო.
ფარცხითაც ისე ჩავფარცხავთ,
როგორც წისქვილი ფქვილსაო,
შიგ რომ დავეთესავთ თეთრ პურსა,
ყანას მოგვიყვანს ხშირსაო.

* * *

ბურბუქში ერთი კაცია,
ეძახიან აბალაკსა,
ახალ გუთანს გააკეთებს,
გაუკეთებს ფამფალაკსა,
თავის დღეში არ დაიშლის
უხეირო ლაპარაკსა.

* * *

დილა ადრიან გამოველ,
ცას გადავავლე თვალია,
მიველ და საქმეს დავადექ,
ცულს დაუჭირე ტარია.
გუთან გაემართე, შევაბი
შვიდი უღელი ხარია,
ოროველა დავიძახე,
მოეხანი ნაფუზვარია...
პური ბევრი მომივიდა,
მტერს დაუბრმავდეს თვალია.
ასანოძვე, რითი მწუნობ,
რომ არ მომეცი ქალია;
არც არის მეტად ლამაზი.
არცა აქვს ლერწამ ტანია.
არც იცის ჭრა და კერვაი,

« არცა აქვს დაღალ-კავია.
დრუებას გადასულია,
როგორც ბებერი ხარია.
მე ხომ გულით არ მინდოდა,
სულ მაქანკლების ბრალია.
აღარც მაქანკლით ვინდომებ,
დაგიდგა ორივ თვალია.

* * *

სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში 'ეთესავ,
მშრალზე ვინადირებ თევზსა,
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორევში გადავყრი ქერსა,
კინკველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დაუყრი ბზესა.

* * *

ანეულისა გუთანსა
ჩონგურივით მართვა უნდა,
სამ-უღელა კამეჩი და
ხუთ-უღელა ხარი უნდა.

* * *

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
დიდება იმის სახელსა,
ის უფრო მართებულია!

* * *

ღმერთმა მოგვცა მიწა-წყალი,
გუთნისდედა, მეხრე, ხარი,

პური-ქერი, ფეტვ-სიმიწდი,
მათი თესვა ჩვენ ხელთ არი.

* * *

ღმერთო, შენია ქვეყანა,
შენ მოიყვანე ქერ-ყანა!

* *

პირველ შევაბი გუთანი,
ხენისა და თესვის დროაო.
შე ფორუანთ ფირუზავ,
ველარ წახვიდე გუთანზე,
ეგ შენი წვრილი ბალღობა
იოლად გავლენ თუთაზე

* *

მადლიანია გუთანი,
ფეხდაფეხ დაჰდევეს უფალი,
კაცის გამფუჭებელია
ის სატიალო დუქანი.

* * *

გადი-გამოდი გუთანო,
შორით მოჰკრილო ხისაო,
შე მამიჩემის ნაქონო,
შე პაპიჩემის ხნისაო.

* * *

გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო.

* * *

გუთანო, შენი ჰირიმე,
გათლილო ბალამწარაო,

უკიდე, ვერ მოუკიდე,
დღე ჩემი გამამწარაო.

* * *

შენი ჳირიმე გუთანო,
პური მაქამე მუდამო.

* * *

შენი ჳირიმე გუთანო,
მაგ შენი მრუდი ყელისა,
შენა ხარ პურის მამყვანი,
გამხარებელი კერისა.

* * *

შენი ჳირიმე, გუთანო,
ზემო ქართლულო თელაო,
წამოუწვები გვერდასა,
გადაგაქვს ნელა-ნელაო.

* * *

შენი ჳირიმე, გუთანო,
შემოკვერცხილო თელაო,
ისეთი ბელტი მოვჭერი,
შავი კამეჩის ტელაო.

* * *

შენი ჳირიმე, გუთანო,
გათლილო წმინდის ხისაო!
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხავი ხარ მკედრისაო!

* * *

შენი ჳირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,

წამოუწვები გვერდზედა,
აღება იცი ველისა.
შენა ხარ პურის მამყვანი,
დამძველებელი ქერისა!

* *

გადი-გამოდი ხმა უყა,
საქცევში სახრე გაუყა.

* *

გუთნისა მიყვარს გუგუნი,
მეხრისა შემოძახილი.

* *

გადი-გამოდი გუთანო,
დალონებული ნუ ხარო.

* *

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს
გუთანი, კარგი ხარები,
ბევრი მოხნა და მოთესო,
მტერს დაუყენო თვალები.

* * *

თუ რას აგმტერდეს სოფელი,
ხარ ქერხოს შაუტივიდი,
ადრე გააბი გუთანი,
წუხრ ნელა გაუტივიდი.

* * *

ანეულისა გუთანსა
ჯამბარა უნდა რკინისა,
დარჩეული გუთნეული,
შიგ მეხრეც ედგეს რკინისა.



სახნის-საკეეთი, ჯამბარა,
მამასახლისმა დაგეპარა;
იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესი დაგეყარა!



სახნის-საკეეთი განჯური,
ჯამბარა—ერევენულია,
კამეჩი—ლოღეთ გაზრდილი,
ხარი სჯობს მუხრანულია.



ეს პირმისაანთ პავლია,
კაცია ოჯახისაო.
სახნის-საკეეთი დაკარგა
მამხნავი მამულისაო.
სახნის-საკეეთი იყიდა,
ხუთი მანეთი მისცაო,
ისიც თავისი არ იყო,
აიღო ვალი მისცაო.
მამულში რო გაიტანა,
თხუნელასავით თხრისაო,
ერთი ხომ კვალი მისდევდა,
ერთი ხარვეზი ძირსაო.
ეს ბაბალიანთ დათიკა,
მეხრე ყავს ღირღიტისაო,
ის რომ თავზე შაახტება,
ბოლოს წაიღებს ცაშია.
გაგიწყდეს გუთანო, პატრონი
მოგვთხარე ქვეყანაშია,
შენი მოხნული ნათესი,
ხომ არ შამოვა სახლშია.



ორხელამ შემოგითვალა:
— გუთანო, პური მშიანო;
თუ გქონდეს, გამომიგზავნე,
გადახდა შემიძლიანო.

(გ უ თ ნ ი ს პ ა ს უ ხ ი)

საკრეტლით დახვრეტილი ხარ,
არ გირევია სატეხე;
მუდამ ნარბილში დაძვრები,
ერთხელ ყამირი გატეხე.
მაშინ სად იყავ, ორხელავ,
მე რომ ძეძენარი გავტეხე!



სახნისმა თქვა: ქვესკნელს დავალ,
მზისა შუჭი მენატრება,
საკვეთელმა გაიგონა,
— ჩემზე მეტი შენ რა გხვდება?
მეტის-მეტი წინ ძლოლითა
წინა კბილი არა მრჩება.
ეს ჯამბარამ გაიგონა,
— ჩემზე მეტი თქვენ რა გხვდება?
ავდარია მე დავლპები,
დარი ცეცხლად მომედება.
ეს ხარებმა გაიგონეს,
— ჩვენზე მეტი თქვენ რა გხვდება?
დაგვადებენ მძიმე უღელს,
ზედაც მეხრე დაგვიჯდება,
ჩაგვიყრიან შინდის ტაბიკს,
არ გასწიო, არ იქნება.
ის ურჯულო გუთნისდელა
ქვეშ-ქვეშ გამოიყურება,

იმას არ ეტყვის მეხრესა,
უდივრობა არ იქნება.

* * *

ჭ ა მ ბ ა რ ა მ თქვა, ჩემი საქმე
მობიზლარასამც მოსვლია:
წვიმა მოვა, დაეგრძელდები,
მზე ცეცხლივით მომედება.
ღ ე დ ა ნ მ ა თქვა, გვერდზე ცურვით
გვერდის ტყავი გადამძვრება.
ფ რ თ ე მ თქვა, კვლისა ბრუნებითა
ნეკნები სულ დამემტვრევა,
ბ ა რ მ ა თქვა, ქვეშ-ქვეშ ტარებით
მე მზის შუქი მენატრება.
ს ა კ ვ ე თ მ ა თქვა, წინ ტარებით
წინა კბილი არა მრჩება,
მეტის-მეტი თავში ცემით
თავის ტვინი დამეზნევა.
რ ვ ი ლ მ ა თქვა, წელში წევნითა
წელის მძივი გადამწყდება.
ღ ი რ ღ ი ტ ა მ თქვა, ძახილითა,
კრინტი ხმა აღარა მრჩება.
ხ ა რ მ ა თქვა, ეგ საქმეები
სულ ჩემ კისერს გადახდება,
მეხრე უღელს დამიჯდება,
თუ არ გასწევ, არ იქნება.
დაწყველილი გუთნისდღა
კვალ-კვალ გამოიყურება,
იმას არ ეტყვის მეხრესა,
უდივრობა ნუ იქნება;
მოვა და ისიც გამარტყავს,
თუ არ გასწევ, არ იქნება.

|

* * *

სახნისს უნდა ორი ალო,
საუდაბნოს იარება,
საკვეთელსა ნახევარი,
ზეზეურათ იარება.

* *

გუთანი და გუთნის მანქი
წაიკიდნენ მიწის კვალში,
გუთნისდედა მოუბრუნდა,
ჩეკი წამოუსო თავში.

* *

ალავერდამ დაიძახა,
მე დავაბამ გუთანსაო,
წინა ხარმა დაიძახა,
მე დავაყრი ძალასაო,
კამეჩებმაც დაიძახეს,
აუტირებთ დედასაო.

* * *

შენი ჭირიმე გუთანო,
სამოცი კვალი მოხანო,
'რაც არ უმატო, არ უკლო,
უფრო და უფრო მოხანო.

* * *

გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცჯერ შემოუარა,
ნეტა რა ხარმა გაუძლო,
ან და რა მეხრემ იარა?!

* * *

შენი ჭირიმე გუთანო,
შენ მომარჩინე ყანასა,

სალამოს სახლში მივიდეთ,
ლხინი. ენახოთ და თამაშა.

* * *

ზედაობითა გუთანო,
კვალი არ გაგვიტანია,
გავიდეთ და გამოვიდეთ,
საცაა წასვლის ხანია,

II

* * *

შენ, ჩემო გუთნისდედაო,
ხარი გიბია მტრედაო;
მეხრეებს გამოართმევდი,
შეუხტებოდი ზედაო,
სიმღერა კარგი გცოდნია,
დასძახდი ზედი-ზედაო.

* * *

გუთანო, გუთნის დედაო,
ხარი მათხოვე მტრედაო,
დავეუჭექე და მივაყოლე,
ვეძახე „ზედა-ზედაო“.

* * *

ახალსა გუთნისდედასა
ხარი დაუდის ნებასა;
ეგრე გავა და გამოვა,
ერთხელ არ იტყვის „ზედასა“

* * *

ახალსა გუთნისდედასა
ხარი დაუდის ნებასა;
სამოთხის კარი ღია აქ,
ნეტავი იმის დედასა!

* *

გუთნისდელა და მოდგამი
დადიან უბან-უბანა,
უნდა შავაბათ გუთანო,
საყვარელია მუდამა.

* *

გუთანო, გუთნისდელაო,
კარგი გყავს ნათლიდელაო,
გუთანს მუდამაც სჭირდება
თან ხელეჩო და ხვედაო.

* *

გუთნისდელავ მესოლეო,
თითო ბელტი გვესროლეო,
აუარე, ჩაუარე,
შუას მეტი ესროლეო.

*

სხლოვანზე ჩამოვიარე,
პარასკევია ჰხნავდაო,
შეება ბარულ გუთანო,
შიგ ცხრა უღელა ებაო...
რა პური გაგითავდება;
ეგეთავ გუთნისდელაო?! -

* * *

მეთევზის ბარაქა შერცხვა,
მონადირისა—საგძალი.
ჭირიმე გუთნისდელისა
მუცელი ჰქონდა მაძლარი.

* * *

ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხუებ, დელაო.

ნუ მიმცემ მეცხვარე კაცსა,
თორღო მაიზრობს ფესსაო.
ნურც მიმცემ მონადირესა,
გადმოარდება კლდესაო,
თუ მიმცემ, ისეთს კაცს მიმეც,
რო იყოს გუთნისდედაო,
მოვიდეს გუთანზეთა,
დამიჯდეს ლოგინზედაო.

* * *

ქალმა თქვა, ძუძუ-კოკობმა:
ნუ გამათხოვებ, დედაო;
თუ მიმცემ, იგეთ კაცს მიმე,
რომ იყოს გუთნისდედაო.

* * *

— თრიალეთს გუთანი მება,
ჯავახეთს მანჭვი მეჭირა,
ქართლიდან საგძალს მოველი,
მეხრეებს თვალი ეჭირა.
— ახალი გუთნისდედა ხარ,
მიწა ვერ მოხან გვალული,
ადექ და წადი ჯავახეთს,
იქ მოიკიდე ხანული.

* * *

გუთნისდედას რა აცხონებს,
რა შეიყვანს საყდარშია,
შავი კამეჩების ცოდო
უხვევია ქალთაშია —
კაი დარში თვითონა ხნავს,
— მეხრეს უხნავს ავდარშია.

*

უხერხული გუთნისდელა
მეხრეებს ემუქრებოდა;
ცოტას მხენელი და მთესველი
მალალ ღმერთს ემღერებოდა.

* * *

დასაქცევი გუთნისდელა,
ძირ-ძირ გამოიყურება,
გამომივლის, ჩეკს წამომკრავს:
„გასწი, ხარო, არ იქნება!“

* * *

მე რომ ჩემს ამბავს ჭოგოყვე,
იტყვი: „ვაი შენი ბრალი!“
მეზობელს გუთანი ება,
შიგ შევეუბი ერთი ხარი!
შვიდი დღისა თითონა ხნა,
არ გამივლო ერთი კვალი,
პარასკევს შემატყობინა:
— შაბათს შენი ალო არი!
მეხრეები დაარიგა:
— „გვიან მოლაღვეით ხარი!“
ერთი დღისა მზრალი მქონდა,
ერთი დღისაც ფეტვი ვხანი,
ჩემ ბედად ღმერთი გამიწყრა,
არ ელირსა ციდამ ნამი.

* * *

მთაო, იგლოვე ბეჟანი
ჯანლების შემოხვევითა.
ბევრჯელ შეგლება გუთნითა,
ბევრჯელ გაწითა ცელითა.

შემოგიარის ოხერო,
პიროფლიანი ცხენითა;
იტირეთ ქალო და რძალო,
ბეჟანი ცხელის ცრემლითა.

* * *

საქმისთვინ ვიყავ მგელიო,
გუთნისთვინ კარგი მქნელიო,
ქერი და პური მიყვარდა,
ორმოში ძველის-ძველიო.

III

* * *

მეხრეო, ხართა მლალო,
ნიადაგ მოუღალო!

* * *

მომეწონა მეხრეობა,
ლალვა შავი ხარებისა.

* * *

ოროველას მაშინ ვიტყვი,
როცა გუთანს დაუჯდები.

* * *

დაუჯე გუთნისთავზედა,
დასძახე ოროველაო.

* * *

იმიტომ ვუხნავ ალოსა,
ხარები გამოლალოსა.

* * *

გადი-გამოდი გუთანო,
პატარა მეხრეს უხანო.

* * *

შენსა მეხრესა, კამეჩო;
სახრე მიჭირავ ხელშია,
ისე გაგიხდი საქმესა,
იგრიხებოდე წელშია.

* * *

მეხრევე, ნუ დაგეძინება,
მაგ თელის უღელზედაო,
თორემ კორდოხი წამოვა,
მოგხვდება ზედი-ზედაო.

* * *

ანეულობა, ფეტვობა,
ვაი რა დიდი ღლეაო;
დაეძინება მეხრესა,
პირი დარჩება ღიაო,
ან ჩაუძვრება ბაყაყი,
ან მოწამლული კიაო.

* * *

ჰარალო ველის ყვავილო,
სასუნებელო იაო,
დასძინებია მეხრესა,
ხარს ყური წაუგდიაო.

* * *

ჰო-ტპუ კამეჩო რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
მეხრეობას ვერ გაგიწევ,
პატარა ბიჭი მქვიანო.

* * *

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რო მქონდეს წამალი,

საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.

* * *

გუთნისა კრიკინი მიყვარს,
მეხრისა შეგოძახილი, -
მუხის ქვეშ დიდი ჩრდილები,
როცა ისვენებ დაღლილი.

* * *

შე დალოცვილო, გუთანო,
შენი მიყოლა ძნელია,
დღისითა ხარი გირეკო,
ღამე გიტეხო ბნელია!...

* * *

შენი ჭირიმე, გუთანო,
შენ გენაცვალე ყელშია,
დღისით გაგრიხე წნელები,
ღამე გასვენებ ველშია.

* * *

ღამის მეხრის ორი ალო
ღამით ბნელში იარება,
დღისის მეხრის ერთი ალო
ხარის ქედზე იარება.

* * *

ომამო, ხარო ხთისია,
ჯერ რა დროს დავარდნისია,
შენ გატყობ, უხნაეს დამაგდებ,
ჩამაგდებ ჯალაფთ პირშია.
ეს ჩალა ამოდენია,
თივა ნათიბი მთისია,

‘შენს პატრონს გრილშია სძინავს,
როცა ცხელ თიბა-მკისია.

* * *

სალამიო- გუთან მიყვარს,
ზედ დაჯდომა, მეხრეობა.
ასეთ ნაჩხატს მოუკიდე,
ბუსნარში არ ირჩეოდა;
გუთნისდედას გაუჭირდა,
ხელკუდს მალლა ეწეოდა.
ქეჩიანი ყოფილიყო,
საკვეთლის წვერს ეხვეოდა.

* * *

პატარა ვიყავ ობოლი,
გერათ გამოვეყე დედასა,
არც ვიცოდი მეხრეობა,
ვერც გავყე გუთნისდედასა.

* * *

მთას ირემი გასუქდება,
ძირს ჩამოვა ლიჭობასა,
ბევრი მეხრე გავაცრუე
ჩემ პატარა ბიჭობასა.

* * *

კამეჩის მეხრე ვიყავი,
მეში მეცვა და მეხვია;
ასი მომიკლავს თათარი,
ორასი დამიჩეხია,
არსად რა მითქვამს აქამდინ.
არსად რა დამიკვებია: —
ვაუკაცს, ქალებში მკვებარსა
თავში დაეცა მეხია!

* * *

ე შალიკო დაინიშნა
იწილითა, ბიწილითა,
ძალლი მაყრად გაიყვანეს,
კატა კვდება სიცილითა.

* * *

უკანა მეხრე უკულმა
მცხეთის საყდარზე სწერია.

* * *

ხარმა თქვა: მეხრემ შამაბა
დაუბანელი ხელითა,
დამკრა და შემომაგინა
თავის ურჯულო ენითა.

* * *

მინდორში ბალახ-ბულახო,
ყანავ, გერია ქიოტა,
მეხრეები იძახოდნენ:
—მეველემ დაგვაწიოკა.

* * *

ამ ბეუიტანთ დათუას,
სიტყვა მოუდის ამაყი,
სოფელი არას ამბობდა,
მეველეთ დადგა ძალათი.
სამსონა მუხრან გაგზავნა,
ნიკა გაგზავნა ქალაქში,
თავათაც გუთანზე დადის,
საქონელია ყანაში.
მეზობლები ჯავრდებიან,
— რითვინ დადიან ყანაში.

• •

გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცქერ შემოუარა,
ნეტავ რა ხარმა გაუძლო,
ან და რა მეხრემ იარა?!

დ ა მ წ ყ ე ბ ი :

ღმერთო და ღვთის სამართალო,
შენ მომიმართე ხელია,
უწინ შენ მომაკვლევინე,
ჩვენზედ მოსული მტერია.

ბ ა ნ ი მ ე ხ რ ე ე ბ ი ს ა :

გავიდეთ ბიჭო, გავიდეთ ბოლოში,
არავინ დაგვივარდება,
ხარ და კამეჩი კარგი გყავს
სახელიც გაგვივარდება.

* •

პარალო, ვარდის უბანო!
ჯერ ხარო, მერე გუთანო!

IV

* • •

მუშას წელი ნუ აპტკივა,
ფურსა ძუძუ, ხარსა ქელი.

* • •

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნათ,
ცა დაიხურა თავზედა,
სასახლე, სადარბაზვი
დგას ოქროს ბოძობაზედა.

ადამიანის შენახვა
ვერავინ იღვა თავზედა.
ხენა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა
გაჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა თქვა პირ-ნათლიერმა,
მე დამაწერეთ რქაზედა..
მოცივედნენ ანგელოზები,
დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა.
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,
მიაკრეს ორსავ რქაზედა,
შვიდიც უბოძეს სარტყელი,
გაგზავნეს ქვეყანაზედა,
— წადი ხარო, იმუშავე,
ერთგულად მთა და ბარზედა:
შეგაბას შენმა პატრონმა,
გამუშავებდეს ძალზედა,
ექვსი დღე უღელში ები,
მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
კვირა-უქმეს გამოგიშვას,
გაგიშვას საძოვარზედა,
ვინც კვირა-უქმეს შეგაბას
ხელიმც შეახმეს მკლავზედა.

ხარმა შესტირა გამჩენსა
მარგალიტისა ცრემლითა:
— მიშველე, ჩემო გამჩენო,
სისხლი მომადგა ყელშია,
შემამბენ პირ-უბანელნი,
სახრეს მიშენენ წელშია.
გუთნიდედისა ხენაშია,
სახრე გადმომკრეს თავშია,
დაჩოქილი შემოგბლავი
მალლა მეუფეს ცაშია:
მიყრიან რკინის ტაბიკსა,
მეგრიხებიან ყელზედა,

არ მემართლება, მეუფევე,
ავაგო რქისა წვერზედა?
— აქედან როგორ გიშველო,
მეც მაგინებენ ცაშია,
მე მაშინ მოგეშველები,
რომ მოვლენ სამართალშია.
დავადგამ რკინის უღელსა,
შეევგზავნი ჯოჯოხეთშია,
გველსა ტაბიკად უყრიდე,
იკლანჭებოდნენ წელშია,
წინ ეშმაკებს გაუმძღვარებ,
ჩავრეკავ კუპრიელშია.

* *

შენი ჰირიმე, ნიკორავ,
ჰირიმე შენის ძალისა,
შენდ მაუცემავ უფალსა
ძალ-ლონე ამირანისა,
გამსწორეი ხარ, ნიკორავ,
მალა მთა, დაბლა ბარისა,
ერთგულადა სწევ უღელსა,
უდარდელი ხარ ჯავრისა.
უხარის შენსა პატრონსა,
კვალს გადააწყობ კვალზედა;
ბიბინით გახოლ-გამანოლ,
გვერდო და მოედანზედა.
ექესი დღე შრომობ გულდაგულ,
მეშვიდეს სწევხარ რქაზედა.
ღვთისაგან კურთხეული ხარ,
გადგება სვეტი თავზედა.
შენი ჰირიმე, ნიკორავ,
ჰირიმე შენი ძალისა,
შენდ მაუცემავ უფალსა
ძალ-ლონე ამირანისა.

* * *

რათ იცით ლუბი ხარები —
მაისში მიწის მამხვნელი,
ცხრა-ულელ ხარის ძალა მაქვს
მტერ-მოჯახესთან საცდელი.

* * *

ნეტავი, შვილო ბერელავ,
დედას არ გაჰჩენილიყავ,
გიყვარდა ხარი, კამეჩი,
ყველა საქმეში წინ იყავ.
ოსები შემოგეჩვივნენ —
ძალლიაი და თინიკა,
იმათ დაგპარეს ხარები,
სულ ამოგადგეს ძირითა.
შებმულ გუთანს დაინახავ,
სამპირს იტირებ დილითა,
ნეტამც იმათ არ წაესხა,
შინ დაგხოციყო ჳირითა,
ტყავებს ქალამნად გასცვეთდი,
ხორცს შინ შეჳამდი ლხინითა.

* * *

წლეულ გვალვ დაიჳირა,
არ მოიყვანა წვიმაო,
ვენახები გაგვიფუჳა
ყანები წაგვიხდინაო.
რასაც უნდა, ღმერთი გვიზამს,
ვინ დაუდგება წინაო,
გადაახმო მთა და ბარი
წყალს დაუჳარგა ბინაო.
ადგა და ხარი წავიდა
უფალთან პირდაპირაო,

ხარი უფალთან წინ წადგა
თვალს ცრემლი მოედინაო.
— უფალო, მშვიერს რაზე მკლავ,
ზურგზე მკიდია ქირაო.
მუხლებმა რომ მიღალატა,
პატრონმა წამიშინაო.
აწ რა ქნას ჩემმა პატრონმა
აძლივა წინდაწინაო,
ვერც ბზე იშოვა, ვერც თივა,
შენც ბევრი შეგაგინაო.
ამ ხარის ლაპარაკზედა
უფალსა გეეცინაო,
— ეგ ჩემი ბრალი არ არის,
თქვენი ხელმწიფის ბრალია,
ქალაქში გემ-ხომალდები
სულ იმან გააჩინაო.
ეშმაკები და ქაჯები
ოსტატად დაიჭირაო,
ვინ გაიგონა ხმელეთზე —
გზაზე დააგო რკინაო.
— შე დალოცვილო უფალო,
გემ-ხომალდების გაჩენა
ხმელეთსაც გაუხარდაო,
პური გულუხვი გახადა,
დაგვიიაფა ქირაო.
— წადი ხარო შენ გზაზედა
შენ ისევ ის შეგინახამს...
რომელმაც გაგაჩინაო.
თუ ბარად ვერ გამოორჩები
მთაში მონახე ბინაო.

* * *

ხარო, დადგა მისი,
ახლა ხორციით გაივსი;

წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალალდი.

* * *

ხარო, ხარი ვინ დაგარქო,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედ-ნაკურთხო, ღონიერო!

* * *

უნდა შევაბა ხარები,
დავძახო ოროველაო,
სადაც კი მინდორი არი,
უნდა გადავხნა ყველაო.

* * *

დაუბერე ლეგა ხარო,
კვალი უნდა გამოვჰყარო.

— * * *

გასწი ხარო, კაი ხარო,
გამახარო, გაიხარო.

* * *

გასწიე ხარო, ნისლაო,
პატრონთან გინდა მისვლაო.

* * *

გასწიე ჩემო ლეკიავ,
ფიცხო და ხალისიანო,
ნურც შენ მაიწყენ მინდორავ,
გულდინჯო, იმედიანო.

* * *

გასწიე ხარო, გასწიე,
საცაა გათენდებაო,

ჩვენი მოხსნული მიწები
პატრონსაც შეერგებაო.

* *

გადი-გამოდი თათლაო,
მზე ამოვიდა, დათბაო.

* * *

ხარი ვარ, ხართან შემაბი,
ხარულათ გამაწვევინე,
შუაში ტოლი ჩამიდე,
სამართლით გამაწვევინე.

* * *

ხარმა იცვალა' მხარია,
ღმერთო, შენ დაგვეხმარია!
გუთნეულს მიეც ძალია,
მტერს დაუყენე თვალია!
საქორწილო პური ვაცხოთ,
გადავიხადოთ ვალია.

* * *

ხარსა ერეკე, ერეკე,
მოზვერსა ეჩიჩინეო.

* * *

ერთაწმინდელი კაცი ვარ,
მალი-მალ შავალ ტყესაო,
უღელი ხარი არა მყავს,
გამოვიტანო შეშაო.
მოვალ და დავაცქერდები,
ჩემ ამოცხვირულ ხესაო,

არ მოვიძულებ მოკეთეს,
არ გავახარებ მტერსაო.

* * *

უღელი ხარის პატრონი
ვერ წავა ჯვარობაშია,
თუ წავა ჯვარობაშია,
დარჩება შუა გზაშია.

* * *

უღელი ხარის პატრონი,
ერთაწმინდას როგორ დავდგე?
წელზე ხმალი არ მაკვრია,
მტერს პასუხი როგორ გავცე?

* * *

— ნიშა, ნიკორას გაუწი,
ნუ უღალატებ ტოლსაო,
— ვცუღლუტობ, თორემ ჯერ ჩემთვის
არ უჯობნია ტოლსაო.

* * *

ხარმა სთქვა, ხარი ვერ მამკლამს,
თუ მეხრე შამხვდა ხვთიანი,
ხანგამოშვებით დამძახოს —
სიმღერა ლაზათიანი.
თუ მეხრე უღვთო შემხვდება,
რას ვიქმ უენო, რქიანი...

* * *

ხარმა უთხრა გუთანსა:
— მამბეზრდა შენი მაგდენი თრევაო!

გუთანმა უთხრა:
— მეც მამბეზრდა შენი მაგდენი ჭმევალ!

* * *

უკულო ხარი კუდისთვის
საძებრათ იარებოდა,
მებაღემ ყური მოჰკვეთა,
არამც თუ კუდი რგებოდა.

* * *

მამასახლისის ხარსაო
წავაგდებინებ რქასაო,
წავალ, ქალაქში გავეყიდი,
ვიყიდი ზანზალაკსაო,
დავჰკიდე, დავაუღარუნებ,
მივეყები იმის ხმასაო.

* * *

აშურიანთში ფეტვი ვხან,
შიგ ამოვხოცე ხარია,
გვალვაები დაიჭირა
ცას არ გავარდა ნამიო.

* * *

თვალი გამოგძვრეს, პაპუჩი,
ხარი აძოვე ზაფხულში,
საქმე რომ გამოგელიოს,
დაჯექ და დაფშვენ ნაქუჩი.

* * *

ვერ გავძელ დარში სიცხითა,
ავდარში სიცივითაო,
ამ ზამთარ ჩვენი ხარები
ბლაოდენ შიმშილითაო.

* * *

ამილახერიანთ მოგვასწრეს,
წელი მოგვწყვიტეს ცემითაო,
შავთვალა ხარი წაგვართვეს,
თვალი გაგვიესეს ცრემლითაო.

* * *

ლექსის ლილარმ მამიარა,
სახნავსა ვარ, საფარავსა;
დალაღვა არ მეეკიდა
ამ ჩემს ხარსა მასხარასა.

* * *

ხარი გამიხდა ავადა,
ძირს ჩაუცვივდა თვალეზი.
არ მოკვდე, შენი ჭირიმე,
პატრონი გენაცვალეზი.
რალა ვქნა შენ რომ მომიკვდე,
გამომეჭრება კარები,
მოკეთე დამიღონდება,
მტერს-კი არ შევებრალები.
ბევრი შაგელის სიკვდილსა,
დახივოს შენი ქალმეზი.

* * *

ხარი მამიკვდა კვირისა —
ცეცხლი წავყარე პირისა,
ისიცა ვლანძღე, ვაგინე, —
გამამშვებელიც კვირისა.
მიველ დავლანძღენ ჯალათნი:
ეხლა დაძელით ძილითა,
სანამდე იყო ცოცხალი
არ გაუშობდით დილითა!

* * *

ხარმა სთქვა პირნათელამა,
გამოვათავე ალოო,
ეხლა შინისკენ მივდივარ,
უნდა გავმართო კალოო.

* * *

წითელო ხარო, ვერ შესძლებ
შავი კამეჩის ბრძოლასა!

V

პოტ-პუ, კამეჩო ღვინაო,
გასწი ყველაზე წინაო!

* * *

კამეჩი ღონიერია,
ულელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

* * *

კამეჩო, ღონიერი ხარ,
გამამტანელი ძელისა,
თელის უღელი გატეხე,
განგებ გათლილი თელისა.

* * *

კამეჩიანი გუთანი
ლალი და გამწევარია,
ეგრეთი ბელტი გადააქვს
აღლი და ნახევარია.

* * *

კამეჩიანი გუთანი
ლალია, გამდევარია,

მებატონისა მუცელი,
ადლი და ნახევარია,
საწყალი გლეხის მუცელი,
არც მისი ნახევარია.

* * *

ნიკორასა და ლომასა
მოვაგლეჩინებ გორასა.

* * *

ჰოტ-პუ, კამეჩო ლომო,
შეკრულო ვარდის კონაო,
შეგაბა, გაგაწევიწო,
მოვაგლეჩინო გორაო.

* * *

კამეჩმა თქვა: სიშავისგან
ტყავი მიმიგავს ბერსაო,
ზამთრის სიცივეს ვერ ვიტან,
ზაფხულში სიცხეს ბევრსაო;
ეს ცუდი ხასიათი მაქვს,
ვერ გავეწყობი კევრსაო!
კევრიდან კი გამომიშვი,
გინდა მაბრძოლე ძელსაო,
მალ-მალე ტყეში გამაგდე,
ნულარ მამკიდებ ხელსაო.
მგელისა არ მეშინიან,
ხროვას არ შევხვდე ბევრსაო,
ძალიან სქელი ტყავი მაქვს,
თხელი ტყავი აქვს ცხენსაო.

* * *

ჰოტ-პუ, კამეჩო, ნიკორა,
მეუღლემ ვერა გიყო-რა:

ჰოტ-პუ, კამეჩო, კაკლია,
შენს პატრონს პური აკლია.

* * *

სამ უღელს ხარს და კამეჩში
გამოგარჩიე ლომაო,
მეუღლემ ვერ გაგიწია,
მე რა ვქნა საბრალომაო?

* * *

— კამეჩო, მუხრანელი ხარ,
გაწევა გეცოდინება?
— მე მუხრანელი არა ვარ,
უღელი მეჩოთირება.
— კამეჩო, მუხრანელი ხარ,
უღელი გეცოდინება,
უნდა გასწიო უღელი,
ტყუილათ გეჩოთირება!

* * *

ჰოტ-პუ, კამეჩო, ნაიბო, . .
რა დაგემართა, რა იყო?
— სიცხემან გული ჩამთუთქა,
სიგრილუ ჩემი ძმა იყო.

* * *

დაცხა და დადგა ლულია,
კამეჩებს ველარ უვლია.

* * *

ჩავეარდი საგონებელსა,
როგორც კამეჩი მორევსა,
ვიწეე და ვერ ამოვსულვარ,
ვაიმე ჩემსა ღონესა!...

* * *

კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლათში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

პოტ-პუ, კამეჩო, რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
მეხრცობას ვერ გაგიწევ,
პატარა ბიჭი მქვიანო.

* * *

კამეჩი მყვანდა ნიკორა,
ვაქებდი, არა იყო-რა.

* * *

✓ ერთი კამეჩი გავყიდე
ქებითა და დიდებითა,
შევხედე, ისევ მოჰყავდათ
წყევლითა და გინებითა.

* * *

— კამეჩო ილარიანო,
ეგენი ვინ არიანო?
— მცემენ და მიტყაპუნებენ,
არ ვიცი ვინ არიანო.

* * *

კამეჩო, შენ შენი ღღენი
რა უკუღმართად ბერდები:
წახვალ და გაიპარები,
მე უნდა ვზიდო ღვედები.
შენ იცი ტყეში გაპარვა,
მეც მოგიგონე ხერხები:
დავგარიხე წვრილი წნელები,
მაგრა გაგიბი ფეხები.

* * *

კამეჩო, ეგ შენი ღღენი,
რა უკულმართად ბერდები,
ერთხელც იქნება მოკვდები,
ცას ხომ არ შეაბერდები.

* * *

ოტუტუშაო კამეჩო,
რა დაეაშავე შენზედა,
გაგითიბევი ბალახი,
თივა შაგიდგი ხეზედა.

* * *

ლომა კამეჩმა იჩივლა,
მალლა შემიდეს თივაო, —
ვეწოდე, ვერ ჩამოვიღე,
გულის ფიცარი მტკივაო.

* * *

კამეჩმა უთხრა პატრონსა,
სულ ეგრე ხარ ენა-ფლიდი,
ზაფხულში არას მაკმევედი,
შენ ზამთარს რას მომივლიდი.

* * *

პოტ-პუ, კამეჩო, კუდაო,
ვენახს მოლობვა უნდაო.

* * *

— კამეჩო, კუდი ვინ მოგჭრა,
ვის მოუძოვე ყანაო,
— არავის, ჩემო პატრონო,
ტყუილად დამაბრალო...

კუდამ დაიწყო ტირილი,
კრემლები ჩამოყარაო,
ტყუილად დამაჩიხავეთ,
არ-მიძოვნია ყანაო.

* * *

მოყვრისეულო, კამეჩო,
ცოლის მზითევეო, განაო,
ნეტა ბალახი გეძოვა,
არ წაგეხდინა ყანაო.

* * *

— კუდავ, ჩემო საყვარელო,
გუთნის მაძუგძუგებელო!
— არც ისე მეხალისება,
ძალათ მაძუგძუგებენო!

* * *

კუდა და მარტი შეიბნენ,
კუდამ აჯობა ხერხითა,
თბილად შევიდა ბოსელში,
მაგრა დაება ფეხითა.
ბანიღგან მარტი ჩასძახის:
— კუდავ, გამოდი კარშია!
— შეიდ მაისობას გამოვალ,
გადავგორდები ლაფშია!

• * *

კამეჩმა ზაქი მოიგო
ურქო, უკუდო, უყურო,
ი რო გუთანში შევაბა,
უნდა დაჯდე და უყურო.

• * *

შენ რომ ზაქები მომყიდე,
ერთი დადგა კარგი ზაქი,
იგეთი ღონიერია,
ვერ გაწყვიტა ბამბის ძაფი.

• * *

ნიკორას შემოუთელია,
წელი და გული მტკივაო,
სიცივით გული კანკალებს,
თვალთაგან ცრემლი მცვივაო.

• * *

მოდო კამეჩო გზასაო,
ნუ ეტანები ძნასაო,
ახალი სევდა გულში მაქ,
რითღა უშველო თავსაო.

• * *

კამეჩო დიდი თავი გაქვს,
ნუ გადამყიდებ ბალასა,
მუცელი ველარ გავიძდე
იმ ოხერ-ტიელ ქალაქსა!

• * *

კამეჩო, შენი პატრონი
ყელში გიყრიდა დანასა;

ვაი თუ ველარ ვიყიდო;
ვერ შევხვდე შენისთანასა.

* * *

შავსა კამეჩსა პატრონი
ყელში უყრიდა დანასა,
— ნუ მომკლავ ჩემო პატრონო,
სხვას მოგგერი ჩემისთანასა.

* * *

დავწყველი, აღარ გავივლი,
ი იმერეთის გზაშია,
იქ რომ კამეჩი ვიყიდე,
იმან ჩამაგდო ვალშია.
ქალაქს საპალნე დაუდე,
დამიდგა ღართის კარშია,
ქანდაში თივა უყიდე,
გამოუტანე ქსანშია,
ბედასლი პატარძალივით
უკან დავდევედი ლაფშია.

* * *

✓ ერთი კამეჩი ვიყიდე,
ის გასახეთქი მგლისაო,
ოცი ტაბიკი გატეხა,
ორი ოც-ოცი წლისაო,
ოცი სახრე დავამტვრიე
სულ იფნისა და ზნისაო.

* * *

თომასეულმა კამეჩმა
ძრიელ დაიწყო ველობა,
ორიოდ წელი ვთარხნე
ანეულობა, ქერობა,

შევებით მერე გუთანში,
ძრიელ დაიწყო წვერობა,
— რაც გინდა ძრიელ მიშალოთ,
ეს არის ჩემი ხელობა.

• • •

კამეჩები დამეკარგნენ,
დაუღლული ხარებიო,
შინ ვერ შევალ შიშითაო:
რძლები მცემენ ციცხვითაო.

• • •

ყორანამ უთხრა ლალასა,
— ჩვენ ნუ ვიზამთო მაგასა,
გაგვიგებს ჩვენი პატრონი,
უღელს გაგვითლის მაგარსა,
ჯაგ-რცხილის სახრეს მოგვიჭრის,
მოგვარტყამს მაგარ-მაგარსა...
დაბრუნდა ლალა კამეჩი,
დაადგა ძროხის ლალასა,
წინ შეინდა შემოქყარა —
გავექეჭები ამასა...
შეინდა ეტყოდა ლალასა:
— თავი მანებე მე აქა,
როგორც მოსულხარ გაბრუნდი,
თორემ აგიტეხ ბალანსა,
ბევრი ტაბიკი მოსტეხე,
ვერ მოსტეხ ჩემისთანასა!
შეინდა და ლალა ეძგერნენ,
შეინდა ატანდა ძალასა;
ლაღამ ამოიქედურა,
გვერდები დაჰკრა ალაგსა,
მეძროხეები მორბიან,
სულზე ასწრებენ დანასა.

ერთი ვირიც მოიყვანეს,
 — ლალა ავეილოთ ამასა!
 ვირმა ყროყინი დაიწყო:
 — მე ვერა ვზიდავ ამასა...
 — შენ რა გინდოდა კამეჩო,
 მინდერად გეძოვნა ბალახი,
 ხანდისხან ხილად გენახა
 ალზევანი და ქალაქი.
 — შენც რა გინდოდა პატრონო,
 ცოტა რამ ხარჯი გეწია,
 გეძლია თითო აბაზი
 თითო კალათა ბზეშია.
 გინდოდა ჩემი სიკვდილი,
 დაჯექ და ჭამე ლეშია.
 მე მაშინ მოგაგონდები
 შავი აღმართის ყელშია,
 შეგებას წვრილი მოზვრები,
 იკლაკნებოდნენ წელშია,
 წითელი შოლტი გეჭიროს,
 ატრიალებდე ხელშია.
 ეძახდე, უჯავრდებოდე,
 სული ჰბჯენოდეთ ყელშია.

* * *

ავი რამ იყო ზამთრები,
 საბძლებსა ჰგლეჯდა ჩალასა,
 ქეშელამ კრეფა დაუწყო,
 — კამეჩებს ვაჭმევ ამასა!
 — ქეშელავ, შენი კამეჩი
 შენვე გიპირობს ლალატსა,
 — ასრე გავუხდი საქმესა,
 ყორნები ესხდეს გავასა!
 ადგა კამეჩი, წავიდა, —
 წყალი დავლიო ქალასა.
 შემოხვდნენ მეცხვარეები,
 — ტყავი გავაძროთ ამასა!

საქალმედ გამოგვადგება,
ვირს გადავადვით გავასა.
ვირმ დიდი დაიყოყნა:
მე ვერა გზილავ მაგასა.

* * *

ჯორი სჯობს საქონელშია,
კარს მოვა აკიდებულნი,
მასთანვე ხარი-გუთანი
ბრტყელ მამულს გაკიდებულნი,
შიგ მოსაველი ქერ-პური —
თავ-თავზედ გადადებულნი.
ყანის სამკალად ქალი სჯობს,
საქმარედ დამწიფებულნი,
ძნისი საკერელად ვაჟი სჯობს,
ახლად წვერ დაწამებულნი.
სოფლის გვერდზედა ციხე სჯობს,
საომრად დამთავრებულნი.
შიგნით საკიდლათ თოფი სჯობს,
სიათა გაქრელებულნი,
იმის სასროლად ვაჟა სჯობს,
გუნება გაჯავრებულნი.

* * *

— მოდი შირაქში წავიდეთ:
იქ გვიბარებენ შეილები.
— აბა შირაქში რა გვინდა,
აქაც ბევრ მოდის სვილები!
— მოდის და, რაით მოიტან,
უნდა დაკაზმო ვირები.
— მათ ენაცვალოს პატრონი,
დააქვის თეთრი ცხვირები.
აღმართში დარატრატდება,
ქვემოთ მე დავეხირები.

— იქ ყველას ურმით მოიტან!

რა გაქვის გასაქირები!

— ურემს მაუკვდა ამშენი,

დამმწვეტებელი ჩხირების,

გადაბრუნდება ლაფშია,

დადექ და კრიჟე კბილები,

იმას ვერ ამოათრევენ,

თუნდა დახვიო გმირები.

— თითონვე გამოიტანენ

შავი კამეჩის შვილები.

— კამეჩს მოუკვდეს. პატრონი,

იმათ თუ ველუპვინები:

არ ეყოთ სადილ-ვახშმათა

ფშავ-ხევსურეთის თივები.

* * *

მიწა მოხან ნაგზაური,

ყანა მოვა აზნაური.

* * *

პარალო ბიჭო გოგია,

მოხან და ბევრი შოგია.

* * *

გადავიდა, გაღიშალა,

თეთრი პირი ვარდივითა!

* * *

ქერმა თქვა:

— არ მამხან ნაპირ-ყურითა, —

არც მე გაგაძლე პურითა.

* * *

მამიხან ნაპირ-ყურითა,

გოლორს აგვისებ პურითა.

— დედას უტირებ მტერსაო,
უფრო ბევრს მოვხნავ წელსაო.

*

ამ ჩვენსა მამასახლისსა
ძალღი დავარქვათ ტურია,
ნახნაფ-ნათესი გაუწყდა,
არ მოუვიდა ჰურია.
სხვებმა რომ კალო შეაბეს,
იმას უსქდება გულია,
როდესაც გადაიცივალს,
ძალღი დაუკლათ მურია!

* * *

ასე ჰგონია ღუშმანსა,
არცა ჰხენენ, არცა სთესენო,
არცა უბიათ გუთანი,
არცა კალოსა ლეწენო.

* *

ცხნათ და ვთესოთ, ლხინი ენახოთ,
ზედ დაელიოთ კამურიო;
თუ ბატონმა შეგვაწუხოს,
გამოვიხსნათ მამულიო.

* * *

ვინც ზაფხულობით არა ხნავს,
ზამთარში სად რა იშოვოს,
სიცივით მაინც მოკვდება,
რაც გინდ პატარა ითოვოს.

* * *

ან უნდა ძმასა ძმა ჰყვანდეს,
ან კაი შვილი მამასა;

ან უნდა ბიძას ძმისწული,
ეგეც მოუხნავს ყანასა.

* * *

ღმერთო, შენ გარიგებულსა
კაცი არ უნდა ჩიოდეს;
უნდა მოხნას და მოთესოს,
პური არ უნდა შიოდეს.

* * *

— შენ გენაცვალე, გამჩენო,
რა და რა უნდა გვაჩვენო,
აწალთესული ყანები
სალხინოდ უნდა გვაჩვენო.

* * *

— ბედი ხნამს და ბედი სთესავს,
ბედი მოიყვანს ყანასა.

* * *

ღღისით ვხნავდი, ვალალობდი,
ღამე ვაქცევ შავსა კლდესა,
ოცს ერთი გადავაცილე,
ნულარ მომკლავ შენსა მზესა.

* * *

ჯავახეთი მიტომ მიყვარს,
რომ პური მოდის ბევრია,
ადგილიც აღარ მექნება,
ორმოს ამივსებს ქერია.

* * *

წუთისოფელმა დღე ჩვენი
ძიმწარე დაგვალევინა!

არც მოგვკლა, არც დაგვარჩინა,
არც დღენი დაგვაღვინა.

* * *

ღირბი, ღირბიო, ღირბიო,
სოფელი ვნახე დიდიო,
ლეკები გადმომეგებნენ,
ლეკები დაღისტნელიო,
ერთმა მესროლა ლეკური,
მეორემ დაატანაო,
მესამემ თოფი დაცალა;
ახლო არ მამეკარაო.
სამივ დავკოჭე ლეკები,
მივგვარე ათაბაგსაო,
იმან ზილდანში ჩაყარა,
ბორკილი შეუყარაო,
იმისი დედ-მამა ცხონდეს,
მე ჯავრი ამამყარაო.

* * *

გადი თავსა, გაჭმევ ფლავსა!
გადი ბოლოს, გაჭმევ ღოლოს!
გადი-გამოდი, ერთია,
ჩვენი მშველელი ღმერთია!

* * *

ორიოდ შემოუარე,
ნალარი ამოვარდება...
მამასახლისი მოჰყვდება,
სუღია ამოვარდება.

* * *

მიჰყევ-მოჰყევ მიჯნასაო.
ნუ გადახვალ სხვისასაო, —

თუ გადახვალ სხვისასაო,
ფული გედვას ქისასაო!

* * *

მიწავ, მოგხაწი ლილიწით,
გადავაქრელე ველები,
გუთნის დაქერით მეტკინა
დაკოჟრებული ხელები.
შემოდგომამ მოატანა
მოგთესავ გენაცვალები,
თესლი არ მქონდა, ვიყიდე,
სხვისგან ავიღე ვალები.
ფარცხი მეზობელმა მომცა,
ახლა მაკლია ხარები,
ხარებსაც მიხა მათხოვებს,
ღმერთო, მომეცი დარები.
ვინძლო, რომ კარგი მოვიდეს,
მეც ავახილო თვალები,
გინდა შიმშილით ვკდებოდე,
ჩემ მტერს არ შევებრალები.

* * *

შეწუხებულა ნალარი,
საითყენ გავიპაროვო,
თავი და ბოლო დამახნეს,
შუაზე გავიყაროვო.

* * *

ნალარი და ნალარღალი
მოხნულა და აღარ არი.

* * *

დიდება, მადლი უფალსა,
მიწა მოუხნავს გუთანსა!

* * *

მაშინ ვაქებ ალოსაო,
როცა გავლევ კალოსაო.

* * *

მზევ, ჩადი და ალოვ გადი!..

VI

* * *

გადაჰკა, ბიჭო, ნიშასა,
ცულლუტობს ცოტა კვალშიო,
აგერ სადილიც მოგვივა,
ამოიცოხნოს ვალშიო.

* * *

თრიალეთს მება გუთანი,
ჯავახეთს მანჭი მეჭირა,
ქართლიდან სადილს ველოდი,
მეხრეებს თვალი ეჭირა.

* * *

დაბუაშვილო გელოო,
ეგრე რამ გაგამგელოო;
გუთნისა ჯერი გეყოფა —
ერთი ქოთანი წველოო,

* * *

მამულსა ეხნავ გრძელასაო,
სადილ მოაქვს ლელასაო,
მამულსა ეხნავ ნარიანსა,
სადილ მოაქვს მარიაშა.

* * *

საერისთვოს სულ დავივლი
ტონჩასა, გრემისხვესაო,
თეზელბ ქერივი მოგგვარო,

თვალეზი უგავს მწყერსაო,
ანეულისა გუთანზედ
მოგირბენიებს ჟერსაო,
ჟერ წყალსა დაგალევინებს,
დაგაბანიებს ხელსაო.

* * *

ულელი ხარი შევები,
ერთსა დავარქვი ნიშაო,
პატარძლებო, გაგვისტუმრეთ,
სხეასთანაც გვინდა მისვლაო.

* * *

კამეჩმა წიხლი ისწავლა,
ურემმა გაგორებაო,
გოგო, აქეთ მოიხედე,
ნუ იცი გამგუნებაო.

* * *

კამეჩი დამიბულავდა,
მამარბევიანა გოხები,
ღმერთმანი გოგოვ, გაკოცებ,
გინდ დამამტვირონ ჟოხები.

* * *

ჰოტფრუ, კამეჩო ლომაო,
შეკრულო ვარდის კონაო,
განა მე არ მამიხდება,
ლამაზ გოგოსთან წოლაო.

* * *

შავი კამეჩი დამიდგა,
გვერდზე მოუდგა ლომასა,

აგრე გონიათ ჩვენ ქალებს,
ფულებს მოგვიტანს ბლომსა.

* * *

ადრე აუდექ ხარებსა,
მამუა ხარებშია,
გადააბრუნე ლამაზი,
აკოცე თვალებშია.

* * *

წყალი მწყურიან, წყალს დაეღევ,
დავეწაფები გუბესა!
წვალ და ჩავეხუტები
ივანეს გოგოს უბესა!

* * *

ამალამ გუთანს გავყვები,
გამოვახვნიებ ალოსა;
წვალ და ჩავეხუტები
ი ფეფელანთ ანოსა.

* * *

ქალო, იანვარ გენაცვლოს,
შაფრინდი საყვეარზედა,
რა ჯუბან დაგამძიმებენ,
არ გწვდება ნახეარზედა.

* * *

მარტში შევაბი გუთანი,
აპრილში უთხარ „ჰედაო!“
ე ქალი გამამიგზავნე,
მზევინარისა დედაო.

* * *

მოდი, შევაბათ გუთანი,
გამოვიყვანოთ ალოო.
გამოვიყვანოთ ლამაზი,
შევაგვევინოთ კალოო.

* * *

სიყვარულმა და ნდობამა
სიკვდილ არ იცის ქალისა,
ნეტავი ნისლად მაქცევა,
გადმოვივლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა ჰხნავ ხარითა.

* * *

ვაჰმე, რო დამიგვიანდა,
ველარ მოვხედე ხარებსა,
დავიარები სოფელში,
დავეძებ ლამაზ ქალებსა.

* * *

მომეწყინა მეხრეობა,
ლალვა შავი ხარებისა,
არ მომწყინდა შენი ხვევნა,
კოცნა შავი თვალებისა.

* * *

მეხრეობა მამეწყინა
ლალვა შავი ხარებისა,
სტვირის დაკვრა მიამება,
წინ გაძლოლა ქალებისა...
მე ძილი მეძინებოდა,
ძილმა წამილო ბურანმა,

უღლიდანა ჩამოვარდი,
ხარმა გამთელა მურამა.
ახალ-სოფელში ჩამოველ,
პური მშიოდა, მშიოდა,
პური არაეინ მაქამა,
ყველა არ ქონას ჩიოდა,
დაიქცეს იმათ ოჯახი,—
ჭერები ჩამოდიოდა,
იმათი ქალი და რძალი
შავეებით გამოდიოდა.
მეხრეებს პური მოჰშიედა
სადა ხარ ჩემო ქალებო?

• • •

ზაფხული მოვიდა,
დაეხნათ ყანები,
მაყვალს დავადართ
შენი თვალები,
სულ შენ გენაცვალოს,
ჩვენში ქალები.

• • • /

ანეულობა, ქერობა,
ლამაზ ქალს უნდა ფერობა.

• • •

ანეულისა გუთანო,
ლამეც გიტეხე ბნელია,
შეყვარებულის დათმობა
სიკვდილზე მეტათ ძნელია.

• • •

— შენი ქირიმე გუთანო,
ჯამბარას ბანი უთხარო,

— ჯამბარას ბანი არ უნდა;
პატარ გოგონას უთხარო.

* * *

ნაპირყურის მოხენა მიყორს
ლორდიანის ყანისა; -
გვერდზე წამოცქერა მიყორს
თვალეუეუნა ქალისა.

* * *

გააყოლე ხარი ხარსა,
ის ლამაზი ქალი ქმარსა.

* * *

ქალებო, თქვენი ჭირიმეთ!
ნეტავ ვინა გყავთ პატრონი?!
ამალამ ჩვენთან წამოღით,
მეხრეები ვართ მარტონი!

* * *

ჩემო კამეჩო ქედაო,
მუშაობ ზედი-ზედაო,
ამ ლექსებისა მამგონი
სანდრუა გუთნისდედაო.

ნაღუჩი



I

* * *

ამ დილას ადრე ავდექი,
ცვარი ვამცვრივე მცვრისაო,
პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ძალი ვადილოთ ღვთისაო.

* *

სიმიინდი რომ ამოვიდა,
ჩემსა ძმასა ეს ეუთხარი:
ღურგლობაში ნაქები ხარ,
თოხს დამიგე გრძელი ტარი.
დაყოვნება არ გვარგია,
სულ გავთოხნოთ სათოხარი,
ხარებს უნდა ჩალა-ბულა
და ქათმებსა საკენკარო.

(იმერული ნაღური)

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულაო,

ღმერთი ისრე შეგვეწევა,
 როგორც რომ ვალდებულისა,
 მასპინძელ კარგად გემასპინძლობს
 გულითა მზიარულითა.
 მთაში ურემი გავთალე,
 შინ მოვიდა გორებითა,
 აქ სიცოცხლით გაჯერდება,
 საიქიოს ცხონებითა.
 ჭალას ნიგოზი მოვრეკე,
 ავბოჭე კაკაღეია,
 შენ, დიდო ღმერთო, დალოცე
 აქ დიდი, პატარეია,
 ჩიტე შემოჭდა ღობესა,
 იძახის ინო, ინოვო,
 შენ, დიდო ღმერთო, დალოცე,
 ვინც დაგვირიგოს ღვინოვო.
 ყანაშიდა გარღვიხედე,
 შიდ იყო ორი ღორია,
 შენ, დიდო ღმერთო, დალოცე,
 ვინც დაგვირიგოს ღომია.
 ცამა დასჭეჭა, დაბდგვინა,
 ზეცით შეიქნა გვიგვინი,
 შენ, დიდო ღმერთო, მოგვესწარ
 მასპინძლის შვილსა გვირგვინი.
 რიონი მოდიდებულა,
 ზე მოაქეს ძირიანათა,
 მასპინძელ დაგვალოცვინე
 ცოლიან-შვილიანათა.

(გურული ნაღური)

ოდელია, დილა, ოდელია ოხოხოია, ჰოი!
 ვაი და უი დაეცა, ძმანებო, ჩვენს მტერს თავში, ჰოი,
 ჩვენ მშვიდობა. გამარჯობა მოგვეცეს ღმერთმა,

ამ ყანის ადრე გათავება და კაი კეთება,
ვოხოხოი ადილაი, ოდელია ხოი.

ამ დილას ადრე ავდექი, ჩიტი მოვკალი თოფითა, ჰოი,
ღმერთო, მშვიდობა მიეცი, ვინც აქ მოვიდა თოხითა, ოდელია
ჰოი,

შავი შაშვი ლაპარაკობს, ოდელია ჰოი,
მთა და ბარი უთოვნია, ოდელია ჰოი,
ხესა სურო შეყოლია, ოდელია ჰოი,
შევყევი და ზედ შევფრინდი, ოდელია ჰოი,
ზედა მახე შეწყობილი, ოდელია ჰოი,
შევფრინდი და დამიჭირეს, ოდელია ჰოი,
თავი დაღმა, ფეხი აღმა, ოდელია ჰოი,
სული ღმერთსა შევავედროთ, ოდელია ჰოი,
მძორი მტერსა მოსისხარსა, ოდელია ჰოი,
(აჩქარებით):

ვოდელია, ვოდელია ჰოი, ოდელია, ოდელია ჰოი,
ადილეი ადილეი ჰაა აპე,
ადილეი ჰაა აპე, ადილეი ვოჰო.

(მეგრული ნაღური)

ცუცუნი მელა მოტირის,
ზამთარი მოდის ძნელია,
საქათმოს კარსა მივდექი,
ვარიკა შემხვდა ძველია,
ვარჩიე, გამოვარჩიე,
ყვინჩილს ვატანე ხელია,
ღიასახლისმა შემიტყო,
კვიჭინს დაავლო ხელია,
ერთი ასეთი მიკივლა,
უცხად მომწყვიტა წელია,
იმ წამს შეყარა თემია,
ერისგანი და ღვდელია,
იმას შენდობა მოვსთხოვე,

მან მომიწვდა ხელია,
დარბაზს შიგნით შემეყვანეს,
ქალები ვნახე ბევრია,
ქალები ტყავს მიშინჯავენ,
წითელია თუ კრელია, —
მაშინდელ შეშინებულზედ
ახლაც არა მდევს ფერია.

(აქარული ნაღური)

ჩიორაი ჩიოდაო,
ნეტა რას არ ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.
თოფი ბატონს წაერთმია.
თურმე იმას ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.
ფიშტო ჰქონდა მოჭედილი,
იგი ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ტიროდაო,
ტიროდა თუ ჩიოდაო.
ხმალი ჰქონდა მოჭედილი.
იგი ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.
ცხენი ჰყატდა მოკაზმული,
იგიც ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ტიროდაო,
ტიროდა თუ ჩიოდაო.

* * *

შე დალოცვილო ყანაო,
აგეთ რამ მოგიყვანაო?
— ხარმა მხნა, კაცმა დამთესა,
უფალმა მამიყვანაო.

იმის მარჯვენამ იკურთხოს,
ვინაც დამთესა-დ მფარაო!

* * *

იგრუხუნებს ხანისკენ,
მიაშურე ყანისკენ!

* * *

„ოდღილა“ უთხარ ყანასა,
ნაფუზვარსა და კალასა!

* * *

ჩიტ მიზღვედა კაკაბსა,
პირში ართმევედა კაკალსა.
შეკრებილიყვენენ ჩიტები,
ისმენდნენ ნადის კაკანსა.

* * *

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მალე ყანის მკაც მოვაო,
ჩვენსა იქნება სიმღერა,
მტერთან კი დიდი გლოვაო.

* * *

ვთოხნოთ, ვთოხნოთ ჩვენ სიმინდი,
ბიჭებო, ნუ ხართ უგულოთ,
პერი, ბიჭო, გენაცვალე,
თოხნური დავაგუგონოთ.

* * *

სამნი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასაო,
მუშაობაც კარგი ქონდათ,
დასძახოდენ ნანასაო.

* * *

ელამა თუ მელამაო,
ჩიტი მოკლა ხველამაო,
შაშვი თავის ტეხამაო.
მივა გვრიტი სანახავად,
არ გაუშვა დედამაო.
— მიმავალი ბევრი ვნახე,
მომავალი ველარაო.

* * *

- მობძანდი, მქადო, კორიელს,
თუ ჩემი ბედი ღირსაო,
ზურგით წაგიღებ წისკვილსა,
აღარ გაკადრებ ვირსაო.

* * *

ალალსა, ალალ მუშასა -
ალალი სული ამოსდის;
ერთი დღის ნამუშევარსა
ერთი წლის სარჩო გამოსდის.

* * *

სამი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ის მირტყამდა, ხან ისი,
სამივე ერთ დღეს მომიკვდა,
ხან ის ვიტირე, ხან ისი.
სამივეს დარჩა ცოლები,
ხან ის მიყვარდა, ხან ისი.
სამივეს დარჩა ქონება,
ხან ის შევჭამე, ხან ისი.

* * *

გადაუხვიოთ და სხვა უთხრათო
სახელი დამალოცვიეთო.

თეიმურაზ, ღმერთმა დაგლოცოს!
რიონი მოდიდებულა,
ხე მოაქ ძირიანათო,
თეიმურაზ, ღმერთმა დაგლოცოს
კოლიან-შვილიანათო.
დაგლოცოს პირმა ღვთისამო,
ხატ-ჯვარმა გელათისამო.

• • •

ჩვენ არ გვეყო შენი ყანა,
მეზობელმა წაგიყვანა.

• • •

დადგა სიცხისა ალმური,
ბიჭებო, კარგი ბანი თქვით.

• • •

მასვი წყალი, ჩაფით წყალი,
გაშრა ყორყა, — კაცი მოკედა.

• • •

ბატონო შენი სასახლე
გვანდა ქალაქის ქუჩასა;
ხომ კარგად მოგეხსენებათ,
პატივი უნდა მუშასა.

• • •

ოდელია სამარგელა, ჰო!
ულვინობამ დაგვანელა, ჰო!
დელი-დელა-ოდელია,
ოდელია ნანინაო, ჰო!

• • •

მიმინოსა მწყერი უყვარს
შეგარდენსა ნადირობა,

თუ დედასა შვილი უყვარს,
ახლა კია სადილობა.

* *

დედას მოუკვდი მიხაკო,
სადილი სამხრათ მიგაქო.

* * *

ავიტანეთ ჩვენ ნაპირი,
შევასრულეთ დანაპირი,
მოგვიხარშე ძროხის ბეჭი,
მასპინძელო, რაღას გვერჩი.

* . *

ახლა ადილი, ადილი,
რა გვექნა ჩვენი სადილი!

* * *

შუადღეს გასწორებია, —
გვერდზე მოგვექცა ლანდია,
თუ რამეს გვაქმევთ, გვაქამეთ,
თვარამ წავიდა ნადია;

* * *

არგვეთის ამბავს თუ მკითხავთ,
ბოლოსა აქვს დიდი ტვერი;
დელის წისქვილი უშრებათ,
ქალებია მათი მფქველი.
ორშაბათ დილა გათენდა,
ქვევით მიდის ქალის ჯარი,
ქვეყანაზედ არ იქნება
მუშა-ქალი მათი ცალი,
თოხ-ტატაბი მხარზე უდევთ,
ხელში კიდევ თითისტარი.

საღამოს სამუშევრიდან
მოდის მთელი სოფლის ქალი,
მოდინ, მოიმღერიან,
როგორც დარაზმული ჯარი.
„ნადურიზ“ გუგუნს ბანს აძლევს
ბურღნალი და მთა და ბარი,
ნეტავი იმის ოჯახსა,
ვინც იქ აირჩია ქალი.

II

* *

ელიზბარ, კლიბო, ორპირო,
მის ღღეში თაღლითიანო,
ხან იქითა ხარ, ხან აქეთ,
საითაც ქვევრებს ხდიანო.

* * *

შემოსძახე, ბიჭო, ოსა,
მესადილეც ქე გამოჩნდა.
დადგი, გოგო, კალათაო,
ჩვენც ჩამოვალთ ბარათაო.

* * *

თეთრისა თხისა ციკანსა
შორს შეემჩნევა ვაცობა,
ღღეს სხვისა ღვინო გვამღერებს,
ხვალეა ჩვენი კაცობა.

* *

ბეჟანმა უთხრა თხასაო,
ძირში მიგაჭრი რქასაო,
იმას წავიღებ მკედელთან,
დანას დავაგებ ტარსაო.
იმას გავყიდი, ვიყიდი
გუნდა და ლახუსტაკსაო.

• • •

შენი ჭირიმე მკადლოვო,
შენი ბიჭობა ვცადოვო,
მანამ შენ არ მოგიყვანე,
ქალი არაეინ მანდლოვო.

• • •

გალმიდან ქალმა ლამაზმა
ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა,
აქათ მე დამაბნიაო.

• • •

მინდვრიდამა მოვდიოდნი,
დაღალული, ნაყანევი,
წინ ქალი შემომეყარა,
თვალეუეუნა საყვარელი.

• • •

დელი, ოდელი, ოდელა,
ოდელია, დელიაო.
გავკრათ გამოვკრათ თოხები,
ყველა გავიდეთ თავშია,
საცა კარგი გოგო იყვეს,
იმას ვაკოცოთ თვალშია.

• • •

როდის იქნება მოხვიდე,
სიმინდო, სათოხნელადა?...
ქალო, ტუჩები გიღუის
ბიჭების საკოცნელადა.

• • •

წამოდი, ქალო, წავიდეთ
სიმინდის სათოხნელადა...

ლოყები დაგწითლებია
ბიჭების საკოცნელადა.

• • •

იარე, ქალო, წავიდეთ,
მინდორს ყანები ვნახოთო,
დავკრიფოთ ია და ვარდი
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო.
ნეტავი ქალო, მე და შენ
ყანა რამ მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგელიმც გაპრია —
ფათალა მხვევრაიანი,
გვავლიენა სამარგლავადა,
ნაპირი მისცა ტყიანი.

• • •

ქალმა დამწყევლა ლამაზმა,
თმა-შეღებილმა ინითა,
ნეტავი მარტო შემყარა,
ზარხოშადა მქნა ღვინითა.

• • •

არალალო, კოხტა ქალო,
გვერდზედ მოგითოხნე კალო,
წინ სიმინდი დაგითესე,
დაიყარა ადლი ტარო.

• • •

ქართლ-კახეთისა ვაკესა,
მწყერსა უგებდი მახესა:
ზედ ქალი შემომეჩვია,
დაშლა დაუწყო მახესა.
ქალო, ნუ მიშლი მახესა,
თორემ, შეგიშლი სახესა.

* * *

გალმა-გამოდმა ყანაო,
შუაში გამოგვალაო,
გალმაური გოგოები
ნეტავ აქ გამომგვარაო.

* * *

კარგი ყანა მოიყვანე
გვერდის ძირო, ჩალიანო,
სამარგელი არ მორიო,
ქალებს არ გვიცალიანო.

* * *

დილა გავრეკე მცვრიანი,
სალამო ქარშოშიანი,
წინ გოგო შემომეყარა,
მტირალი თვალცრემლიანი.

* * *

მეიშმო, მოდი ყანაო,
ბალახი გაიპარაო.

* * *

მოდი, მოკლედ გავათაოთ,
არავინ გეტყვის ბანსაო,
შინ დაღალულიც მიუხვალ
შენი სიდედრის კარსაო.

(შინ წასვლის წინ)

ხურომა უთხრა ხუროსა,
მთაში გაეთალოთ ძელია,
დაელოცოთ მასპინძელია.

• • •

მზე ჩალმა ჩაეფინება,
ჩაეა, ჩაჯდება ბუდესა,
ოქროსი კვერცხი დაუდევს —
ქუჭული-მარგალიტისა...

• • •

ოდელა, დელა
ია დავთესე,
ოდელა, დელა
ვარდი მოსულა.
ხელხვაგია ხეაერიელი ოხო-ხო,
თან სიმღერა გემრიელი ოხო-ხო.

• • •

მიქელამ და გაბრიელამ
კალო გაგვიხეაერიელა,
წმინდა გიორგი მობრძანდება,
ჩვენს კალოზე დაბრძანდება.

• • •

მიქელამ და გაბრიელამ
კალო გაგვიხეაერიელა.
შვიდი ვაჟიშვილი მოგცეს,
პირზე ჰქონდეს ბალანიო.
ბელელი ღომით გაგივსოს,
შავი ღვინით მარანიო.



ხელხავია, ხელხავია,
ხელბარაქელაო.
ღმერთო, მომე მკლავში ძალა,
მუხლში ძალა,
ხელბარაქელაო,
ხელხავია, ხელხავია,
ხელბარაქელაო.
კურდღელსა შეშა მოქონდა
ხელბარაქელაო,
ასი ურემი ერთადო,
ხელბარაქელაო.
ეზოში ვერ ჩამოტია,
ხელბარაქელაო.
ღობე მოტეხა შარისა,
ხელბარაქელაო.
მიქელი და გაბრიელი,
ხელბარაქელაო,
ყანა მოგვცა ხეაერიელი,
ხელბარაქელაო.




გარჩევ და გარჩევ სიმინდო!
ბევრიც გაცურე წყალშია!
ბედ-შავო, გლეხო, ტლუ ბიჭო,
ნუ დაეცემი ცდაშია.
მიჰყევი შენსა მარჯვენას,
ღმერთი არ გრისხავს აროდეს,
მშრომელი მოჭირნახულე,
ერთ ღღეს ხომ გაიხარებდეს!..

• • •

როდის მომიხვალ, სიმინდო,
როდის ჩაგყარო ზარშია?
ქალების გათოხნილი ხარ
აედარშია და დარშია.

• • •

ბაღდადი იყო დილომი,
რომ არ იცოდეს ქარია,
სიმინდი ბევრი მოსულა,
ყველას დაუდგამ ზარია,
ქალები ასე ამბობენ:
„საუბედურო არია...“



სამკაღი

I

* * *

ივანობასა ცელი მანასა,
ნამგალი შუა ყანასა.

* * *

რასა დამძახი გუგულო,
უზმოსა, უსადილოსა?
მაშინ დამძახე გუგულო,
ყანა რომ დაეგუგუნო.

* * *

ყანაო, ანჯახიანო,
მოგდევენ, მოგძახიანო.
ყანაო ფათალიანო,
ბიჭები გიჩივიანო.

* * *

ყანასა ბარდალიანსა
არ უნდა დახედულობი,
თავში დაკრული ნამგალი,
ბოლოში გახედულობა.

* * *

— ყანაო, ბარდალიანო,
ბიჭები სად არიანო?

— აგერ მოდიან ბიჭები,
მოდიან, მიმლერიანო.
ყანასა, ყანა-ყურესა
პატრონი არ აყურებსა.

* * *

ყანაო ბარდალიანო,
ბიჭები სად არიანო?
თავსა და ბოლოს წასულან,
ოკუნას დასძახიანო.

*

ყანაო ფათალიანო,
მომკლები სად არიანო,
ზოგები გრილოში წვანან,
ზოგები აქ არიანო.

* * *

გავიწივოთ და გავიდეთო,
სახელი გაგვივარდებოთ,
ამხანაგები კარგი გვყავს,
ერთიც არ დაგვივარდებოთ.

* * *

იარე, მოგეწევიან,
თავი ნუ. გემარტოება.

* * *

შენი ჭირიმე ყანაო,
ოქროსა გეხარ ვანაო?

თავთავი დაგიღუნია,
ნამგალსა ელი განაო?

* * *

იმ დაღეულსა ყანასა
რად უნდა ჩახედულობა?
წამკა უნდა და წამამკა,
ნამგალთა მალესულობა.

* * *

ჰე — ოპუნა ყანასაო,
მერე ამისთანასაო,
მუშისა ნამუშავარი,
ღმერთო, ახმარე პატრონსაო.

* * *

ჯეჯილო, ნაზათ აღზრდილო,
გიხდება ულვაშ-წვერია;
მაგრამ თან დაგდევნებია
ყოველი შენი მტერია.
შენ ჩრდილქვეშ გამოგიზრდია
ჭია-ღუა და მწერია;
თეთრათ მოსულხარ — მწიფეთა,
თავს გადგას ნამგლით მმკელია;
მკლავზე იწყობენ ხელეურს,
თან მოგდევს კონის მკვრელია;
კალოზე რომ მოგიტანენ,
იქ გელის ხმელი კევრია;
ცხენები გამოჭიმული,
ხარი, კამეჩი ბევრია;
არნადით შეგაგროვებენ,
ცოცხით შემგველი ბევრია.
გეხვევა ხალხი მრავალი:
ღვდელი, ბერი და ერია!

პურო, უფლისგან ნაკურთხო,
სუყველა შენი მტერია;
პურო, შენა ხარ ქებული,
გაქვს კაი საძირკველია,
უშენოთ სახლი არ ვარგა,
შენა ხარ მასპინძელია!...

• • •

დახედე ობლის ყანასაო
ქოხი და ქოხი უქმნიაო,
შამაღხვევია ბარდალა,
თავთავი აღარ უქნიაო.

• • •

ყანაში მიყვარს მომკალი,
გული გამომკას ყანისა.

• • •

მიუსვ-მოუსვი ნამგალი,
ყანა შეგვქნია სამკალი;
გამოჰკა, გამოიტანე
შიგ არ დასტოვო თავთავი.

• • •

ჩემო ნამგალო რკინაო,
გასქერ, გამიძებ, წინაო,
რადა ხარ დალონებული,
მაგრე რამ მოგაწყინაო,
დღე ვიმუშაოთ მინდორში,
ლამე წაეიდეთ შინაო.

(ნამგლოური)

ნამგალო, ჩემო ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო.

ნამგალო-ო, ჩემო ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
გლესავ, გაგლესავ ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ქასური სალესავითა,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
გაგლესავ და მიგაყუდებ,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
კარსა ვენახისასაო,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
მისულიყო მოეპარა,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ქალსა მეზობლისასაო,
ნამგალო, ჩემო რკინავ;
ნამგალო, ნამგალო, ნამგალო, ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
აურიოთ, ჩაურიოთ,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
მიურიოთ, მოურიოთ,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
ლორის თავს გვეცილებიან,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ბატონიანთ მუშაშიო,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
ვაქვაცსა ცოლის სიავე,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
შუა გზას მოაგონდება და
ნამგალო, ჩემო რკინავ.
დადგება, დარდი წაიღებს,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
გზას იქით გადავარდება,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
თათრისა მოედანზედა,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ხარი გავშალე წითელი და

ნამგალო, ჩემო რკინავ,
კოხტად გიჰირავს კისერი,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
ძმაო, შენსა უკეთესსა,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ვისა ვნახე მომავალსა,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
მხარბეჰიც იმას მიგიგავს,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
შემოვირტყავთ გალანსა,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
ნამგალო, ნამგალო, ნამგალო, ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინავ.

* * *

გლესავ და გლესავ, ნამგალო,
ნამგალო ჩემო რკინავ,
ქასური სალესავითა,
ნამგალო ჩემო რკინავ.
გაგლესავ და მიგაყუდებ,
ნამგალო, ჩემო რკინავ,
გაგლესავ და გამიძეხი,
ნამგალო, ჩემო რკინავ.
ახლა კი შემოვუაროთ,
ჰარი ალალო,
დათო, დათო, ჩემო დათო,
ჩემო დათუნაო.
დათვი ხიდზედ როგორ გავა,
ჰარი ალალო,
ტოტს მოიწევს, ისე გავა,
ჰარი ალალო.

* * *

ნამგალო ჩემო რკინავ,
გასჰერ, გამიძეხ წინაო,

— ხელნი გამიძრენ პატრონო,
თუ ვერ წავიდე წინაო.

* * *

გამიძეხ, ლეგა ნამგალო,
ყანა დგას შავი ფხიანი,
კვაფო და კვაფო თავთუხი,
დაგაწყებინო პრიალი.

* * *

გამიძეხ, ლეგა ნამგალო,
უანგს შეუჭმიხარ ტიალო,
თუ ეხლა არ მასახელე,
როდის-ლა დაგატრიალო?

* * *

ჰერიო, ჰერიო ბიჭებო,
ბიჭებო, ბიჭებო ბიჭებო.
მოუსვი, მოუსვი ნამგალო,
ნამგალი, ნამგალი, ნამგალი
ყანა გვაქვს ძმებო, სამკალი,
სამკალი, სამკალი, სამკალი.
ჰერიო, ჰერიო ბიჭებო,
ბიჭებო, ბიჭებო მოუსვით
ნამგალი, ნამგალი, ნამგალი
გავიდეთ, გავიდეთ ბოლოში,
ბოლოში, ბოლოში, ბოლოში.
ჰერიო, ჰერიო ბიჭებო,
ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო
ჰერიო!...

* * *

ჰეპ, ჰოპ, ჰეპ, ჰოპ.
ეკა, ოკა, ეკა, ოკა!

ავხე, ავხე, ავხე, ავხე!
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე.
ჰეეპუნა, ჰოოპუნა,
ეკა, ოკა, ეკა, ოკა!

* * *

ნამგალსა პირი აუწყე,
ფხას მოალოკე ყანაო,
გაფინე ხელეურები
ბიჭო, შე ჩემალალო.

* * *

გაგლესამ, ჩემო ნამგალო,
თავი არ მამიკედებაო,
გაგიტან მამითადშია,
თუ გასკრი, — გამოჩნდებაო.

* * *

ჰარალალო და ჰარალე,
ნეტავი რათმე მაქცია,
ჰარალალე და ჰარალე,
ბულბულად გადამაქცია.
ჰარალალე და ჰარალე,
ბულბულის ენა მასწავლა,
ჰარალალე და ჰარალე,
ამ ბაღებს შემომჩვია.
ჰარალალე და ჰარალე,
აბა და ბიჭებო,
აბა და ჰირიმე.
ჰერიო, ჰერიო,
აბა და მთას ვიყავ,
ცივი წყარო ვსვი.
ყანა ხარ, ყანა,
ყანავ, გენაცვალე.

ჰერიო, ჰერი და
ბიჭო, დააგდე,
აბა და ნამგალი,
თორემ თავთავი,
აბა და ცვივა და...
ჰერი და ჰერიო
ჰერიო, ჰერიო...

* * *

მოდით ბიჭებო ყანაში,
მოვედევნეთ ყრიამულითა;
ჰეკა, ჰოკით მივესივნეთ,
ყანა ავიღოთ გულითა.
ჰეკა-ჰოკა, ყანა მოვმკათ.

სვილის სამკალად წამოვედ,
წამოვიტანე ნამგალი,
კაცი აღარ მყავ დამხმარე,
მარტუაი ვარ დამრჩალი.
ოფლი ჩხრიალით ჩამომდის,
გაფიცხებულ მაქვს სამკალი.
მაკეთეს უნდა უბარა,
შევყარა ლუდის მამკალი.
არ მიყვარს ხალხის ბოლომდე
სამკალ-სათიბი დამრჩალი,
წელში უნდ გავწყდა ორადა,
ადრე მოვიღო სამკალი,
თუ თოვლი დადვა ყანაზე;
ვაი ჩემ გადანაყარი.

* * *

დედავ, ყანები გამიფიცხდაო,
ხელი მოვიჭერ გუშის წინაო,
ნამგალი ძალზე გალესულიო,
თითებს არ მეკრნეს სათითენიო.

ა ის ქალი ჩამაჩინდაო,
წყალზე კოკითა პირლამაზიო.
მე რომ გავხენე შემომცინაო,
მეც გავეხუმრე სიცილითაო,
ა იმ დროს ხელი მოვიჭერიო,
გულ აღარ მქონდა სამკალზედაო.
ნამგალმა თითნი წამაყრივნაო,
ყანა მასამკალ გამიწირაო,
გაუწყრა ღმერთი ლამაზ ქალსაო.
ვაქვაცს მოუცდენს არ გაუშობსო,
მეაც ისრ ვიყვა ღმერთ გამწყრალმაო,
მოსამკალ ყანა გამიწირაო,
ეშმაკის თვალით შემამცინაო.

* * *

სვილის მამკალ ხყავ სუმბატასაო,
ხალხნო, ლუდი აქვს ნადუღარიო.
მოდო წავიდეთ სუყველაიო,
ხელ მარტოია მივეშველათო.
თავოდაც არას ისეთაიო,
ხალხის სიკეთე დაიცილასო.
კლოვ ჩვენ გვექნების მოსამკალიო,
ყანები, აგერ გამფიცხარიო,
თუ ერთმანეთს არ უშველეთო,
საით ვინ უნდა მოვიყვანათო.

* * *

ყანაო, რად დაღონებულხარო,
გყვანდა პატრონი მანგიაო.
ნამგალი აქვის მეხივითაო.
ყანავ, მოგჩები ერთ დღეშიაო,
მამკალ ვიკვლიე ვერ შეეყარეო,
შორა თემებში წასულიყვაო.
თავოდაც მოგმკის მანგიასაო,

მაგარ ჯანი აქვს მკლავებშიაო.
ერთი დახკიელა მანგიამაო,
ყანას გაუდგა ბიბინითაო.
სანამდე მზე კი ჩავიდოდაო
მანგიამ ყანას მოულოცაო.

* * *

ჰეკა ოკა ბიჭებო!
მალლა ვიყავ, ცანი ვნახე,
ვარსკვლავებს ჩამოვეძრახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა,
აქ იყავ და არა მნახე,
მზემ პირბადე გადიხადა,
მოდი ახლოს დამენახვე.

* * *

ბიჭებო, გარეჯელებო,
ხმა თქვენი ჩამოდიოდა,
თქვენი ნამგლების წკრიალი,
წყალგაღმა გამოდიოდა.
შირაქში ვიყავ პატარა,
მზე წითლათ ამოდიოდა,
მე იქ რა დამაყენებდა,
ხმა თქვენი ჩამოდიოდა.

* * *

აზამბურელო მომკელო, /
შენი ხმა ამოდიოდა,
შენი ნამგალის ძგრიალი
მთას აქეთ გადმოდიოდა.

* * *

იცი მამკალო, რა გითხრა,
ადრე ვერ მოხოლ დილითა,

დაგეძინება მაგარი,
დაღლილი სიდუხჭირითა.

*

წამავე სამთაჩიგოდა,
ყანა არ ვიცი სად არი,
სათავეს გადამახდინეს,
ქარგად ჭრის შენი ნამგალი.

* * *

რომელი იყო მომკალი,
პირი ჩეველო ყანისა,
თავი და ბოლო მეემკო,
და შუა წელი ყანისა.

* *

ყანას უნდა ბაგი-ბუგი,
ომი გადასაეალია...
ყანა იყოს მოსამკალი,
თორო ბიჭი მრავალია.

* * *

გადასდევ რკინის უღელი,
ყელი გამაჰკვერ ყანასა,
შენ გაისარჯე, მომკალო,
არ ეტკივნება ყანასა!

* *

მესვეური გეგვეპარა:
ყანას გამოსჭრა ყელიო,
გადაუგრიხა კისერი,
დაატყო თავის ხელიო.

* * *

გამარჯვებული კახელი
ყანას ქოჩორში სჭრიდაო,
დილიდან სალამომდისინ
ერთი დღისასა მკიდაო. \

* * *

აგერ მოლის თეთრი ცხენი,
იმას უნდა ბევრი ქერი;
ყანის მკაში ვერ მაჯობებ,
გინდა გებას რკინის ხელი.

* * *

გამობრძანდით, ერგნელებო!
გინდა ერთი, გინდა ორი;
თუ არ იცით, მე გასწავლით,
როგორ უნდა გმირთან ომი!

* * *

მუშა უნდა მუშაობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა კარგი ბიჭი
სოფელს უნდა ფალავნობდეს.
ჰაიდა ჰარალო, და...

* * *

თქვენი ჭირიმე ბიჭებო,
რომ გიღიღინებთ ყელია,
მრავალი მოგიკამიათ,
ჯერ კალო, მერე რთველია!

* * *

როსტომ სთქვა: ყველა დაფრინავს,
ბუზი თუ ბუზანკალიო;

ყანას თუ კაცი არა ჰყავს,
დარჩება მოსამკალიო.

* * *

გაქო, გაქო, როგორ გაქო,
თეთრი მღვეის ღონე გაქო,
ომში შეხვალ, ხმალს მოიქნევ,
ბუმბულივით გამოგაქო,
შენი ნახოცი ლეკები
ახალციხეს ჩამოაქო.

* * *

ალალი და_ალალ მაქო,
დიღმის მინდორს ყანა მაქო.
შიგ მუშები მიყენია,
ლუკმა პური არა მაქო.
ნეტა საით რა ვიშოვნო,
ჯღანები ძლივას დამაქო.
ერთი კოდი პური მქონდა,
ისიც ბატონმა წამართო.
ჩენსა ღვდელსა ვთხოვე პური,
მას ჰგონია ძნა არ მაქო.
იქით კვირას კალოს ვლეწავ
იმის იმედი-ლა მაქო.

* * *

ორშაბათსა პური მოვმკე,
სამშაფათსა მოვიტანე;
ოთხშაფათს კალო გავლეწე,
ხუთშაფათს გავანიავე.
პარასკევსა მეოთხედი
უნებურად ცალკე ვყარე;
შაფათს ბატონმა წაიღო,
მიწა ისევ მივიბარე.

აქა კული დარჩენილა,
მორი წინ წავაყენოთო,
ლარიბ კაცსა მოვეხმაროთ,
ფეხზე წამოვაყენოთო.

* * *

სადაც დიდი კულიაო,
შავი ბიჭი ჰყულიაო,
თუ იმას არ მივეშველე,
იმის საქმე ცულიაო.

* * *

დაკა და დაკა კუდსაო,
ბატონი გხურამს ქუდსაო,
ხან მოგხდის და ხან დაგხურამს,
ნუ შეგაკლდება გულსაო.

* * *

მიჰყევ და მოჰყევ კუდსაო,
ბატონი მოგცემს ფულსაო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს
შემოგეყრება გულსაო.

* * *

შემოუთვლია ქერსაო,
რატომ არ მახლებ ხელსაო.
მე ხომ ის ქერი არა ვარ,
რომ დამიყარო ცხენსაო.

* * *

ასლო, სამკალად ლამაზო,
სახვევედ ბარაქიანო,
ფქვაში წისქვილის მამშლელი,
საქმელად თავლაფიანო.

* * *

სულ მამიციდინეს მუშანი.
ჩემ ყანებ დასამკლებ დარჩა,
მტერ გამილალდა, დუშმანი.
აბა ჩემს ყანებს ვინ დამკის,
ერთ ბიძა დამრჩა უშტარი.

* * *

მამასახლისის მუშასა
სიმშვილით არა უშავს-რა.

* * *

ქაისხვეურო წისქვილო,
გრემისხვეურო თორნეო,
ბევრი ჰური გამააცხე,
რო არ გვეყოფა ხოლმეო.

* * *

ვენახსა განაპირასა
ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალევინებს,
იმას მოუმკით ყანასა.

* * *

შენ ღვინო დამალევინე,
ყანაც მომკილი გეგონოს;
რახან წყალს დამალევინებ,
ნულარც მომკილი გეგონოს.

* * *

დამალეინე არაყი,
ჩემის წისქვილის ნანაყი,
ან მაიტანე საღვინე,
თორო დევჯდები, არა ვმკი.

* * *

— ჰოროველ, სხვანიც მოდიან
ორთაშნელები აწყერსა,
კაკალი გამოგვიტანეს
პური არ ედოთ საწყლებსა.

* * *

ნათლისშამავ, შენი სიტყვა
არას მომწონს არაშია,
ხელადას ხელი მაავლე,
გაიქეცი მარანშია.

* * *

გალმა ურემი წავილე,
კამეჩები გალექაო,
შენი გამჩენის კირიმე,
ხელში მამე ჩარექაო.

* * *

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი,
ნამგალს გაჰქონდა ქრიალი,
სამხარი გადმოგვიტანეთ
ეგ ოხერი და ტფალი.

* * *

ნეტავ თქვენ, უთურგიანნო!
ყანა არ მაგიცდებისთა,
მკერდიან-დუმაიანი
წინ სუფრა დაგიხვდებისთა,
ამდინარ-ჩამომდინარი
წყემსი, მუშია ეღებისა.

* *

მუშის უპატიო ქალი,
ცეცხლო, დაწვი, ნავთო, დაწვი:
მუშის მოპატიუე ქალი
სამოთხისა კარსა დასვი.

II

* *

სადილი მათქ მელასა,
სამხარი იმის დედასა,
ორი შაური მელასა!
აბაზი იმის დედასა!
არ მოგვივიდა სადილი,
არც არა სამხრის ნიშანი,
მესადილე წყალს წველო,
ზედ მიეყარა ქვიშანი.

* * *

— ქალ თიანელო, ვინ გაქო,
სადილი სამხრად მიგაქო.
— სადილი წელან წავიდე,
სამხარიც ეხლა მიმაქო.

* *

მუხრანელმა გოგომ მითხრა,
მუხრანამდე გადმომყეო,
ლენოს გასმევ და პურს გაჭმევ,
მერე ყანა მომიმყეო.

* * *

ყანა მშრალი სჯობ სამკალად
ნამიან-ჭანჭახიანსა,
ქალი გონჯი სჯობ ლამაზსა,
კორიანს, საქრახიანსა.

*

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია,
ტანთ ნათხოვარი აცვია;
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაკვლიე ქერის მკაშია!

* *

ძირში მოუსვი ნამგალი,
თორო თავთავი სცვივაო,
დაეხსენ პატარა ქალსა,
ცრემლები ჩამოსცვივაო.

* *

პატარუნა ქალაი ვარ,
ყანასა ვმკი ღულითაო,
ჩემ დედ-მამათ რა იციან,
ქმარი მინდა გულითაო.

* * *

ყანა მკევ, დედის მშვენიერო,
სახელნ არ მკიან სკლათისანიო.
უბნით ბუბაი გამოგხენებსო,
ობლის კალოთა — შარინდაიო.
ქალაწი ორნივ კარგანიო,
ორნივ ქმრებისა მწუნობარნიო.

* * *

დამასტესა ვმკი ყანასა,
ძნა მოდის ჯარის ჯარასა...
წყალს არვინ გამამახდინა,
ცრემლი მდის ღვარის-ღვარასა.
გიორგი ბახტარაშვილო,
შენამც შარჩები დედასა,

წყალსაც შენ გამამახდინე,
შამისვი ცხენის გავასა.
დამინდე, არ მილალატე,
ქალმ თავი მოგეც ნებასა,
ავის გორს ამოსეესა
ლურჯაის ნალი ელავსა.
აიქამც გაგემარჯვება,
სადაც ხმალნ იქმენ გელასა,
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბნი იქნევდნენ ენასა.

* * *

არ მინდან გორშელმიონნი,
არ ვლსახე ღელის ქალასა,
ჩემ გულ წყალსა ღგავ რექასა,
რო ჩამაგოლეწსთ ქალასა.
გუში რო დავმკენ სამნ წერნი,
ვიგებ დაღალვას ვერასა,
სამთხოვროდ მანათს მიზიდვენ,
ქალა არ ვიცელი ალავსა.

* * *

ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიანსა და ჩალასა,
სიცხეს შეუწუხებია,
ველარ ატანენ ძალასა,
მალი-მალ შეაგინებენ
მარიამსა და ნანასა.

* * *

მიდე და მოდე მანანოო,
ბიჭები ბანზე დგანანო.

* * *

იერუსალიმს მიმავალი
ეუბნება ბერი ბერსა:
ჩემი სულის ცხონებამა,
არას ეყვის გერი გერსა.
ქალო, ადი მაგა ხესა,
ჩამოყარე ბროწეული,
ერთი მეცა ჩამომიგდე
შენგან უფრო მოწეული.
ეპ, ოპ!

* * *

სამკალშია შევიწიე
ეს სოფლის გოგო-ქალიო;
ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ,
ძნა დაედგი დიდი ძალიო.
ყველაზე კარგადა მკიდა
ოთარას პატარძალიო,
მაგრამ ჯობნიდა მკაშია,
ი გლესას ტურფა ქალიო;
ლოყები დასწითლებოდა,
როგორც რო ნაკვერცხალიო,
იმან მიჩხვლიტა გულშია,
ზედ დამრჩა ორივ თვალიო,
თუ ცოლად არ წამამყვება,
სხვა ნუ მეღირსოს ქალიო.

* * *

მომკალი უზანდარელი
შენ მოჰკალ, უთანელაო!
— არცა შენ მოჰკალ; არცა მე,
მამულმა მოჰკლა, ველმაო;
მინდორში მინდვრის ნიაემა
მზეკაბათ ქანებამაო.
არ ვიც, რამ მოჰკლა მომკალი,
ნარმა თუ გვირილამაო?

სათითენ ნარზე ეკიდნენ,
ნამგალი გვირილასაო.
გვერდით დამიჯე, ლამაზო,
დამიკარ დალილასაო.

* * *

აზამბურელი მომკალი
ქალმა შენ მაჰკალ იამა.
— არცა მე მოვკალ, არც შენა,
მინდორმა მაჰკლა ტიალმა.

* * *

დაცხა და გრილი არ არის,
ვაჰ, გულსა მომკალისასა,
თორო მთიბელი მთას წავა,
სულს იყრის ნიავისასა.
ბრალია, ქალო, ლამაზო,
მკლავს იწვე ცუდის ყმისასა.

* * *

მოვიდა მუშაობანი,
შენი ჰირიმე, შენია,
ყარყარას გიგავს ყელია!
ან ამოილე აბაზი,
ან უზალთუნი ჰრელია.

* *

შენი ჰირიმე, შენია,
წითელი კაბა ჩაგიცვამს
კოდალასავით ჰრელია.

* * *

ვინ არის კოხტა მომკალი,
გვერდით ჩაევლო ყანისა,

ქულიც გვერდზე დაუხუტრავს,
არშიყი არის ქალისა.

* * *

ყანას უნდა ბანგი-ბუნგი,
მთანი გადასავალია;
შენ მიყვარხარ თეთრო ქალო,
თორემ ქალი მრავალია.

* * *

დილას სამკალში წამუედ,
არ იყო გათენებული,
დავკარგე სათამბაქუე —
ნადობის დაჭრელებული,
დარაიისა თიკვისა,
კალაპოტ-შაყენებული,
ახალი იყო ისრივა,
არ იყო დაძველებული,
ფულები ქონდა სახსოვრად
გარედან დაკერებული.

* * *

ჰერიო, ბიჭო ჰერიო,
ყანა უმკალი-ნამკალი,
ძნა შაუკრავი რჩებაო!
ჰერიო, ბიჭო ჰერიო,
ვაჟკაცო, დაქორწილდები,
უცოლოდ რათა რჩებიო.?

* * *

ზემო ქართლელი ქალები
ლეკში ყანასა მკიანო,
აქ ისე გაამპარტავდნენ,
სახლსაც არ გამოგვიანო.



ეგრე უნდა ვაჟიკაცმა
ყანა წვერში მოწვეროსა,
სალამოზე შინ მოვიდეს,
ლოგინ ხელი გადაყოსა;
ეგრე ჰკოცნის თავის ცოლი,
ფური ველარ მოწველოსა.



ჰეკა, ოკა ბიჭებო!
ლამაზი ლამაზობასა,
არ მოშლის თამაშობასა.



ჰეკა, ოკა ბიჭებო,
მალლიდამა გადმოგხედე,
დაგინახე ქორივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე.
თეთრი გქონდა ბროლივითა.
ჰეკა, ოკა ბიჭებო!



ჰეკა, ოკა ბიჭებო! ~
ქალო აშაო, მაშაო,
წამწამ-გიშერა, თმაშაო,
შენი საწოლი მასწავლე.
ია და ვარდი გავშალო.



ჰეკა, ოკა ბიჭებო,
მშვენიერო ჯერანო,
სად გადიხარ ველზედა,
ახლო მოდი კოხტა გოგო,
ჩაგეგრიხო ყელზედა.

ჰეკა, ოკა ბიჭებო!
გალმა გამოლმა ბალები,
გარს ახვევიან ქალები,
ერთი შახედვით შავატყოფ,
რომელსაც შავებრალები.

* * *

ჰეკა, ოკა ბიჭებო!
თიანეთს ოქროს ლოგინი,
შიგ სამნი დანი წვანანო,
რა ვქნა, რომელ ერთს ვაკოცო,
სამნივ ერთმანეთ ჰგვანანო.

* * *

ჰეკა, ოკა ბიჭებო!
გოგო ეგ შენი ჩანთაო,
ჩვენ გაგვიყავი სამთაო,
ზოგს შავგვხვდა თითო ჩარეკი,
ზოგს თითო ჩოხის კალთაო.

* * *

ჰეკა, ოკა ბიჭებო!
დილით ადრე დაგინახე,
შენ მზეო ამომავალო,
არ გებრალები შავთვალავ,
შენგნით დამწვარი დავალო.

* * *

ადექ, ჩემო ძმავ, ნუ გძინავს,
ძილსა ნუ მისცემ ნებასა!...
აგერ, კიდევაც მამესმის
ყანებში ნამგლის წკრიალი,
სოფლის გოგონა დასძახის,
დასძახის ზარისხმიანი.

* * *

მინდორში კარავს დაგიდგამ
საგრილობელსა მზისასა,
ქვეშ ხალიჩებს დაგიფენ,
ფეხი არ დაჰკრა ქვიშასა.

* * *

ე როგორი ყანა არის,
მირეულა, მორეულა;
შენისთანა კობტა გოგო
სოფელს არ გამორეულა.

* * *

ნეტავ ქალო, ქოლგა ვიყო,
ზოლ-ზოლ ანაქრელები,
საითაც რო გაივლიდი,
გრილოს დაგაყენებდი,
შენ ტოლ-ტოლა გოგოებში
წინ-წინ წაგაყენებდი.

* * *

მიდევ და მოდევ ღრუბელო,
პირსა ნუ ჰმალავ მზისასა,
დიაცს-ნუ შეეხუმრები,
შენზე უკეთეს ყმისასა;
გზაში რო შამოგეყრება,
სულს შამოგაბნევს მგლისასა.

* * *

იქით მიდექ, აქეთ მოდექ,
ნახე კარგი მომკალიო;
კობტა ქალიც მომაყოლე,
ან არა და მომკალიო.

* * *

ზემოთიდან წამოვედი,
წამოვიდე ნამგალიო,

გოგოებში გვეერიე,
როგორც თეთრი მამალიო.

* * *

ქალმა დამწყველა ლამაზმა,
ახლოს არ გაგიტარებო,
შორიდან დაგწომ, დაგდაგავ,
კელაპტრად მოგიხმარებო.

* * *

მიდექ, მოდექი, გოგონავ,
პატარა შეშა ნახეო, '
ცეცხლი დაანთე ძლიერი,
შორიდან დეგვენახეო.

* * *

ყანაო ფათალიანო,
ბიჭებიც აქ არიანო,
სიმღერა დავაგუგუნოთ,
ნამგლები ავაჟღერიალოთ,
ბიჭო, გამოჰკარ მარაგი,
ახმაურე ზელიო,
რკინის უღელი გადასდე,
ყანას გამოსჭერ ყელიო.

* * *

გადაუგრიხე კისერი,
ქალს შენსკენ უყავ პირიო,
ამოუკოცნე ტუჩები,
მოუვა ტკბილი ძილიო.

* * *

ხოხბის საყელო ვიპოვნე,
ყანაა თვირთვილიანი,

ბიჭმა რომ გოგოს აეოცოს,
განა რა სირცხვილი 'არი.

*

აქათ ყანას გავათავებთ,
იქით ყანასა გავალთო,
დავიჭერთ წითელ ხონობსა,
ზედ-ზედ ყირაზე წავალთო.

ყანაში უნდა ნამგალი,
ვენახში სათიბელაო,
აგერ მოდიან ქალები,
ერთი შენ, ერთი მენაო.

III

* * *

ბარხუდაშვილი გოგია
ჰქვიანია და ბძენია.
ორშაბათ დილა გათენდა,
მუშა შაყარა ბევრია;
წავიდა ყანის სამკალათ,
ძნაც დააყუდა სველია.
მხარზე ჰკიდია სიათა,
თავით ბოლომდინ ჰკრელია.
დაჯდა, ნამგალი გალესა,
ფხაზე აუსვა ცერია.
ტახტიგორს შემოუარა,
აქ შეელი შემოეჩვია.
დიდგუბის ტბაზედ მივიდა,
წამოეშალა მტერია.
მიჩეხ-მოჩეხა ლეკები,
როგორც ჯაგ-რცხილის წკნელია. —
იმ ურჯულო ლეკებშია
კობტა ბელადი ერია,
გოგიას დასცა დამბაჩა,

ზედ მოუკიდა გენია.
გოგიას ასე გონია
ვითომც წყილს აუფრენია.
გოგიაი დატრიალდა,
ვითომც მიმინო ჭრელია,
გოგიას წითელი წვერი
დიდგუბის პირზედ ფენია.

(საბრალო დედაბერი)

საბრალო დედაბრისასა
თაგენი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხენი შეუკვრიანო;
დეენი ურემსა აბიან,
ირემნი ძნასა ჰყრიანო;
შველნი კევრებში შებმულან,
კალოს გარს დაურბიანო;
ზედ ანგელოზნი უსხედან,
წვრილ ხმაზე დასძახიანო;
ჭინკები მარდათ უქცევენ,
ყანასა გაჰფოცხიანო;
ტახნი მისწევენ კალოსა,
მელეები კუდით ჰგვიანო;
წერონი ანიავებენ
და ბატნი დაჰკმაზიანო;
დათეებს ჰკიდიათ ტომრები,
ორმოში პურსა ჰყრიანო;
მგლები წისქვილში გაგზავნეს,
პურს მალე დაუფქვიანო,
შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს,
კაქკაჭნი ამოჰქნიანო;
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა
და გვრიტნი ამოჰყრიანო;
ვარიები ამზადებენ,
იხენი სუფრასა შლიანო;

ზეცას ტოროლა გაგზავნეს,
 ფრინველნი მოჰკრიბიანო;
 შენს მადლსა, ჩხიკენი ნუ გინდა,
 სუფრასა აგვიშლიანო,
 სილამაზითა ხოხობი
 შუაში ჩაისვიანო;
 ბულბული გალობისათვის
 სულ თავსა დაისვიანო;
 საწყალი ბერი ქედანი
 ბოლოში მოიგდიანო.
 ერთად სმენ, სკამენ, ლხინობენ,
 პარალეს დასძახიანო.

• • •

დედასა დედაბრისასა
 თავგენი ყანასა მკიანო,
 სხედან და შემოსძახიან
 ბებერო, პური გეშეიანო.

(გაშაირება)

პ ი რ ვ ე ლ ი: ნამგალობა მოვიდა,
 ნამგალობა, ნამჯობა,
 წრეევანდელ მამითაღშია
 მკაში ვერავინ მაჯობა.

მ ე ო რ ე: მეჯრუხევიდგან გამოვა
 ეშმაკობა და ქაჯობა,
 თუ შენ ქრისტიანი იყვე,
 რატომ ვერავინ გაჯობა?

პ ი რ ვ ე ლ ი: კარებზედ შეშა გიგდია,
 უღელი ხარის სათარი,
 — თუ შენი ქალი კარგია,
 გასათხოვარი რათ არი?

მ ე ო რ ე: ღმერთმანი, ქალაქს ყოფილხარ,
 მოგიტანია სათალი,
 შენ იმნაირად გახეულებს,
 ფილტვი გექნება წამხდარი.

ჩემს საჩივარსა მოგიყვე,
 იტყვი: ვაჰ, შენი ბრალია,
 შეიდი დღის ფეტვები ვხანი,
 შიგ ამოვხოცე ხარია,
 იმას ნამი არ ეღირსა,
 გვალვა დაადგა დარია.
 ავდე, წავედი ტყეშია,
 გამოვჭერ დიდი ღარია,
 დუშეთის წყალი მოუგდე,
 1. იმაზე დაჰკნა ტანია.
 სამკალად რომ მოვემზადე,
 შევაბი საბძელს კარია,
 გავლესე ჩემი ნამგალი,
 მაგრა დავაგე ტარია,
 დედაჩემი მეუბნება:
 — შეილო, იჩინე ძალია,
 სადილად შეგიპატივე,
 დაენიშნე სამი ვარია...
 მძნამ მე იქ ჩავიდლოდი,
 შემღსეოდა კალია,
 ისე მიბრუნდა-მიბრუნდა,
 როგორც ბინაში ცხვარია.
 ავდექი და დაუძახე
 რაც ქვეყანაზე ქალია,
 ქალები ვერაფერს გახდნენ
 ქვრივებმა უყვეს ძალია.
 ავდექი, გადავხტი ვენახში,
 მოვგლიჯე დიდი სარია,
 მივიქნივ-მოვიქნიევი,
 დაოსდა ერთი კალია,
 მე ზემოდანა დავაჯექი,
 ქვაზე უხალე თავია.
 შეიდი ადლი კბილი ჰქონდა
 რვა თუ ცხრა ადლი მხარია,

ვაიმე რაზე შემკვამდა,
ღმერთო, შენ დამიფარია.

* * *

მოვიდა სალამოველი,
მოუსვი, რაღას მოელი!

* * *

ჰე გამოკა ყანასა,¹
მერმე ამისთანასა,
სალამოზე შინ მივიდეთ
ლხინი ვნახოთ და თამაშა.

* * *

სადაა მეძნეურები, —
დაიწვა ხელეურები!

* * *

ხელეური და ულოო,
შენ გაიხარე გულოო,
პაი, პურო და პუროო,
ჩემო სულო და გულოო,
ცოლი მამიდად გავხადე,
შენ სულო დატანჯულოო.

* * *

ადექით, აიყარენით,
მეძნეურები ვნახოთო,
პური და ღვინო წაველოთ,¹
დროება კარგი ვნახოთო.

* * *

ნამგალას ბიბინაურსა
პირი მიუგავს ღულასა,
ორსავე ერთათ გამოიტანს,
ხელეურსა და ულოსა.

* * *

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ველარ დასდგამს დიდსა ძნასა.
რძალი ეუბნება რძალსა:
— ახლა დაგიყენებ თვალსა!

* * *

ძმა რომ ძმასა გაეყრება,
ველარ დასდგამს ძირსა ძნასა,
ველარც შეაბამს გუთანსა
და ველარც გაუვლის კვალსა.
ყანის სამკალათ რომ წავა,
იქ მოიგონებდა ძმასა.
თითონ წყალზედ წავიდოდა
ხელეურ მიჰქონდა ქარსა.

* * *

გერჩინა, ბანდალაშვილო,
არ წასულიყავ ძნაზედა,
გეგრიხნა აპეურები
შენი წისქვილის კარზედა.
ხორცი არ მოგაკლდებოდა,
საყასბო გქონდა კარზედა.
კვიტინიანთ ბაიყუში
დაგიხვდა მოედანზედა;
დაგიფთხა შავი კამეჩი,
ურემი შაგდგა თავზედა.

* * *

— ძნა შამიკონე წაწალო,
მე კი მოგიმკი ყანასა.

* * *

— შენ ყანა მომკევ გენაცვლე,
მე შავიკონავ ძნასაო,

საღამოდ ლოგინს დაგიგებ,
არ დაგანებებ თავსაო.

•

ქართლისა არაბასაო
ქალი უდებდა ძნასაო,
— ქალო, ნუ უდებ ძნასაო,
თორემ მოგიკლავ ძმასაო.
არ დაიშალა, დაუდო,
შაუხტა ურმის თავსაო,
სახრე კამეჩებს გადაჰკრა,
გორული შოლტი ხარსაო.

* * *

ხელეური გამოვიღე,
თავი დაუკაუჩიეო,
საცა კარგი გოგო ვნახე
არშიყოზა დაუწყეო.

•

შავარდენო შარშანდელაო,
წრეულ კალოს მოსასვლელაო,
შემოუარე ყანასაო,
სიგრძე მიე და ბარაქაო.
ორი სიტყვა მამაგონდა,
ოდღილა უთხრა ყანასაო!



კაღოუჩი

* * *

კაღოზე ყანა გავშალე,
ოქროს თავთავიანიო,
კევრს ორი ხარი შეუბი
ოქროს რქა-მხარიანიო.

* * *

შემიხვეტია არნადით,
ანიავებენ. ქალები,
ვისაც გული მეტად გერჩით,
აი კევრი და ხარები!

* * *

ულელი ხარი ვიყიდე,
ყანა ავიზიარეო;
მოვხანი, პური მოვიდა,
კევრი დავაბზიალეო.

* * *

ორთითი და ფიწალიო,
ყოველ საქმეს ვისწავლიო,
ოფლით მქონდეს ტკბილი ლუკმა,
ვიშრომებ და ვისწავლიო.

* * *

ნეტაი ჩემი სასახლე,
მაღალსა მთასა ამეგო,
არვისთვის ავი არ მეთქვას,
ყველასთვის გული მამეგო.

* * *

ხარი ხნამს, ფური იწველის,
მოზვერი ლეწამს კალოსა,
— მოდის, მოზვერო, კალონი,
თვალ ფხითა აგემსებაო.
— ნეტავ მოვიდეს კალონი,
საბძელი აგვემსებაო.

* * *

ამოქროლდი, ზენა ქარო,
უნდა ხეავი ვახორხარო;
გამოვაცხო თბილი პური
და ბავშვები გავახარო.

* * *

თუნდა ამოდი, ჰე, მზეო,
და თუნდაც დაიგვიანე,
მე მაინც კალოს გავლეწავ,
და თანაც გავანიავებ.

* * *

ორმოში ფეტვი ჩავყარე
შესანახადაო,
ორმოდანა ამოყვარე
გასაშრობადაო,
ჩიტი ლობეზე შემოჯდა,
ასაკენკადაო,
ჩიტსა სახრე წამოუსვი,

ასაქმევედარო.
ჩიტი ბატონთან გაიქცა
საჩივლეღაღაო.
ბატონმა კაცი მიბოძა
დასარბეღაღაო.
წითელი ხარი წამართვა
დასაკლავაღაღაო.
წითელ ღვინოს მომიხდა
დასალეღაღაო.
შავი ძროხის თეთრი ყველი
თქვენმა გაზრდამო,
ასე წამართვა ბატონმა,
რაც რამ მეზღაღაო.

* * *

ბანზე ხორბალი გავფინე
გასაშრობათაო,
ჩიტი მოვიდა, აკენკა
შესაქმელათაო,
ავიღე კენჭი, ვესროლე
მოსაკლავათაო,
ყასბისა დანა ვითხოვე
დასაკლავათაო,
მელიქის ქვაბი ვითხოვე
მოსახარშათაო,
მელიქის ჩამჩა ვითხოვე
მოსარეღათაო,
მელიქის სინი ვითხოვე
დასასხმელათაო,
სულ ქალაქი დავპატიე
შესაქმელათაო,
აღაფხანა ვერ ვიშოვნე
დასაჯდომათაო.

* * *

გაზაფხულზე აყვავდება
ყველა ხილი, ატამი;
დარეჯანას მოუხდება
კალოს პირზე აკვანი.

* * *

გოგო, წამომყე, წამომყე,
წამომყე ყარაიასა.
თუ გინდა კაბას გიყიდი,
თუ გინდა დარაიასა,
ჰეი, ჰერიო!

* * *

შემოგხედე — შევკანკალდი,
დავდნი ღორი ქონივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე,
თეთრი გქონდა ბროლივითა...
ჰოროველო!

* * *

სად მიხვალ, სად იარები,
შენ ჩემო გულის ლახვარო,
მობრუნდი, ერთი გაკოცო,
პირი ზედა-ზედ ვახალოთ.

* * *

ვაჰმე ჩემო წაწალუე,
ბევრი გაქვის საკალუე,
ფიწლის ტარზე ხელთ დაგყინავს,
რალა გიყვა, საწყალუე?!

* *

ორმოს ჩადი,
ძველად `გადი,
შენ ძველი და სხვა ახალი!
ღმერთო, მოახმარე პატრონს
ლხინში და ქორწილში,
ვაყების დაქორწილებაში,
ქალების გათხოვებაში.
ვინც ჩვენ ავი თვალით შემოგვხედოს,
თვალი ააგოს ეკალზეო.



მთიბღური

(თიბად გასვლა)

თიბად. გავიდეს (ამა) ჩარგალელნი (ოოო).
ვაიმე (აი) ჩემო (ოო აი) სიბერეო (ოოო).
ნეტავინამც მამცნა (ოოო აი) მშვილდ-ისარნი
(ოოო)!

* * *

ცელი ვლესე და ვერ გავლესე, —
გადალესული ყოფილიყვა.
ცოლი ვწურთნე და ვერ გავწურთნე,
თავში უწურთნი ყოფილიყვა.

* * *

ცელო, ნალევთი ნალევი ხარ,
ბალახთა ძირის დამლევთი ხარ!

* * *

კოჭნი არ დამჭრნა, საძაგელო,
ნალევი დამაფხაებთი.
ქოჩნი ჩამამცდეს წკმუტუნითაო,
ცელის ნალევის დატუქსვილნიო.

* * *

ცელო, გამიქერ, გზის პირია,
ჩამაილიან და სირცხვილია.

* * *

ჰე, გამოთიბე, ჩემო ცელო,
ქადას გამოგიცხობენო.

* * *

ცელი არ უჭრის ამანათსა,
ამანათობა ეჯავრება.

ცელო, გაუჭერ ამანათსა!
ამანათობას დააჯერე!

* * *

მთიბელიო, როცა მთას გავაო,
სულს ისხამს ნიავისასაო,
ცელო გამიქერო, ამანათსაო,
ცელო ობოლი გებრალეობდენო.

* * *

ჩოთამ ცელისა რა იცის?
რად არა ჰკითხავს წყლისასა?
ჩოთამ თუ ცელი აილო,
დააგვეინებს მიწასა,
ეძებდე, ველარ ჰნედავდე,
ნადგომსა ბალახისასა!

* * *

ცელი გამიტყდა თიბაშიაო,
წინ მიმავალი დამაბრუნაო,
ცელი ტიალი რა ცელი იყვაო,
ორმოც ქალიწში გავლესიდიო,
ნამხრეთ სათავეს ვკიოდდიო,

მთბლები შორად დაეწირნიდით
ცელ იყო დოლათ ქედურისაო,
გუდამაყართ მატანილიო,
შიშაქი ცხვარი მატყლიანიო,
იმ ცელში მქონდა მიცემულიო,
ეხლა რა ექნა თიზაშიაო,
როსაც არიან თიბა-მკანიო,
ხვალ უნდა წავედა მკედელსთანაო,
დოლათ ქედური გავამბივო.
ნისლის კოტორო, გადამრიდე!
ერთხანა-ლ კიდევ გადავხენებ,
ციხენ სად უდგან თანდილასაო.
შარვანაული მიდგას წინაო,
თავ უძე ცხენის ტახდაზედაო.
— შენ დრონ წავიდეს, თანგულაო!
ციხე ატირდა, ციხის კარიო,
ჩარდახნ ზეთა-თვლით ბუთუნებენო:
— ერთხელ გვიშველა ხთის ძალამო, —
ლაშქარი ტბაში ჩაიღუპაო.
შენი ჰირიმე, ტბათანაო,
ლაშქარი ჩაგიბრუნებიაო.

• • •

შვილნი დაეგზავენენ სათიბრადა.
ახუნო, არცად გინახავა?
— შენს შვილებს ახუნს რა უნდოდა?
ჩარგლის კარს იწუნენ ვეძაზედა.
სულას გულზე სჭირს ნაისრალი,
კურდღელას მხარი მოკვეთილი.
— სულავ, ამადეგ, მამილასა,
ირმებმ სრავალი გადაშალესა,
სულა ძალღს ეძახს ბარისა,
ახუნს ირმებსა ჩახყოლია.

• • •

ახუნმა მამკლა, დამაბერა,
ახუნმა დამაქარიანა,
ჩარგალში თივათ ყენებაჲა.

• • •

მთიბელო, ჯვარის სასოესაოო,
თოფმა ბუჩამა ჩამაგხუელაოო,
დაგაწყვეტივნა კაფიანიი,
ნამხრევენი სისხლით დაგასერიენაოო.
ნამხრევეთ სათავეს დაგჩა ცელიი,
ნამხრევეთ ბოლოში სალესველიოო.
ფასიორათამც დაღლევს ღმერთიი!
მისცეს დვირბინი გუროელსაოო,
მალრანის წვერით გამახენაოო;
იცნა მთიბელი სასოესაოო,
ბუჩასეულს ქვე რას გვაკვეხებთაა?
ხირიმის ბარტყი ჩვენიც ნახეთაოო.
გუდელას იწვა კლდის ეხშიაა,
გმინსა და გმინსა აყოლებდაოო.

• • •

მთიბელთ თავითა გეხვეწები,
დედაშენისა მანდილითა:
ნამხრევსა ტოტსა ნუ მამიქრი,
ნუ დამაბრუნებ ტირილითა,
ბალლი ვარ, დამაკლდება გულსა,
შინ ველარ მივალ სირცხვილითა.

• • •

შარვანაულო შავარდენო,
მუშანი გიხარიან-ღაეო?
უბან მამკალნი ქერ-იფქლზედაო
წყაროს კარ გიხვევიან-ღაეო?

სტუმარს უძღვები ქორულადა.
რძეში დუმასა ხარშავ-ლაე?
ახო ჩემი ახოვლისი,
ლიფოდა-გორზამაულისი.
შუაში ერთის დლისაია
ძალლისა თლოშიაურისი.
ფხიტუს მალალო, გადამიშვი,

* * *

გიტირებ, ჩემო მამიდაო,
კუკუმაურო ჭიშიანო,
ჯვარში ხელოსანთ ასატეხო,
მთაში მთიბლების სამღერალო,
ნამხრევეში საკაფიაო.
მე-დ შენ აეჯაბრდათ, სამძიმარო,
იმ კარგსა ვაშკაცებურასაო.
ე გვარი დაეკვეხათ გვარსაო.
ჩუჩაყეური ხგავის ქარსაო:
უძეს ბინაი ორ-წყალ შიგაო,
ტანიის ღელით იქამს-ჩქამსაო.
ფხიტუთ მაცნეი გარმოკდებაო,
ოხერ-ხეველი აძლევს ბანსაო.
ვამზადებ თინიბეკაურსაო,
მა წყალს-იქითლის საქმარესაო.

* * *

თიბის სამშაბათს ძნელი იყვაო,
გიჟა არ შეხდა სათიბელზედაო,
ცელი ტიროდა გიჟისაო
ჩემი პატრონი არ მავიდაო.
ველი და ველი, მოდის ხალხიო,
სუყველამ ცელი აიტანაო,
ქერხოში ხუჟდავ გიჟას ცელიო.
პატრონი ვეღარ მოხყრის ხელსაო,

თოფიც ტიროდა გიჟაისიო,
ჩიხვების ხოცას დაჩვეულიო,
ჩახმახს აქვს ჯანგი გაჩენილიო,
აბჯარიც ხეიდავ ხელ უყროდარ,
ღღის თაოდ პრიალს დაჩვეულიო.

* * *

შენი ბრალია მაშალითაო,
ჩემო მტერო და მოსისხლეგო,
შენ ჩამოყარი ცხრანი ძმანიო.
მეათე ქალი პატარძალიო.
რექეო, ნუ გაირევ ქუდოს წყალსაო,
თავ სისხლიანსა ცოდვიანსაო.
მანდ დაურჩვიო ცხრანი ძმანიო,
მეათე ქალი ბატარძალიო.

* *

ა იმ მთასა ვერ შევხედავო,
ჩემი გული დაცულიაო,
ზედ მარხია ჩემი ქმარი
ლეკებისგან მოკლულიაო.

* *

მთიბელას ცოლი მოუკედა,
ვერც მოიცალა ტირილიო.

* *

შენ თუ ქვე წახვალო გაზრდილი,
ჩვენ ვისლა შევებრალებითაო...
ნუ მოგვიკვდებიო, ამირან,
ნუ დაშვრეტ თვალთა ფართეთაო.

* * *

ჩვენო ტოლ ამხანაგოო...
მუშა მუშუშაო, დაუდეგელო, დაუზარელოო...

დაგვიღონდა თქვენი უღელიო...
ჩვენო ორცელიანო, ორცულიანო.
ჩვენო უფროსო, ჩვენო უმცროსო წინამძღოლო...
დავრჩით ჩვენ დაღონებულნი...
ახლა ჩვენ გაუფრთხილდეთ და ვიმუშაოთ...

შარავენდეთა ვაჟათაო,
შაირად დაამღერებენო...

• • •

თივა მთასა სჯობს რეგვენო,
პური და ღვინო ბარისა...

• • •

მთაში არა მჯობსო მთიბელიო,
ბარად ჩამოვალ, — მაქალიო;
მთაში მთიბლების ნათიბიო
ჰგამდა ირმების ნაძოვნსაო.

• • •

თიბელი თიბდა ველასაო და
ვერ უქრის ვაცის წვერასაო და.

• • •

ბალაიშვილი ფერისა
მოლისის წვერზე მღერისა,
ჩათიბს და ჩაიმღერისა,

• • •

მთას თივა დაგვითიბნია,
ჯვილპება უღარობითაო.

* * *

ჩირდილი მამის მამულ იყო,
მზოტე, — ხმლით არის ნაშოვარიო,
შაკიდაურმა შამოუძრახაო,
ვაპ, დედას ნადირისასაო.

* * *

დედა ენაცვლოს შვილს გორგისა,
ერთი მთა ერთ ნამხრევად უნდა,
მეორე — თივის სათრელადა,
კოჭამდე მიწის სათხრელადა.

* * *

მთიბელ ვინ იყვა ისეთაიო,
გიგა რო იყვა გიგაურიო,
შვიდი მტკაველი ხქონდა ცელიო,
შვიდი მტკაველი სალესველიო.
შვიდნი თივანი დაეთიბნესო
სადილობამდენ გიგაურსაო.

* * *

მე ეგეთ არვინ მინახიაო,
ენახე გიგაი გიგაურიო,
ხან თიბდა, ხან კი ნადირობდაო,
ხან ცელს ნამხრევჩი დახუუდებდაო,
ქიჩოს ქალებჩი ლოგინობდაო.

* * *

უბისთავი და ღულისთავიო
ორნივე სამკლავმაგრონიაო,
უბისთავი ჯობ ღულისთავსაო,
ეგ უფრო გადაფენილიაო.
უბისთავმა თქვა: არ მინახავო
მთიბელი ბაჩანანის ფერიო,

გიგა ქალების საკეხურიო
ენახე და ვერა მამეწონაო;
შვიდი მტკაველი ხქონდა ცელიო,
თორმეტ მტკაველი ცელისტარიო,
ცელსა ნამხრევში დახუდებდაო,
ქიჩოს ქალებში სადილობდაო.

* * *

დედავ, ნუ მიმცემ ბასილასა,
ცელის ტარზედა ელღვეოდა.
ცელი ნამხრევჩი გადაეგდო,
თვითონ ქალებში ეთრეოდა,
თუ მიმცემ, მიმეც ბაჩანასა,
მთიბელთ თავზედა ევლებოდა.

* * *

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო,
მთიბელო ველარაისაო.
ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო
მთიბელჩი ნამხრევ-მშვენიერო.

— ქალო რომენი გირჩევნ ქმარი:
გირჩევნ მშაველი, ჩარგალელი?
მშაველი გაჭმევს იფქლის პურსა,
ნადირს მაგიკლავს ჩარგალელი.

— ჩარგალს ვეძანი საირმენი
მამის მამულთა შირჩენია,
სადილ-სამხარსა მიმზადებენ
მებატონესა კაცივითა.

ქალს თივა გამითიბნიაო,
უმზეოდ გამიფენიაო...
— აიღე, თორემ დანამავს,
ცაზე ღრუბელი ფენიაო.

• • •

მე რო ლეკებ დამიჭირეს
დამდეგ იყო მკათათვისა,
სამი მთა გადამავლივეს
სამივე კავკასიონისა.
ჩერქეზთ მინდორ გადმახედვეს,
ნისლი იდგა შავი ზღვისა,
სამი ქალი თივას თიბდა,
სამივე ჩერქეზთ ბატონისა.
სამთავ ეჭირათ ცელები,
პირი ქონდა აღმასისა.
მარმალილოს სალესები
იმით მოუწყობდნენ პირსა.
სამნივე ისე დასძახოდნენ,
როგორც ანგელოზნი ცისა.

• • •

გამიცინებენ ლალნი კაცნი,
ყმაწვილ-ყმუწვილნი უმეცარნი,
ქმარს ტირის ტოლათ შუქიანი,
შვიდის კვირაის ახალზალი.

• • •

მიშალ-მოშალე, გარმაშალე
ქალის ლამაზის თმათავითა,
გადაბლუნდი და გარმაბლუნდი,
უღელში ბებერს ხარსავითა,
მიხორხოშ—მაახორხოშავე
ობლის ყმაწვილის ცრემლთავითა!

• • •

ქალმა ჩაცვითენ ჯღან-წინდანი
სასიპის ლელეს სიარულსა.

სასიპის ლელეს ჩამოგხედენ,
უდელას გიცან მთიბლებშია.
მთიბლებში შენ არ ერეოდი
ლეგ-ლუგეებში ლურჯოსანი.
ხმალი წელზეით არ შაგეხსნა,
ჩაჩქანი თავზე გიელობდა.
ორსავე ხელს გეკრნეს სამკლავენი,
მთიბლებისა თავს დაჰხვიოდი.

• •

მაგჩეს ოხრადა, ცოლის დაოო,
წითელ-ყვითელნი ქოქომონიოო!
მე შენდა გამახედენაშიაო
ცელი ჩორჩშია გავამტვრიეოო.

• • •

მარტო მთიბელი მოიკვივრეო,
ცოლი გყავ ახალ მოყვანილიო,
ცხვარში ყოფილა გამოგხედაესო,
არვინ იჯობა სხვა მთიბლებიო.
თორე შინ მიხოლ წუხრი ხანაო,
ცოლი მოგცემდა საყვედურსაო.
აღარ დაგიწვენს ბროლის მკლავსაო,
აღარ ჩაგიხვევს ოქროს ყელსაო.

• • •

შვიდნი თივანი დამეთიბნეს
სადილობამდინ უბის თავსა,
სამხრის დროს სადილს მამიტანენ,
ვახშამსა შუალამისასა,
პირდაპირა მყვან მოსისხლენი,
იქითა მთხოვენ მუქარასა.
დისწულს არ მაჰკვლენ დედის ძმანი,
მაჰკვლენ, თავადავ იტირებენ.

* * *

სადილობამდინ დათვიამა
სამი ნამხრევი აიტანა.
სადილობიდე დათვიამა
კვერსა ნახლეჩი დაატანა,
რო დაცხა, დალბა დათვიაი
უსაპირეო ცელივითა.

* * *

ჯალათთ ორკეც პურ ჩამიდვეს:
— სათიბს გავგზავნეთ, — თქვიანო.
ჩემ სწორ ეშმაკი გვერდს მიდგა,
ჩემ ჯალათთ რა იციანო?!

* * *

მიხაი სთიბდა დიდუბეჩი,
ჩირდილჩი ხქონდა ბინაო;
პურაი მაწიებიყო,
იციკირებოდა შინაო.
დედამ მქადი აუტანა,
ლურჯია, როგორც სინაო.
აბა, ემას ვინლა შაშქამს,
დაწვა და დაიძინაო.

* * *

გენაცვლე, ხაჭო-წყალაო,
რამ მოგცა მაგთვენ ძალაო.
ჩემზე მეტი ვერ გათიბა,
ვინც ხაჭო-ერბო ჭამაო.

* * *

ოცდაშვიდი დღე მითიბავის
მუშასა ქისტაურისასა,
ერთხელ წმინდის პურ არ მიჭამავ-
ერბო თვალითაც არ მინახავ.

• • •

ერბო მაჰმე მამის ცოლო,
თივათ მოგიტიბ ნარიანთა!
საქალაოდაე ჩაგორაედა
პირმოტეხილი ქერის პური.
უთხროდი ჩემსა მამის ცოლსა,
მთიბელი ველარ მოგივაო.
ჩემი ნათიბი ნიკორასა
მარილად მაინც აჰმოდეთ.

• • •

ცხენი მიყიდა დედამა,
შვიდ ძროხა მისცა ფეხადა.
ხოზის თავს სათიბს წამოვედ
ჩვენის ხომლების ქეჩადა.
იმ ზაფხულს კარგადა ვთიბე,
მენ კი ძილთ არას მეწადა,
წამოვწვებოდი გრილშია,
ყველა მენ გამომხედაედა.
ჩემს დედას მინატროდიან
კაიშვილ გამოგეზარდა.
— ოც თივას ხუთმეტ დამიკლდა,
რომ დაეაყენე ერთადა.
ცხენიც გავკვებე კარგადა,
არც ხარებ დამიბეჩაედა;
შეირგეს მუხის ნეკერი,
დასუქდა მეტის მეტადა.

• • •

ცელო, მოუსვი ბალახსა,
განზე გაიტა პირია;
გამოჰკა, გამოიტანე
ნიშა ნიკორას წილია,
იონჯა, ურო, სამყურა
სათიბად გადახრილია...

•

ღმერთო, რისხვა აგვაცილე,
ზეცით დარი მოგვივლინე,
მოუსვი ქასურს, მოპირე,
თივა წმინდად ათიბინე.
გაუსვი და გამოუსვი,
ბიჭო, თივა მოითიბე,
თორემ კოჟუას სიმშლი
ყურებს ჩამოაყრევენებს.

* * *

ეხლა დრო არის თიბვისა,
ხალხი დაიწყებს თიბვასა,
მხრეულით შეაქრელებენ
გულმკერდსა ხადის მთისასა;
ახმაურდება ცელები,
ნაპირს შეამტკრევს კლდისასა,
ზოგს მამას შვილი გაჰყვება,
ზოგსა ძმისწული ბიძასა.
თქვენ რალა გული გაყენებთ
უმცვრიავ, დედა მტრისასა,
შენს ბუგში მაინც გამოდი,
ცელს ნუ შეაჰმევ წიდასა;
ქინქარს. არ დაელუღინო,
ფეხთ ჩაიცომდი წინდასა.

* * *

დედა გიტირე, თივაო,
რა ბევრ ნაფხვენი გცვივაო.
განა ჩემ გათიბული ხარ,
არც არა გული მტკივაო.
რა ძროხებ დამილუბდება,
რა კუტად ჩამიცვივაო.

ვაიმე, ჩემო სათიბეო,
დაებრდი, ვერ გავთიბეო.
წამოესწეე კაკლის გრილშია,
ცელი ტოტზე შევჭკიდეო.
ველარც დავსწველე ფურები,
ველარც კარაქ გავჭყიდეო,
ე რძალ იმით თუ გაიქცა,
ხატ-ღმერთ ვერ თუ ვადიდეო.

*

არც არა გამითიბავის,
არც არა დამიგულეზავ,
არც გამივლავის მთაშია,
თავიც არ გამიბრუნეზავ;
გაურჯელობა, სიყროლე
განა მე გამირჯულეზავ.

!

ბალახნ არ გამაგრებულან.
ვერ გამაიტანს ცელია!
ჯერ ხატებ უნდა ვილოცო,
ლაშარი ჯვარი ჩვენია.
თიბასაც კიდევ მოვასწრებ,
ჯერ შორსავ არი სთველია!...

*

დედას გიტირებ, ზამთარო.
თუ კიდევ მოვა ზაფხული.

იმისთვის დავრჩი უთივოდ,
ქალებში ვიყავ გართული.
წვეელი სათიბავეათა,
შამამეყინა თავყური,
ორსავ გუდაში ჩავაწყვე,
სალესავი და ქასური,
ისე გავხმები ცელზედა,
როგორც ყანებში საფთხული.



საჰენასო

(სიმღერა ვენახის ბარვის დროს)

— გოგოვ, გოგოვ შევთვალაო — ჰეო,
ნეტა რას იმალებიო — ჰეო,
მაჰანკალთან ნუ წამიყვან — ჰეო,
რატო არ გებრალებიო — ჰეო,
ჩაგაცმევ და გაგახარეფ — ჰეო,
არათერს არ მოგაკლეთო — ჰეო,
გულს ცეცხლივით აგენტები — ჰეო,
მალამოთ დაგედებო — ჰეო,
დედაშენს შეატყობინე — ჰეო,
შენი მზითევი არ მინდა ჰეო,
ოლონდ შენი ჩრდილი მომცა — ჰეო,
იმასაც დაეჭერდებო — ჰეო,
— გოგოვ, გოგოვ გენაცვალე — ჰეო,
სანწელივით ნუ დამადნე — ჰეო,
თორემ მიწა მომერევა — ჰეო,
ბელტს ველარ გადავაბრუნებ — ჰეო,
ვაზი ღვინოს აღარ მოგვეცემს — ჰეო,
გუნება წაგვიხდებაო — ჰეო,
საწნახელი კრუხის ბუღეთ — ჰეო,
გადაიქევეაო და — ჰეო,
გოგოვ კიდევ გენაცვალე — ჰეო,

* * *

ჰერელო, რათ მომკალ, მამულ-ტილო.
ვარაღე, რა კაცი შაგველეოდა,
თუ მომკალ, რაღათ შემქამე,
რა პირი გიშავდებოდა? ვარილალო!

* * *

წუთი-სოფელმა დღე ჩემი
სიმწარით დამალევირა, გენაცვა,
მატირა ცხარე ცრემლითა,
ზღვასაცა შემართვევირა, ბიჭო-და!

* * *

მომკლა და ცეცხლი მომიდო, ვალაღე.
მქადმა, ნატარში რეულმა, დალაღე,
არც მომკლა, არც დამარჩინა, გენაცვა.
არც სული დამალევირა, ბიჭო და!

* * *

დიდ ვენახში მივდიოდი
ბარითა და ნიჩაბითა,
ზევით ბაგამ დამიძახა,
აქ მობრძანდი მე რა გითხრა:
შენ სასუქი მომიმზადე
თითო ჯინი თითო ძირსა,
ისეთ მტევანს გავიკეთებ,
არ ჩავიდეს გოდრის პირსა,
ხანდინან შემოხვილოდე,
ღიმი მოგდიოდეს პირსა.
საგაისოთ მომიკითხე
სამამულე ჩემი რქისა,
საწნახელი მომიმზადე,
პირი მოუღესე რძითა.
თალარი კარგი დამიდგი,

იყოს ორმოცი კოკისა,
ისე გაგივსებ ქვევრებსა
ცვარი აღარ გედგას სხვისა,
უცხო და უცხო სტუმრები
გორაობდნენ ცეცხლის პირსა,
სულ დაგიტრობ მეზობლებსა,
ველარ გადიოდნენ ხიდსა,
ჭირი ბევრი მოგაშორო
და სირცხვილი მეზობლისა.

• • •

დაეთოხნოთ, ძმებო, ვენახი,
ლამაზად შეკაზმულია,
ღრმათაც ჩავუშოთ თოხები,
სიმღერები ვთქვათ ძმურია.
ჩქარა ეს სვე გავიტანოთ,
ბიჭებო, ღვინო მწყურია,
ტიკით ღვინო მეგულება,
გრილოში შენახულია,
დაკა, ბიკო, წამოიღე,
თორე მაინთ სვე ბრუდეა,
დაკა, მხარში გამისწორდი,
თორე ცუდი ხმა ცუდია,
დაიცა, მივალ გრილოში,
ჯამი დარიგდეს თიხისა,
ვენახის სათოხნელათა,
გული დამიწყებს ღლინსა,
დავკრათ და მიწა ვაბრუნოთ,
როგორც ნანგრევი ციხისა...
დასხდნენ და ღვინო დაასხეს,
მოსდევს სხვილ-სხვილი ჯამითა,
ერთმანეთს ეუბნებიან:
ესე აივსე ჯანითა.
ადექ, ბიჭებო, წავიდეთ,
თაეში ღვინო შემომიჭდა,

ვენახის სათოხნელადა
ძაან გული გამიგიჟდა,
ერთი ჯამი მეც ღამისხი,
საყველაწმინდო გადავკრა,
მაშინ გიჩვენებ სეირსა,
შენთან თოხი როგორ დავკრა.
ვენახი კარგი იქნება
თოხით ღრმით გათოხნილია,
ყოველთვის დაკრეფის დროსა
მას მტევანი აქვს სხვილია.
გათოხნა ვენახისა
ღარში გამოდის სხვილია,
გაუთოხნავ ვენახისა
მძიმედ ჩამოდის, წვრილია,
მაგრამ სწორე უნდა გითხრათ:
ღვინო ის უფრო ტკბილია.

* * *

ხაჩმიანი, კუჭატანი,
იმას ქვევით გავაზია,
ყურძენი კი არ ასხია,
მე რა ვიცი რა ვაზია.

* * *

ბატონმა ვენახი მომცა,
ახალი ასაშენია...
შიგ გავაკეთე მარანი,
მოვმართე საწნახელია.
ჩემი ძმა მეუბნებოდა:
— ღვინო მოგვივა ბევრია!
მე ჩემს ძმას ვეუბნებოდი:
— გაგვევება ძველის ძველია.
შემოგვეჩვია მურია,
ყომრალი, თაგვის ფერია;
კაჭა და კაჭა ვენახი,

აგვალვინა ხელია.
წავედ და ჩემს ძმას უთხარი, —
ჯოხს წამამივლო ხელია:
— რატო, თოფი იქ არა გაქ,
ის ოხრად დასარჩენია!
ჩემმა ძმამ ხერხი მასწავლა.
გოდორ შამიბა ყურია...
დავდგი შესაეალ კარებში,
შიგ ჩაუყიდე პურია;
იქა მაქ ჩემი მათარი,
ქალაქში გამართულია.
გავარდა ჩემი მათარი, —
გააგდებინა ყურია;
აგაგა, ძაღლო მურია,
სად მიგაქ ჩემი პურია!

* * *

გაზაფხული მობრძანდება
აყვავდება მთა და ბარი,
ციდან ქუხილი წამოვა,
მოვარდება ნიაღვარი,
ვაზს ძირამდისინ დაიყვანს,
იქ დარჩება მარტო სარი.

* * *

ვაიმე, დედავ, გიკვდები,
ვილა გაგისხლავს ვენახსა?!
დამიპატიეე ტოლები,
შენდობას ვეტყვი ყველასა!

* * *

ვაზო, შეილივით ნაზარდო,
მოკვდები მე შენ ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი
იმედი გასაჭირშია.



ყურძენმა. თქვა, მეც ხილი ვარ,
ყველა ხილზე უკეთესი,
ყველა ხილზე გვიან მოვალ,
ესეთია ჩემი წესი.
გაზაფხულს ყვავილს დავიყრი,
ზაფხულს ხომ ჩამოვშავდები,
ზამთარში ხილთა გმირი ვარ,
შემკვამ და პირში დავდნები.
შემოდგომა რო ჩამოვა,
სულ დავიწვი და დავდნები,
დამეხვევიან ქალები,
კალათაში ჩამკრეფამენ,
ვენახიდან წამიღებენ
საწნახელში ჩამწნახამენ.
ჭეულ-ჭეული ბიჭები,
ამსრესამენ, ჩამსრესამენ,
აჭყეებიან, დაჭყეებიან,
ჭურში ჩამაჩუხჩუხებენ.
ჩავალ და ცოტას დავიცდი,
უცეცხლოთ წამოვდულდები,
ამომიღებენ, დამლევენ,
ცოცხალს და მკვდარსაც ვუხდები,
მეტყვიან მრავალყამიერს,
ღმერთსაც კი აუხირდები.



მალე დამსხვილდი ყურძენო,
თავს ნუ დაიხვევ რამ ჭირსა,
შენი იმედით ვაპიროფ
ამ შემოდგომით ქორწილსა,
ტალიკ-ტალიკი მაყრები,
ყანწით დავიწყვენ სმასაო,
თამაშ, ფანდური, დაირა,
რომ ჩემი სჯობდეს სხვასაო.

მტევნებო, მალე დამწიფდით,
არ შეგაშინოთ ქარმაო,
მაჰარზედ ისე გიმღერებ,
რომ ბანი მოგვცეს მთამაო:

• • •

ცაო, დასქეჟე მითხარი,
სად არის ჩემი სტუმარი,
მომიყვანა თუნდა ორასი,
ქვევრში ჩუხჩუხებს მაჰარი.
საწყალი კაცის იმედო,
მაჰარო გენაცვალეზი,
ყოველი წვეთი ოქროა,
შენამც ნუ დამელვარები.

• • •

ჰერი ოკა, ჰერი, ოკა!
მართალია ჩემმა მზემაო...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ქვევრებს პირი გადუხსენითო...
ჰერი, ოკა, ჰერი ოკა!
ერთი ქვევრი გადაავსეთ....
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ახლა სხვებსა მოხსენთ თავიო...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ქვევრებს პირი გადუღესეთ...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!

• • •

ჰერი, ჰერი, ქართლის ქალო,
რა ლამაზი რამა ხარო;
დამკრახულო, ბუდეშურო,
მინდა მალე დაგეშურო,
ანდრიულო, დაგიურვო.

შავ კაპიტოს, დაჰკა ბიჭო,
ანგრე ბიჭო, გენაცვალე!
ზარმაცობას ნუ აცალე.
შეხტი, ბიჭო, დაჰკა ფეხი,
აგრემც შეგვეწევა ღმერთი!...

* *

ვენახი კარგათ მოვრთევი
წმინდათ დათლილი სარითა,
თოხნითაც კარგათ დაუთოხნე,
წმინდათ დაებარე ბარითა,
დაისხა მსხვილი მტევანი,
ცისკენ ასწია რქანიცა,
გუნებით აგრე ვამბობდი:
„ამოვალ ჩემი ვალითა“.
დავალ და ვხარობ ვენახში,
არხეინათ მაქვს გულია,
მთისკენ ამოჩნდა ღრუბელი,
ცას მოეფინა ბურია.
იქუხა ერთი საშიშრათ,
გულს ეცა, როგორც ხმალია;
სეტყვა დაუშო სხვილ-სხვილი,
თავს დამაქცია ბანია,
მოვარდა სეტყვისა წყალი,
შამამივარდა ღვარია,
დამიწიოკა ცოლშვილი,
ღმერთმა არ შემიბრაღია,
ქვეყანა დაწიოკა,
საყდარს დალეწეს ზარია,
დავიჩოქე და ვევედრე,
ავანთე კელაპტარია.
ყურძენიც გააყრევენა,
თან გააყოლა რქანია,
ქვევრებს უმზადებდი სხვილსა,
არ მომივიდა ცვარია.

გუნებაში კი ვამბობდი,
„გავასისინებ ნაესაო“
დახე ცოდვისა კითხვასა,
ლვინოც არა მაქვს მსხლავსაო.

* * *

მე უშენოდ შენმა მზემა
სარცხი არას მესარცხება.
გინდ მოვიდენ ცხრანი მზენი,
მე უშენოდ არ დამთბება.

* *

დამდეგ ენკენისთვისასა
ვენახში გორავს კალათა,
დაუთრობელი არ წავალ,
თუ გინდ გამაგდო ძალათა.

* * *

მინდა გიჩვილო, ვენახო,
ხეთითა და სამართალითა!
ორასი მუშა მოვლალე,
ქარელისა და სკრისაო,
ქვევრები ცარიელი მაქვს,
რატომ არ მაძლევ ტყბილსაო.

* * *

ნარიმან შენსა ვენახსა,
ვიგო უდგია მსხლისაო,
რაც მისგან ღვინო გამოვა,
ნახევარია სხვისაო.

(აჭარული)

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო!
ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?



ჟუნდა წავიდე ჯავახეთს,
შენ მენანები, ვენახო,
ყველამ გზა დამილოცევით.
ვისაც რომ თვალთ გენახო.



ტყიდან გამორბის ნადირი,
ფეხი აქვს ტალახიანი,
კაცი არ დაიწუნება,
თუ კია ვენახიანი.



სიდედრო, შავგვრემანობით
არ დაიწუნო სიძია,
სოფელში მიდი, იკითხე,
გძელი ვენახი ვისია?

(სიმღერა მალლარზე)

— ა გიდელა, ჰა!
— ა გიდელა, ჰაა!
— ა გიდელა, ჰააა!
ა გიდელი კუშტურ მახვილიო,
შიგ არი ხუთი მარჩილიო, ოოუ!



ხის წვეროში ჩიტი გჰამდა,
გიდლით ჩამოგიტანეო;
საწნახელში რომ ჩაგყარე,
ფეხით გამოგიყვანეო;
ქვევრები რომ გაგირეცხე,
ჩაფით გამოგიტანეო;
ამდენი შრომა გავწიე,
მაინც არ გამიტანეო.

ჩენი ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო,
წვერში დასხმია ყურძენი,
საკმელად შემოსულაო.
იმის უკმელი კაბუკი
უდროვოდ გადასულაო.

• • •

ჰეი, შენ ჩემო ვენახო,
გარს რთვილი შემოგდებოდეს,
ყურძნით მოყელილ საწნახელს
კარგი დღე არ დასდგომოდეს.
გცემდნენ და გიბაყუნებდნენ,
ცვარი არ გადმოგდენოდეს,
მოგსვლოდეს გულის სტუმრები,
სირცხვილის ოფლი გდენოდეს.

• • •

ჯანდაბას, ჩემმა ლორებმა
ჩემი ვენახი თხარონო,
ზამთარში გარეთ მატარონ,
ჩემი დღე დამამწარონო,
აიღონ ერთი ვენახი,
სულ ადრე დაგვიბარონო,
ყოველ წელს ას-ასი კოკა
სულ ქვევრში ჩაგვაბარონო.
ისე გახადონ ქვევრები,
მიწა არ ჩაგვიყარონო,
რაც იმას მიწა ეყაროს,
ძლიერ შორს გადაყარონო,
მეც კარგა ღვინით დამათრონ,
მინდორში წამიყვანონო,
შიშველა ფეხით მატარონ,
წინდა არ მომაკარონო.



ამ ღვინისა რა გავიგო, კაცებო!
არ დავლიო კიდევ მინდა,
რო დავლიო, დავითვრები,
ეგეთ სიტყვებ მოგახსენებთ,
ქკვიან კაცად ჩავითვლები.



იმ მარჯვენას ვენაცვალე, ღვინოვ,
რომელმა ხელმაც დაგშარა!
ერთგულად შაგიმუშავა,
კელაპტრებივით დაგზარდა.
ჭიგო შაგიდგა, შაგსარა,
ხახევრობამდე დაგხარა,
ყურძენი შამაიხვიე,
ი შვენიერი, ღაღანა.
დრო მოგივიდა, დამწიფდი,
პატრონმა დედას გაგყარა,
კალათაში ჩამოგკრიფა
და საწნახელში ჩაგყარა.
ვაუკაცი შაგდგა, დაგჭყლიტა,
პირმაღალ ქვევრში ჩაგღვარა,
იმ შენი გადაღების დროს, ღვინოვ,
ნეტავი ერთად შაგვყარა!
ხოლო ერთი წუნი შაგდევს, ღვინოვ,
იცი ვაუკაცის დათრობა,
მაგრამ უშენოთ არ ვარგა
ქორწილი, წირვა, ნათლობა.



არალალო ქვეყანასა,
წითელ ღვინოს იტყვიანო,
ვიშრომით და მოვიყვანოთ,
ჩვენთვის წამალს იტყვიანო.



ურმული

[(აღზევანს წასვლა)]

პარალო, ჭკპარი პარალე-ო-და
აღზევანს წაველ მარილისთვინ-და
მარილს მოვიტან ჩემი ცხვრისთვინ-და
ჩემი ცხვრისთვინა შავ თვალისთვინა-და...
დედამ მიშალა არ დავიშალე.
მამამ მიშალა — არ დავიშალე.
წაველ და წაველ სამი ურმით-და
სუ დიდმა რძალმა გზა დამიწყველა
— წასვლა იოლი, მოსვლა გვიანი;
შუათანამა პური დამიკრა,
უმცროსმა რძალმა გზა დამილოცა.
სიზმარი ვნახე: ჩემ ნიშა ხარს-და
რქა მოსტეხოდა, რქა მოსტეხოდა.
წაველ და წაველ, მარილეთ ჩაველ,
ათსა ურემსა მარტო დაუდე,
ერთი ქვა მაკლდა, მისთვის შევედი,
იმ ერთი ქვისთვის კლდე წამამექცა,
კლდე წამამექცა, ქვეშ მომიტანა.
ხელის ფრჩხილებმა დაიყვავილა,
ფეხის ფრჩხილებმა ფესვი გაიდგა,
შავმა ქოჩორმა ცვინვა დაიწყო.

თქვენნი ჭირიმე ამხანაგებო,
ჩემ ნიშა ხარსა ტოლს ნუ დაუდებთ;
დედას უთხარით, გულს ჯავრს ნუ მისცემს,
მამას უთხარით ნუ დაღონდება,
ჩემ რძლებს უთხარით, მათ გაიხარონ,
მაზლი გიორგი აღარ მოუვათ.
ჩემ ცხვარს ქვა მიეცთ სალოკავათა,
ის დამიკალით მოსახსენებლათ.
აღზევანს წაველ მარილისთვინ-და
თურმე წაესულვარ შავი დღისთვინ-და
ჰარალო, ჰარი ჰარალე-ო-და!..

* * *

გენაცვა, შავო კამეჩო,
ნიკორა ზაქის დედაო;
შენი დაზრდილი ზაქები
მიმიდის მარილზედაო.

* * *

მარილზე წასვლას აპირობ,
შენ ჩემო ძმაო, ნონიკო,
ურემი კარგად გამართე —
ყველა ქარვანზე წინ იყო;
ხარი ლეკებმა დაგპარეს,
მარალაი და შინდიკო —
ნეტამც არ დაკარგულიყვნენ,
დახოცილიყვნენ ჭირითა,
ტყავსა ქალამნად გავცვეთდი,
ხორცსა შავჭამდი ლხინითა;
სხვისა გუთნეულს შავხედავ,
ორპირ ვიტირებ დილითა.

* * *

მე რომ მარილზე წავედი,
შინ დამაეიწყდა პურია —

აველ ხოვლესა ვიკითხე
ყოშა და ყარაულია;
— რამ გაგაგიჟა, ბიჭუნავ,
ქარვანს არ ჩამოუვლია.
ძაღლის წყაროზე რომ აველ,
დაცხა და დადგა ლულია;
საგორავეისთვის დაედვიარ
ვით დარბეული ურია —
დამისიციხა კამეჩები
ხარს გადავფარე ჩულია.



ჩემი მარილზე წასვლაი,
არ არი დიდიხანია, —
ცამ დაიხვია ღრუბელი,
როდეს მიძველდა მთვარეა;
გუმბრის ბოლოს რო მივედი,
ავად გამიხდა ხარია,
ბიჭებმა აღარ ილხინეს, —
იმ ღამეს ხარი მკვდარია.
ნინია, შენ გეუბნები,
შენ გამიტყაუო ხარია,
არ დამიკარგო ყანწები, —
თითო არშინი რქანია;
წავალ, დავწვები ხარებში,
სამძიმარს ვეტყვი გნოლასა, —
— კაი მეუღლე მოგიკვდა,
მარტო ნუ შეიქ ბრძოლასა;
ვეცდები გამოგიყვანო,
გალმა ხარი ჰყავს მოლასა.
კამეჩმა შემამირბინა, —
რას ნატრობ ჩემსა ყოლასა,
ასსა ფუთსა შინ წაგიღებ,
სტილი არ აკლდეს წონასა;

ურემსაც მარტო წაგიღებ,
ზურგზე დაეიკრავ დოლასა!..

* * *

მარილზე წასვლას ვაპირებ,
სამძიმარს ვეტყვი ლომასა,
საყვერი ხარი მოგიკვდა
შენ ნულარ შაიქ ბრძოლასა
წავიდეთ გამოვიყვანოთ,
შავი ხარი ჰყამს მოლასა,
ორმოცს ქვას ისე მოიტანს,
სტილი არ აკლდეს წონასა..

* * *

ეშმაკათა და ქაჯათა
აკი წავედი ყულებსაო:
დამიდგა ლომა კამეჩი,
ამოვეტუზე ურემსაო.
შამამეჩვია ციება,
დამაყრევინებს ყურებსაო;
დავხედე წითელ ხარებსა,
წელებში დაკაკულებსაო.
აგრე ეგონა მამაჩემს,
კასრით მოვიტან ფულებსაო.
ნეტავი რა მიხაროდა
იმ სატიელო ყულებსაო?.

* * *

ჩემი ნიკორა კამეჩი
აგრე არ გამიზრდიაო,
ზურგით უზიდე ბალახი.
ცოდვათ არ გამინდიაო,
გასწიე ხარო, გასწიე,
საცაა გათენდებო...
არალალო, არალე დააო!

ურემო, ფერსომაღალო
არი არალო, დააა!
ხუნდი გიგორამს გიშრისა,
არი არალო, არალო, დაა!
აგებულობა კარგი გაქეს,
ეგ ერთი ფერსო გიშლისო,
არალო, დააა!
თუ კაცი თითონ არ არი,
არიალალო, არალო დაა!
ცუდია მისი ცხოვრება,
არი არალო, არალო დაა!

* * *

ურემო, ფერსო მაღალო,
ხუნდი გიყრია გიშრისა,
გადადი, გადაამტვრიე,
რომელი სოლიც გიშრისა.

* * *

ურემო, შენი ჭირიმე,
ხუნდი გიყრია გიშრისა;
ქვეყანა რომ დაიარო,
არ არის შენი ნიშნისა.

* * *

ურმულს დავძახებ ისეთსა,
ვარხი ვარალო,
გული მოგიკლას ურმულმა,
ვარხი ვარალო!
ურემი მყავს შესაბმელი
ვარხი ვარალო,
შეშა უნდა მოვიტანო
ვარხი ვარალო.

* * *

უნდა გავათბო ცოლშეილი,
ვარხი ვარალეო.
ამოდი, ამონანათე,
ვარხი ვარალეო.

* * *

ჩემი ღვინია ხარები
ღვინით არიან მთვრალეები,
გადამიბრუნეს ურემი,
ქვეშ მამიყოლეს ქალები.
მეურმე ქვევით გარბოდა,
ჯაგ მაინც მოვეფარები.

* * *

შენი ჭირიმე კამეჩო!
შენ სად გათრიო მარხილო!
აგრეთი საქმე არ მიყო,
გათენებამდის მწლხინო!
არიარალე, არალე!

* * *

იქავ გერჩივნა კამეჩო,
ქოპორტს გეძოვნა-ბალახი,
ხანდახან ხილათ გენახა
ლართისკარი და ქალაქი.

* * *

მეურმე, მეურმის შვილო,
ხარი გიკვდება ირმაო,
წადი და ეხლა დაუდე
გორელი კაცის ქირაო.

* * *

დედა ჩემი მარიგებდა:
ნულარ წახვალ ქირაზედა!

ნიშა ხარი გაილახა,
გადაივლის ყირაზედა“.

*

ნეტარ ურემსა ქოთილავ,
რად არ უდგმენ კონკილასა?
— იმათა რო თავს არ დახრის
ზედ რო იჯდე ორ კვირასა.
ეგ ხომ შენაც კარგა იცი —
რადლა ჰკითხავ ქოთილასა.

* * *

საითკე მიხოლ ხოხონავ,
შენის ქორაი ხართა, —
ხევს ურემანი მიმთრევეან,
უნდა გავტენო ჩალითა.

* * *

არალაღე, არალე, დააა!
ჰარალო, დააა!
შემოგხედამ ბროლსა პირსა,
წარბი ხშირად აგეყარა....
ჰარალო, დააა!
ცხრა ნაწნავი, გიშრის თმანი,
მხარ-ბეჭებზედ დაგეყარა.
არიალალე, ჰარალე, ჰარალო, დააა!

* * *

ურემსა თივა დაუდე,
დაუდე, დამეშალო,
აქა მომხედა ქალამა
და შუბლი გამიშალო.

* * *

არი არალო არალო
პარალალო და!
გოგოვ, რას სტირი ლამაზო,
რა დაგითხრია თვალები,
შენი ცრემლითა ლამაზო,
სავსეა საგუბაოები.
ლამის ტოროლა ჩიოდა,
ლმერთო, რას გამაჩინეო,
სამი პირობა დავჩეკე,
ერთი ვერ გავაფრინეო.
არი არალო, არალო
პარალალო და!.

* * *

პალალო, პალი პალალო
პალალო ბიჭო გელაო,
ჩინოვნიკი და ვაჭარი,
ჩვენ მოგვრეგია ყველაო.
ლედელი უზომოდ გამძღარა,
დიაკვანს ჩაახველაო.
გზირს ქონი მოსქარბებია,
ბაჯბაჯებს ნელა-ნელაო,
ნაჩალნიკი რომ უბრძანებს,
მზადა აქვს იფნის წნელაო.
პალალო, პალი პალალო,
პალალო, ბიჭო გელაო.
ჩინოვნიკი და ვაჭარი
ჩვენ მოგვრეგია ყველაო.
პალალო, პალი-პალალო,
პალალო ბიჭო გელაო.

* * *


ჰამო ხარებო, გამიწო,
არ გადამჩეხოთ კლდეზედა,
არ ამიტუროთ ცოლმეილი,
გლოვად არ დასხათ ჩემზედა.

* * *

შენ, ჩემო შავი კამეჩო,
რა დავაშავე შენზედა?
ზაფხულს გითიბე ბალახი,
ზამთარს დაგაბი ბზეზედა.

* * *

შავო, შევბნელო ივანე,
ვერ ამოუხველ სევდასა,
კლდეში ჩაჩეხე ურემი,
კაცი ვერ გადიხედამსა.



მეზიური

* * *

სატიოზე ტივი შევკარ,
ტივი არი ნაძვი ხისა,
ორთაყვირები მოვასხი,
მოსასმელი არი წყლისა.
ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,
რომ ქალაქში ჩასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო.

* * *

სატიოზე ტივი შევკარ,
ტივი იყო ნაძვი ხისა,
ორთაყვირები დავასხი
თითო იყო ასი წლისა.

* * *

გორიჯერის წმინდა გიორგი,
გადმომცქერელო მტკვრისაო,
მეტივე ბევრი ჩამოდის
ქარელისა და სკრისაო.

(ხეური ანუ ტიური)

- პირველი: ქარელში ტივი აუშვი,
იქვე მოიღერა ყელი;
„საყორნის“ მივატანე,
ფინთად შემიცვალა ფერი.
ორივე წყალში დამეხრჩო:
მებოლოვე, ხელის მკვრელი.
- მეორე: მამაშენს კარგად ვიცნობდი,
თავთხელს ესროდა ბადესა.
შენ იმის შეილი არა ხარ,
ტყვილად ახეთქამ ბაქებსა...
- პირველი: ტიო ჩემო, ჩემო ტიო,
მორთულო და მოკაზმულო,
ორთაყვირო მოსასმელო,
ზედ კულავ და ზედ სასმელო,
სატიოზედ ჩაჰსულიყავ,
ორმოც თუმნად გასულიყავ.

• • •

ქარელში ტივი ავუშვი,
მტკვარ გაუარა ძირზედა,
მეჭვრიხეული ციება
გადამეტია ჭირზედა,
კაც მაჰკლამ, დაასნეულებ,
შორს შეეტყობა ცხვირზედა.

• • •

არაგვზე ტივი დავაწყე,
ტივია წიფლის ხისაო
ორთაყვირები დავასხი,
ხიმშიაშვილის ტყისაო.

• • •

მეტივე და ყუდრო ჭალა,
ჩიბუხს დაატანა ძალა,

მეტივემ ტივი დარიყა,
მეზოლოვეს დააბრალა.

* * *

დღეს არ იყოს, ხვალ არ იყოს,
ტივი ნაპირზედ გარიყოს,
ე უფულო სოვდაგარი
გინდ იყოს და გინდ არ იყოს.

ქარელში ქალი ვითხოვე,
ჩამოვიყვანე ტივითა,
სამი დღე არა მყოლია,
ისიც მამიკვდა ჭირითა.

* * *

ზოგი ქალი დაიკვეხებს,
მეტივეა ჩემი ქმარი;
წავა ტივზე, თავს დაიხრჩობს,
დაუდგება ორივ თვალი.

* * *

ნადარბაზული ტირილი
ჩამოდის ზარის ხმაზეო,
ჩვენ ბულბულები გვეგონა,
ქალი ტიროდა ქმარზეო.

* * *

სადუნიშვილო ნინია,
შენ თავში ჭკუა არ გქონდა,
ფონი რატომ არ გაშინჯე,
როცა ხეები ჩაგქონდა.
დაგესვა ხამი მეტივე,
ნაპირზე ტივი დაგქონდა,
შენი ხეების ნაგლეჯი
სულ მცხეთელებსა ჩაქონდა.

კაპრაშიძე ტივზე შერჩა,
როსტომ გული იმას ჰქონდა.

* * *

მუხრან ბატონის ყმობითა,
პური ვერ დაედგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩოხა ჩაეცვი,
ვერც ახალოხი ქოშითა.
ვერც გაეზარდე დეკეული,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.


* * *

სახლი-კაცი გამეყარა,
მამიყვანა შუა კაცი,
მამაძალღმა შუა კაცმა
ნარიყალზე გამიყვანა.
ულელი ხარი მარგუნა,
არც იმათა ქონდა ძალა,
ერთი დღის მიწა მარგუნა,
არც იმას მაჰყვანდა ყანა,
ბებერი ძროხა მარგუნა,
არც იმასა ქონდა ძალა,
ისიც ტყეში შამივარდა,
ტყე იყო თუ ყალთაღანა,
დაჰხვევიყვნენ სამნი მგელნი,
ეწეოდნენ განდაგანა.

* *

მეფე ირაკლის დროშია
შორს მოვაძოვე ძროხანი,
დავწექ და ბებერი ვიძინე
ზედ დავიხურე ჩოხანი.

მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერც გავახარე ცოლშვილი,
ვერც მოვილხინეთ ტოლშია.
ნეტავი შემატყობინა,
მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარულნი ცოლ-ქმარნი
უდროვოდ რისთვის გაყრილან.



საფეიქრო

• •

შე, დალოცვილო მეცხვარევ,
ძაღლებს არ დამაგლეჯინო,
პატარა მატყლი მაჩუქე,
გოგოებს დავაჩეჩინო.

• • •

კალოთანელთ მიჩეღნი ხყვან,
დადგა მატყლის წეწაიო;
შულამემ მათანა
არ გაჩეჩეს კეჭაიო
ჩვენი ნინო გაუჯავრდა, —
უნდა დავსცე ჩეკაიო.
ამაგის მალექსებელსა
ერთ თამბაქოს წეკვაიო,
მწარე ეეგეთა იყოს,
რო დავიწყა წიკვაიო.

• • •

ბამბამ უთხრა აბრეშუმსა:
— შენ ჩემზედ მეტი რა ჰქენი?

გლები კაცი გაემდიდრე,
ფეიქარსაც დავსდე ფერი.
ერთმა კაცმა მოინდომა
ერთი შაიდიში შენი,
სახლის ავეჯი გაყიდა,
არა ჰქონდა ფასი შენი.

* * *

ჩარიჩამა შემოვძახოთ,
ჩარიჩამა ბეზიო,
აბრეშუმმა გვილაღატა,
ბამბა მაინც ბევრიო.

* * *

გენაცვალე, გეკაკანე,
შენ რომ ნართი გამიცვალე,
ქლაქიდან ლიტრა ბამბა,
ორ შაურად მომიტანე.

(ქალის სიმღერა)

ერთე, ერთე ფარტენაო,
ჩაეხვიე ტარზედაო,
ჩემი გულის ნანდაური
კახეთს არის ცხვარზედაო.
წადგება და წამოდგება
კახელების ბანზედაო,
წელწადს დილას მოსელა მითხრა.
თვალი მაქვის გზაზედაო.
გავხედენ და მოგოგავდა
ლურჯა ცხენი ნალზედაო,
აკვდებოდა თეთრი ჩოხა
წითელ ახალუხზედაო.
უხდებოდა შავი ქუდი
მთვარესავით პირზედაო,

მზეინარიმც ენაცვლება
შაშვენებელს ტანზედაო.

*

გუდამაყრელ ზალიკასა,
ერთი კარგი ქალი ყავსა,
საჩოხეს და საპერანგეს
სულ ერთ ღამეს დაართავსა.

• •

ჩემო რძალო, ჩემო რძალო,
მალე დამირთიო,
უგულარას ნაგულბრა
წინდა-პაიჭიო!

* * *

მარინესა ჰყვან მუშანი,
თავს დასცემია „ჯარია“;
— მე რად-არ არ დამპატიჯა,
რადა მყავს შამომწყრალია,
უნდა წავიდე მინცა,
უნდა შავიბა ხმალია!
შემოთამაშდა ნათელი
და მტვერი ააბოლაო,
ქმარი საოჩხროდ გაგზავნა,
თითონ ტოშს უკრავს მგონაო,
უცბად გაჯავრდა მარინე,
ბუზიკა გაისროლაო,
ჩემთან მოგრეკეთ იმითა,
ფარტენა ჩამისთონაო.

• * *

საქმის საღამოს დამსხდარან
გოგნაურელი ქალები,
(საქმეს კი არ განაგებენ,
სულ აგონდებათ ქმარები).

სავსე ხოკრები დარჩებათ
სულ ცარიელი ტარები,
ისეთ სიმღერას დართავენ
როგორც არაყით მთვრალეები.

* * *

სიმღერა მაუგონარსა,
ნეტარ რა უყუა თავსაო?
მამის ძმათ მალექსებელსა
ნამუს ვინ მისცა ქალსაო?!
მამის ძმათ შაირ არ უნდა,
ფარტენათ უნდა ჩაქთვაო!

* * *

რა ვიმღერო, რა ვიმღერო,
ლარიბი ვარ, ლატაკია;
არც ხარი მყავ, არც ფური მყავ,
არც ცოლი მყავ ფარსაგია;
ვერც ჩაასთნო ფარტენანი
ვერც მოქსოვა ფარდაგია!

* * *

ბოსელაში ჩავიარე,
ექსოვდი ალაქანასაო,
მზისთანდარას ჩამაუვლავ,
მაგ ბეჩავესა ქალასაო,
აბრუნებს და ვერ აავესებს
ერთას კვირტის თავასაო.

* * *

ჩამორბის კოკლაის გორსა,
თვალ-შურთხო, შენი ქმარიო,
მისცენით ბეჭ-სახეხავნი,
გააწკრიალოს ტარიო,
საბურეს ჩარდახ აუგეთ,
გააზღვინეთ ქალიო.

(ხერთლის ნადი)

ხერთალმა ხელი დამგალა,
ხერთალ-გასატეხელმა.
ბიძაჩემმ არ გამათხუა
კისერ-მოსატეხელმა.

* * *

წისქვილ პური დავაგენი,
სარეკელი გოგდებოდა;
შით ლამაზი გოგო იყო,
არ მეკონა, მოკდებოდა.
ხერთლო, დამიტრიალდი,
მომეხმარე გასაჭირში,
მოექსოვო წინდა, ხელთათმანი
გადავგრიხო წინდიჩხირში.

* * *

საჩეჩელო, გამიქარო,
მატყლი არის გასაჩეჩი,
ზამთარია მოსავეალი,
თოვლი მოგვეყარა ჭერში.
ქმარს წინდები მოვუქსოვო,
ფეხშიშველი ვერ გაივლის,
ეს ზამთარი ცუდი არის,
უსიცივოთ არ ჩაივლის.

* * *

ვარალალე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა,
მკლავში ღონე ვის ექნება
მა ჭრელიშვილივითა.

ვარალალე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა,

მშვენიერი ვინ იქნება
კეჟერაანთ ქალივითა,
რა რიგ პირსა მაიბრუნებს
დამწიფებულ ბალივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
ქკვიანბ არავეინ არი
მა სტეფანეთ ბალივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
მოწანწალე არავეინ არი
ზაქარაანთ ქალივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
მექალთანე არვეინ არი
ქიტესაანთ ბალივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
მოლექსე არავეინ არი
მა ხირჩლაანთ გვარივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
დახელთილი არვეინ არი
მა თამარის ქალივითა,
ვარალაღე ლალივითა
დატრიალდი ტარივითა.
ემაგის მოლექსებელი
მთაზე ყვირის ხარივითა.

* * *

თითისტარო რთიო
მაზლო გამიქრიო,
დედამთილის საპერანგე.
ცეცხლო, დამიწვიო.

* * *

ჯარავ, ჯარავ, ბზიო,
ნართი დამირთიო,
დედამთილის საპერანგევ,
ოხრად დამირჩიო.

* * *

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატული ჯარაო;
გამზდელი შენი ვაცხონე,
ერთგული შენი ლალო.

* * *

ქალი ვარ და ჯარას ვართავ,
გადვივარცხნი დალალ-კავსო;
მე თუ ბიჭი მომეწონა,
თვალიც დადგომია ქმარსო;
(შემიძლია მივატოვო)
იმის შემდეგ გავყევე სხვასო.

* *

ა ბეჩანა ბაბალო,
რამთვენ ბეჭდებ დაიჯარა!
შენი დრო ხო კაცს აღარ აქვ,
დობილი გყავ მარიჯანა.
გუშინისა წინგართაზე
შუა ბანზე გედგა ჯარა,
ერთ რო სიმღერას იტყოდით,
სხო იმას რო აიჯანა.
ჩემკე თვალს არ დაიცემენ,
მაშ რა ექნა, რო არ ვიჯავრა?

* * *

არარუ დარეჯანასა,
გარეთ გამოსდგამს ჯარასა,

შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს,
გარედან ეტყვის ნანასა.

* * *

\ ბებერო, ეგ შენი ჯარა
დაბერდა, აღარ იჯარა;
ადგა და კედელს მიარტყა,
ნეტა ვინ გამოაჯავრა?

* * *

\ ქალო თავი დაგირჩება,
იწლი, ბიწლი მათხოვეო,
შიშტუა და ში გავარდა,
მოსაჯეჯგი მათხოვეო.

* * *

\ მაქო, მაქო, ჩემო მაქო,
მე რა გიყო, სხვამ არ გაქო,
მაგრამა შენი სიკარგე
შენვე გაგაქ-გამოგაქო...

* * *

ვაი, შენ ჩემო საფეიქრო,
მასტიკო და მასრა-მაქო,

(ძილის გასაფრთხობი)

ძილო, რასა მეძინები,
მე საბრალოსაო,
მე ძილმა ასე მიბრძანა
მე საბრალოსაო:
დაწექ და დაიძინეო,
მე საბრალოსაო; —
ვინაც რო გულით გიყვარდეს,
მე საბრალოსაო,

ისიც გვერდს მოიწვინეო,
მე საბრალოსაო.
ძილო, ნუ დამეძინები,
მე საბრალოსაო.
ქმარს პერანგი არ მიცვია,
მე საბრალოსაო,
დაურთავ და შეუკერავ
იმ საბრალოსაო;
თითისტარო, კვირისტავო,
მე საბრალოსაო,
ჩქარა დაბრუნდი, დაბრუნდი,
მე საბრალოსაო.
წითელ კაბას შევიკერავ,
მე საბრალოსაო,
სანატრელსა, ფრიალასა,
მე საბრალოსაო,
ძილო ნურას მეძინები,
მე საბრალოსაო.

(ა ჳ ა რ უ ლ ი)

ძილო, რაიზა გვეძინები,
ძილო ბატონოვო,
ქმარს პერანგი არ გვიცვია,
ძილო ბატონოვო,
საცხა მამალი იყივლებს,
ძილო ბატონოვო,
ინშალა კაი დღეს გაგვიტენებს,
ძილო ბატონოვო,
ბაღნებს ტანზე არ გვიცვია,
ძილო ბატონოვო,
გათენდი, თუ გათენდები,
ძილო ბატონოვო,
ძილო, ნულარ დაგვაძინებ,
ძილო ბატონოვო.

* *

მე ძილმა ასე მიბრძანა:
— დაწექ და დაიძინეო,
თუ გყვანდეს ქმარი უძლური,
ისიც გვერდს მოიწვინეო.
სიღარიბისა არგანსა,
ხელთ მოგცემ, დაიბჯინეო.

* * *

ქსელსა ვქსოვ მამის ეზოთა,
ზალტეთა ვაყრიალება.
ქმარსა წაუოლ მაქმედსა,
ცუდასა ვაგვიანება,
ვაყასა შენისთანასა
ბანზედა ვატრიალება.

* * *

ქსელსა ვქსოვ მამის ქერხოსა,
ორშისა შამახვეულსა,
წავლალავ ხევსურის შვილო,
გულზედ ხელ შამახვეულსა.

* *

ახალათ ხორიკაი ორ
სამ ღღეს მამქსოვი ქსლისაო,
სადილით სამხრობამდია
გამკეთე პერანგისაო.

* * *

ქალაზედ შამახვიდოდი,
ხმა შამამესმა შენია.
ბეჭი და წიწვი დავყარენ,
გულს დავიკრიფენ ხელნია.

* * *

ქსელი ქსოვე, კეკლუცაო,
ყურს ნუ უგდებ ყუფასაო,
ბევრი ქალი შამაივლის
სერობ-საღმურთობასაო?!

* * *

დედის ერთა გოგო ვარ —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!
მამა ტიტველი დადის —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!
ტყეში მიძახის ბიჭი —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!
თავს დამჩხავეის გაღია —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!
მაქვა გარბის-გამორბის —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!
ღლე ღამითა იცვლება —
— ვქსოვ, ვქსოვ, ვქსოვ!

* * *

გოგომ მოაწყო ოჯახი,
ვით პატარძალი მორთულღო,
წინდა-საჩოხე ჩამაცვა
თაეის თითებით ღართული.

* *

გორი-გორ ჩამოხეიდოდი,
მაჰქსოვდი ჭრელის წინდასა,
შენამც დამმარხავ, ქალკუპტო,
შენამც დამაყრი მიწასა.

*

არც წინდის ქსოვებ მწაღიან,
არც ახალოხის კერვან,

ჯავრი. მორევენს მიპირობს,
ჩემ გული დაუჭერაო.
ბევრი დუშმანი მყოლია,
შე კი მცოდნია ვერაო.

* * *

χ ქალმა სთქვა: შიბი დავკარგე
ქრელი წინდისი ქსოვნასა,
გონიდ უბოვნავ მეცხვარეს
თეთრი შიშაქის ძებნასა.
— მეცხვარევ, გამამიგზავნე
შენი ცხვრის გამრავლებასა,
საცა კი შემოგეყროდი,
ყველგან მოგცემდი ნებასა.

* * *

\\ საწინდია გამითავდა,
ლურჯა ღივად გამიწყდაო,
სხვას სუყველას დაუქსოვე,
ერთი კოშკას დამიკლდაო.

* * *

ნაქსოვნო სანიაზოდა
წინდანო, დარჩით ძველადა;
სამჭერ დაგრეცხეთ საპნითა,
გაქრელეთ ათას ფერადა.
დავკარგე ჩემი ერთგული,
ველარ ჩავიგდე ხელადა!

* * *

\\ ავდარიც გაგიავდრდება,
როცა შახლდები მთაზედა;
დაგიქსოვ ქრელებს წინდებსა,
წავალ, დაგირეცხ წყალზედა.

* * *

დაქსოვენ კრელის წინდანი,
კალათა ორშიბიანო,
შენი ნაქსოვნი წინდანი
იასაულსა სცვიანო.

* * *

ატენის ხეობაზედა,
წყალი ჩამოდის წმინდაო,
ნეტავი ქალო, ჩამაცო,
შენი ნაქსოვი წინდაო.

* * *

ხელნ სათითით სასვენი ჰქონ,
ყელზე უძე სამკაული:
კრელი წინდა კი ვერ იცის,
დავწვი მაგის სასწაული

* * *

თითს ბეჭედი, ხელს კალათა
ალაზანმა წამყარაო.
ჩვენი ცოდვა ჰქონდეს მასა,
ვინც ჩვენ ერთუროს გაგყარაო.

* * *

გოგოვ, გიხდება ძირს ჯღომა,
ჯარის რთვა, ტარის გუგუნი,
ვაი თუ ხიელეს გათხოვდე,
ძრიელ შეგმურავს მკვრის მური.

* * *

ამაგვდებ, ამავახანებ,
პერანგო ნაქრელიანო,
წუხად ას შენი პატრონი,
ზედ ცრემლან ჩამაზდიანო.

დაკვეხნებაზე ნუ იყვას,
ლამფა არ მინდა ქალსაო,
თოლპირის სინათლეზედა
დაეხკერავ ნაქრელასაო.

* * *

ორხოვილად მოქსოვილო,
ჯეჯიმურად დადგიმულო,
ეს სტუმარი არსად მიდის,
შეჭამანდი დადგი მულო.
— იანვარი, თებერვალი,
დადგა მარტი, აშრა ველი,
განა ძალის სტუმარი ვარ,
ავდარია, დარსა ველი.

* * *

გოგო, რა კარგი თეთრი ხარ,
წელში ხარ ბაწანწკალაო,
შენმა ჯავრმა და სურვილმა,
ლეკვივით მაწაწკანაო.



წყლის მოსაზრანი

* * *

აი თინანო, თინანო,
ვაი თუ ბოლოს ინანო!
თინა მიდის წყალზედა,
კოკა უღევს მხარზედა.
— თინამ კოკა ძირს დადო,
— გამიგორდი მკლავზედა!
თინამ დაკლა ქათამი,
არ მაჭამა ბარკალი,
ღმერთო, შენ გაუწყვიტე
— კუჭულა და ქათამი.

* * *

ქალ, წყალზე წამაქსულიყავ,
ველისას, განა ტყისასა.
— თავი არ შამიბრუნე,
რო დამეკვლია ყინჩადა.
შენს სახეს დავისწავლიდი,
მაგ შენის პირკბილისასა.



კეკე მიდის წყალზედაო,
კოკა უდევს მხარზედაო;
კეკე, კოკა ძირს ჩამოდგი,
გამიგორდი მკლავზედაო.



ზეცას შენ შუქურ-ვარსკვლავო,
მნათობო ხმელეთისაო,
ავაჰ, შენ ქალო ლამაზო,
შუქი გაქვს ნათელ-მზისაო.
ტანადა ჰგევხარ ნამყენსა
ამოსულს ალვის ხისაო,
თვალეზი გიგავს მაცუალსა
ქალის პირს ამოსულსაო,
წარბეზი კალმის ნახატსა,
სვეტია ღრუბლებისაო,
წითელი ლოყა შეგშვენის
ღვალი ხარ ქალებისაო.
ეგ თეთრი ბროლის ყელყური,
ღამეს ანათებს ბნელსაო.
ხშირ უბანს, ქალო, შენ სდგეხარ,
სახლი გაქვს ქვიტკირისაო.
წყალი შორსა გაქვს საზიდი,
დილ-დილით ზომავ გზასაო,
შენ მენანები ქალო,
შორით რომ ზიდავ წყალსაო.
ერთხელ შარაზე დამიხვდი,
თუნგი გეკიდა ქალსაო,
გვერდითა სხვანი მოგდევდნენ,
მათ უშვენებდი მხარსაო.
ქალო, ამდენი ქებითა
ნუ გაიდიდებ თავსაო,
ღღეს ერთი ჰყვავის ყვავილი,
ხვალ შლილობა აქვს სხვასაო.

• • •

ჩემო ხელის მომკიდეო,
ტაგანაი მოკიდეო,
თუ ტაგანას არ მოკიდებ,
ხელი მაინც მომკიდეო.

• • •

იაო, ჩემო იაო,
შენი რა წამილიაო,
შენი კოკა და კუტალი
ცივ წყაროს დამიდგიაო.
სახლი ცივი წყლით მომირწყავ,
ზედ ვარდი გამიშლიაო.

• • •

წამავე საწყალზედოდა
გადაიწვერნეს მზენია,
თვალი მოვხკიდე მწვანილთა
რახე სხვარიგად ვქენია.

• • •

გაწოდილო ქალო,
მოთრეულო კუტალო...
არც გსვამ წყალო,
არც შეგიერთამ ქალო.

• • •

დედაკაცი გიჟიაო,
ზურგზე კოკა ჰკიდიო,
დადგება და ლაპარაკობს,
მითომც არა ჰკიდიო.

• • •

პატარძალი პატარა,
წყალს მოიტანს სხვას არა,

წამოჯდება კერასა,
ატარტალებს ენასა.
ქვაბში ნადულს არ გაუშვებს,
ყურიანში წველასა.

* * *

ბატარძალო ბატარაო,
წყალს მაიტან რად არაო?
სახლ რო კი დაგიწმენდავის
კარი-კურიც რად არაო?

* * *

✓ ამ ჩვენებიანთ ქალსაო
თვალები უგავს ცხვარსაო,
ჩამოივლიდა წყაროზე,
კოკას შეიდგამს მხარსაო,
ამოივლის და ჩაივლის,
ბიჭებს მოაელებს თვალსაო,
შინ მივა ბუზლუნს დაიწყებს,
დედას აგონებს ხმასაო,
ლამის მე ისე დავბერდე,
რომ ვერ ველირსო ქმარსაო,
თუ მალე არ მიპატრონეთ,
ძალით მოვიკლამ თავსაო.

* * *

ავდექი დილაზე,
შევხედე ლამაზს, მოჰქონდა წყალი,
მუხლები მამკვეთა, დავეგდე მკვდარი.

* * *

გოგო წყაროს მიდიოდა,
სახეს კოკას აფარებდა,
გავედევნე, გულში ტივად
გველის კბენა მაწვალებდა.

ნაწნავეები კოჭებამდე
ჩასულიყვნენ ლარივითა,
ტანი ჰქონდა აშოლტილი
ხამი ნაძვის სარივითა.
დავეწიე, სანამ წყაროს
ჩაივლიდა ბილიკითა,
კოკა დასდგა, გამომავლო,
ტილით სავსემ კინწის კვრივითა.
ამოვედი, სახლში ჩვენებს
რაც გადამხდა უთხარ სულა,
დედა ჩემმა სახრე დამცხო:
კაცი ხარ თუ ქალაჩუნა.

* * *

ქალი წავიდა წყალზედა,
თან გავადევნე თვალია,
აავსო კოკა, კუტალი,
შიგ გაუყარა თმანია,
მოდის და მოდუღუნდება:
— ღმერთო, მომიკალ ქმარია!
არ დამიგრიხა საბელი,
მაწყდება გიშრის თმანია.

* * *

ცივი დილა იყო, მოქროდა ქარი,
ლამაზს ქალს მოჰქონდა წყაროდან წყალი,
ქვეშ-ქვეშ გამიცინა, თან მიყო თვალი,
ფეხზედ ქოში ეცვა, ქვეშ ელო ნალი.

* * *

გადი-გამოდინ ჩიტები,
მე შენ როგორ შეგეჭიდები.
გადი-გამოდინ კაკბები,
მე შენ გულში ჩაგეკოკბები,
შენ იჯგჭი რუის პირსა,
ხალი გიჩნდა გულის პირსა!

(თებრონე მიდის წყალზედა)

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
კარგო, მოგივალ წყალზედა,
გაკოცებ ორსავ თვალზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
თებრონემ კოკა გაავსო,
თანაც შეიდგა მხარზედა,
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
მიდის და თვალი შეასწრო
ქოჩორა ბიქსა გზაზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
თებრონემ კოკა ჩამოდგა,
მანდილს იფარებს თავზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
თებრონემ კოკა გატეხა,
ცრემლი მოადგა თვალზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
ბიჭმა თებრონეს აკოცა
იმ სოფლის შუა გზაზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
დანიშნულს დაჰპირდებოდა,
იქ ჩამოდიო წყალზედა,
კოხტა გოგო გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.

სიტყვების ახსნა

- აიჭანა — გამხნეების შეძახილი.
ალავერდა — იონჯის მსგავსი ბალახი, გრძელფესეებიანი.
ალაქანა — წინდის მეორედ გამოქსოვილი ძირი.
ალო — დღიური ნახნავი.
ამაგახანებ — სწრაფად, დროზე რაიმეს გაკეთება.
ამანათი — შეხიზნული სხვა სოფლის ან თემის უმამულო კაცი.
ამოსეესა — ამოვლისას.
ანეული — ზაფხულის ნახნავი. შემოდგომის ხორბლის დასათესად.
აპეური — ტაბიკების გადასაბმელი თოკი.
არაბა (თურქ. არაბა) — მალალ-თელეებიანი ურემი, ბარში სახმარი.
არგანი — „არგანი არს ჭოხი უგრძესი“ (საბა). ყავარჯენი.
არნადი — ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი კალოზე.
იხო — საყანედ გაკაფული ტყე, ნატყევარი.
აჯაბრება, ავჯაბრდეთ — შეჭიბრება, შევეჭიბროთ.
ბაგა — ახალშენი ვენახი.
ბალა — უბედურება, ჭირი, ვაგლახი, ხათაბალა.
ბალამწარა — ტყის ბალი, მწარე და წერილნაყოფიანი.
ბარდალა — სარეველა ბალახი, შამბი.
ბაქი — კვეხნა, ტრაბახი,
ბაწანწკალა. — წელწერილი.
ბედასლი — უშნო, უფხო, უხეირო, უუნარო.
ბექი — საქსოვი იარაღი, სავარცხელივით დაკბილული.
ბუთუნება — მოთქმა, ბორგვა,
ბუნნარი — „კორდი მალალ-ბალახოვანი“ (საბა).
ბუჩასეული — ერთ-ერთი განთქმული თოფი ხევსურეთში.
ბლუნვა — ფორთხვა.
გადაწვერვა — (გადაწვერნეს მზენია) — მზის ჩასვლა.
გოხი — დიდი ქვა, კლდის ნატეხი, მაგარ ჭიშის რიყის ქვა.
დაშარვა — მწკრივად გაშენება ვაზისა, ხეხილისა.

* ახსნა-განმარტებაში მოცემულია სიტყვების მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი კრებულის ამა თუ იმ ლექსში აქვთ. — თ. ო.

დაჯარვა — ჯარად შეგროვება, ერთად თავის მოყრა.

დაშვრეტა — თვალის დახუჭვა.

დედანი — გუთნის ნაწილი, რომელზედაც ფრთა დაყრდნობილი.

დვირბინი — ღურბინდი, ბინოკლი.

ეყვის — „ეახლოების“ (საბა).

ველობა — გაგარეულება.

ვეძა — მინერალური წყალი.

ზალტე — სამაჭური.

ზარი — დაწული სასიმიინდე, ოთხ ბოძზე მდგარი.

ზედა — გუთნისდედის შეძახილი. როდესაც ხენის დროს ხარი უხნავი ველისაკენ იწევს, ამ შეძახილზე მეხრე ხარს ნახნავისაკენ გაირუკავს და კვალს გაასწორებს.

ზედაობა — გუთნის მიერ გავლებული ვიწრო კვალი.

ზილდანი (თურქ. ზინდანი) — ციხე, საპყრობილე.

თიბის სამშაბათი — ერთ-ერთი სამშაბათი იენისის თვეში, როცა ხევსურები თიბვას იწყებდნენ.

თიკვი — ქსოვილის ნაკუწი.

თორპილი — თოლ-პირი, თვალ-პირი, პირისახე.

ინშალა, — ინშალაქ (თურქ.) — ღეთის მადლით.

კეკა — ცხვრის მატყლი, ქუჩბად ამოსული.

კვირტი — ნარჩენი, დაბალი ხარისხის მატყლი.

კლოვ (ხეგს.) — კვლავ.

კონკილა — ურმის თავქვეშ შესაყენებელი კეტი.

კორდოხი — გამაგრებული მიწის ბელტი.

კოტორი, — ნისლის ნაფლეთი.

კუდი — მკაში ჩამორჩენილი მომკელის ნაკვეთი.

კუტალი — ხის კოკა წყლისათვის.

ლიდარი — სურვილი, ეინი,

ლუბი ხარი — მქლე, ძაბუნი, უღონო ხარი.

მანა — სარი, ბოლოწათლილი მომცრო მარგილი,

მაქარი — თოფი.

მარაგი — ნამგლის ყუა, ნამგლის პირის მეორე, გარეთა მხარე.

მასრა — საზედაო ძაფის დასახვევი მოკლე ჯოხი (ლერწმისა ან ლითონისა), მაქოში ჩასადები.

მასტიკო — „ფეიქრის იარაღია“ (საბა).

მებოლოვე — ტივზე ბოლო მიმყოლი, ბოლო მეტივე.

მეველე — ნათესი მინდვრის მცველი,

მექალთანე — ქალთა მოყვარული, მუსუსი, არშიყი.

მზეკაბანი — მელეურები, ყანა რომ ღელავს და ტალღა-ტალღას მისდევს, იკეცება და ფერსა და ფერს იცვლის.

ნამხრევი — ნათიბი სვე.

- ნ ა ნ დ ა უ რ ი — სატრფო, სასურველი, საყვარელი ადამიანი.
- ნ ა ლ ა რ ი — ხნულებს შორის გზად დარჩენილი ადგილი.
- ნ ა ჩ ხ ა ტ ი — ერთი ან ორი წლის უხნავე მიწა.
- ნ ა კ რ ე ლ ა — ნაქარგი, ქსოვილზე ფერადი აბრეშუმის ძაფით გამოყვანილი სახეები.
- ო რ თ ა ყ ვ ი რ ი — სატივე ნიჩაბი.
- ო რ თ ი თ ი — ორკაპიანი ფიწალი,
- ო რ ხ ე ლ ა — გუთნის ერთი სატეობა.
- ო რ შ ი ა ნ ი — ხევსურული საუკეთესო ქსოვილი.
- ო ჩ ხ ა რ ი — ხელმოკლე, ან რაიმე უბედური შემთხვევის გამო დანარალებული კაცის მიერ გამართული წვეულება, რომლის დროსაც სტუმრები მასპინძელს შეძლებისდაგვარად აძლევენ შესაწირავს.
- ო რ ხ ო ვ ი ლ ი — ხალიჩისებური, ხაოიანი ქსოვილი,
- რ ა ხ ე — როგორ, რაიგ.
- რ ვ ი ლ ი — გუთნის ნაწილი: მოხრილი ხე ან რკინა, რომელზედაც ასხმულია დანარჩენი ნაწილები.
- ს ა თ ა რ ი — „შეშა. მოთრეული“ (საბა).
- ს ა თ ი თ ე — ბეკედი; მომკელის თითზე წამოსაცმელი ხისა (იკეთებენ, რომ ნამგალმა არ გაუქრას თითი მკის დროს).
- ს ა რ ც ხ ი — ქვევრის სარეცხი ხის ქერქისაგან შეკრული.
- ს ა ყ ვ ე ა რ ი — გუთნის თავის ხარების წინა უღლეულების (ან ურემში მეორე უღელი ხარის) მოსაბმელი კაპანი, ჭაქვი, ძელი.
- ს ა წ ი ნ დ ი ა — საწინდე ნართი.
- ს ა წ ყ ა ლ ზ ე დ ო — წყლის ზიდვის ხევსურული ტერმინი.
- ს ა კ რ ე თ ე ლ ი — ხის ამოსაქრელი, ამოსატეხი იარაღი, — სატეხი.
- ს კ ლ ა ტ ი — იგივეა, რაც მაუდი.
- ს ტ ი ლ ი — წონის ერთეული, რომელიც უდრის 1/2 გირვანქას.
- ტ ა გ ა ნ ა — წყლის კურკელი.
- ტ ა ტ ა ბ ი — სამეურნეო იარაღი ნიჩბის ფორმისა.
- უ ლ ო — ძნის შესაკრავი.
- უ შ ტ ა რ ი — უსინათლო, ბრმა.
- ფ ა მ ფ ა ლ ა კ ი — „ერქვნის იარაღი“ (საბა).
- ფ ა რ ე შ ი — ხის ლურსმანი.
- ფ ა რ ს ა გ ი — კარგი, ხეირიანი.
- ფ ა რ ტ ე ნ ა — დასართავად გამზადებული დაჩეჩილი მატყლის ფთილა.
- ფ ე რ ს ო — ხის რკალი. ურმის თელის (ბორბლის) სოლებზე ჩამოგებული (ფერსოს ირგვლივ რკინა ეკვრის).
- ფ რ თ ე — ფრთა ბელტის გადასაბრუნებელი. გუთანზე სახნის ზემოთ მიკრულია თხელი რკინის (უწინ ხის) ფიციარი, რომელზედაც აცურდება ხოლმე სახნისის მიერ მოკვეთილი ბელტი და მერე ხნულში გადაბრუნდება პირქვე.

ქალიწი — მოცელილი, მოთიბული ბალახი, რომელიც ზოლ-ზოლად დევს.

ქოქომონი — ხევსური ქალის ტანსაცმლის ბოლოები, კალთები.

ქოჩი — ერთგვარი ბალახი.

ღალა — „ყანის ბეგარა“ (საბა).

ღივად — სულ მთლად.

ღირღიტა — გუთნის ნაწილი: რვილის თავის დასადები ფამფალაკის გოგორა.

ღიქი — ეკალა.

ღული — „ხერხივით ნამგალი“ (საბა).

ყალთაღანა — ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, ცარიელი ადგილი.

ყარყარა — მაღალყელიანი კურკელი. „სარწყული სმაში ხმის მცემელი“ (საბა).

ყინჩი — კარგი, თამამი.

შიბი — ყელსაბამი.

ჩასთვა — დართვა ძაფისა.

ჩეკი — გუთნის საფხეკი რკინისა, ცეცხლის საჩხრეკელი, ასტამი.

ჩორჩი — ცელის ნაწილი.

წეკვა, წეკო — მწარე, დაბალხარისხოვანი თამბაქო.

წერი — სამოცდასამი ძნა.

წვერობა — ცალუღლივ გათრევა გუთნისა.

წიკვა — ფურთხება.

წინგარდა — ბანი.

წიწვი — საქსოვი იარაღის ნაწილი.

წუხად ას — მწუხარება.

ქაკანაური — ქაკაზე დაყენებული ღვინო.

ქერხო — ხევსურული სახლის ზედა სართული.

ქიოტა — მცენარე.

ქყიში — მცენარე.

ხამი — გამოუცდელი, გაუწვრთნელი.

ხანული — „რძის მოზიარენი დიაცნი“ (საბა).

ხელეური — ერთი იღლია მომკილი პური.

ხერტალი (აჭარ.) — ხელტარი, თითისტარი.

ხოკერი — ხის ქერქის კურკელი მატყლისა. და ხელსაქმისათვის.

ჩამბარა — ქაპანი, რითაც დაბმულია რვილის თავი ღირღიტზე.

ჩეგრი — ჭავრი.

ჩვარის ხელოსანი — ჩვარის, ხატის მსახური, ხუცესი ხევსურეთში.

ჩორობა — ჩვარობა, ხატობა.

ჩუბა — „სამოსელი პერანგვით“ (საბა).

ს ა რ ჩ ე ვ ი:

წინასიტყვაობა	5
გუთნური	21
ნადუტი	73
სამკაფი	88
კალოური	122
მთიბლური	127
სავენახო	143
ურმული	155
მეტიური	164
საფეიქრო	169
წყლის მოსატანი	183



რედაქტორი შ. ამისულაშვილი
მხატვარი თ. მირზაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორი ვ. კუპრაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-61 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. სააღრ-საგამომც.
თაბახი 7,32. საავტორო თაბახი 6,28. ნაბეჭდი
თაბახი 10,04.

უე 00521. ტირაჟი 2000. შეკვ. № 901.

ფასი 62 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფიკამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главолиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

Песни о труде
«сборник пародных стихов
(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1962